ქარხნის გადასარჩენად გურჯაანელებმა რკინიგზა გადაკეტეს A2

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ! A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 19 იანვარი, 2004 წელი. №14 (563)

ფასი 50 თეთრი

# გენერალური პროკურატურა ახვლედიანების საქმეს გამოიძიებს

მორიგი რეზონანსული საქმე, რომლითაც ახალი გენერალური პროკურორი დაინტერესდა და რომლის გამოძიებასაც მისი უწყება უახლოეს მომავალში დაიწყებს, პრეზიდენტ შევარდნაძის სანათესაოს ცნობილი წარმომადგენლის საქმიანობას ეხება. საუბარია გურამ ახვლედიანის მიერ წარმოებულ ბიზნესზე, რომლის დეტალებიც გენერალური პროკურორის დაინტერესების ობიექტი გახდა.

უფრო ზუსტად, გენერალური პროკურატურა ფოთის ნავსადგურის სანაპირო ნავმისადგომების იჯარით გადაცემის თაობაზე ჩატარებული ტენდერის კანონიერებით დაინტერესდა.

გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ამ ტენდერთან დაკავშირებით სამართალდამცველ ორგანოებს მოეპოვება სერიოზული მასალები, რომელთა მოკვლევის შემდეგაც კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. იმ პირთა გვარებს შორის, რომლებიც ტენდერის არაობიექტურად ჩატარებაში არიან ეჭვმიტანილნი, ფიგურირებს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მძახლის გურამ ახვლედიანის გვარიც.

ტენდერი 2003 წელს, ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებით და, გავრცელებული ინფორმაციებით, გურამ ახვლედიანის ინტერესების გათვალისწინებით ჩატარდა.

თუმცა, ფოთის ნავსადგურის ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ ტენდერი კანონიერად ჩატარდა და მისი ობიექტურად ჩატარების შესახებ მასალები ნავსადგურის ადმინისტრაციაში ინახება. **„სამართალდამცველებს შესაძლებლობა ექნებათ, შეისწავლონ ეს მასალები და ტენდერის ობიექტურად ჩატარებაში დარწმუნდნენ,“** - აცხადებს ნავსადგურის ხელმძღვანელი.

გენერალურ პროკურატურაში, მართალია, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, საქმე არ არის აღძრული, თუმცა, არსებული ინფორმაციით, მოკვლეული მასალები პროკურატურას უახლოეს დღეებში გადაეცემა და საქმის გამოძიებაც დაიწყება. ჩვენი ინფორმაციით, გარდა ტენდერისა, სამართალდამცველთა ხელთ არსებულ მასალებში, ფოთის პორტის მშენებლობისას აღმოჩენილ სხვა საეჭვო დეტალებზე, სხვათა შორის, საკმაოდ სერიოზულ ხარვეზებზეა საუბარი და ეს დარღვევებიც გურამ ახვლედიანის სახელს უკავშირდება.

*24 საათი*

## ახალი აღმოჩენა საქართველოში




## „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ბოლო ფაზა

*შაბათს, თბილისთან ახლოს, 11 სექტემბრის ტერაქტის მსხვერპლთა სახელობის სამხედრო პოლიგონზე, სტარტი აიღო ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მეოთხე დამამთავრებელმა ფაზამ, რომლის დროსაც მომზადებას უკვე ჯავშანსატანკო ბატალიონის მებრძოლები გაივლიან. 64 მილიონ დოლარად შეფასებული პროგრამის მსვლელობისას საქართველომ უკვე მიიღო 2000-მდე კარგად გაწვრთნილი პროფესიონალი ჯარიკაცი, რომლებიც საბრძოლო დავალებას სხვადასხვა კონფლიქტურ ადგილებში შეასრულებენ. ამასთან, ამერიკის მხარის გადაწყვეტილებით, "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დახურვის შემდეგ, ამერიკელი სპეციალისტები საქართველოში სხვა პროგრამებზე გააგრძელებენ მუშაობას.*

კობა ლიკლიკაძე
*„რადიო თავისუფლება“,*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამამ სამხედრო პროფესიას საქართველოში ფასი დაუბრუნა. ყოველი ახალი შენაერთის დაკომპლექტების წინ, შერჩევას სულ უფრო მეტი მსურველი გადის. ორი თვის წინათ, როდესაც პროგრამის მეოთხე უკანასკნელი, მექანიზებული ბატალიონი კომპლექტდებოდა, შესარჩევი ტური ორმა ქალმაც გადალახა. ერთ-ერთი წარმოშობით აფხაზეთიდანაა და ამიტომ საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა. მეორემ, ორი შვილის დედამ, ზემდეგმა ნანა ტაბატაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა,

გაგრძელება A3 გვერდზე

## აფეთქება ბაღდადის ცენტრში

გუშინ, ერაყის დედაქალაქ ბაღდადში, აშშ-ს მთავარი სამხედრო შტაბ-ბინის წინ უძლიერესი აფეთქება მოხდა. ბაზის შესასვლელთან მანქანაში მჯდომმა დაუდგენელმა კამიკაძე-ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა, რის შედეგადაც, სულ ცოტა, 20 ადამიანი დაიღუპა და 60-ზე მეტი დაიჭრა. თუმცა, მსხვერპლი შესაძლოა კიდევ გაიზარდოს. ერაყის დედაქალაქის ცენტრში ტრაგედია იმ დროს დატრიალდა, როდესაც ნიუ-იორკში გაერო-ს გენერალურ მდივანთან კოფი ანანთან შეხვედრისათვის ერაყის მმართველი საბჭოს წევრები გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ეს შეხვედრა დღეისათვის არის დაგეგმილი და მასში მონაწილეობას აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის ოფიციალური წარმომადგენლებიც მიიღებენ. მათ ერაყის მომავალი მოწყობის საკითხები უნდა განიხილონ.

გაგრძელება A5 გვერდზე



*კამიკაძე-ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აშშ-ს მთავარი სამხედრო შტაბ-ბინის წინ აამოქმედა.*

### ეკონომიკა

#### საჭიროა თუ არა სატრანსპორტო რეგულირების გადასახადი?

საგადასახადო სისტემაში რთული და, ცოტა არ იყოს, გაუგებარი ვითარება სუფევს. არსებული უამრავი გადასახადის ფონზე, გადამხდელისათვის ძნელი გასარკვევი ხდება რას და რისთვის იხდის, სასიკეთოა თუ საზარალო სახელმწიფოს ამა თუ იმ სტრუქტურისათვის თანხის გაღება და, რაც მთავარია, რა იქნება მომავალში.

A4

### უცხოეთი

#### ქურთები - განხეთქილების ვაშლი აშშ-სა და თურქეთის ურთიერთობებში

ერაყის სახელმწიფო მოწყობის საკითხმა ძველ მოკავშირეებს – ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთობები კვლავ დაძაბა. თურქეთის არმიის მაღალჩინოსნები და პოლიტიკოსები ერაყში სისხლისღვრას არ გამორიცხავენ, თუ ერაყში ეთნიკური ნიშნით ქურთების ფართო ავტონომია შეიქმნება.

A5

### საზოგადოება

#### არასამთავრობოების მოთხოვნა

კომპეტენტური არასამთავრობო ორგანიზაციები დედაქალაქის დასუფთავებასთან დაკავშირებით საკუთარ აზრსა და მოთხოვნებს სთავაზობენ თბილისის საკრებულოს. სწორედ ამ საკითხს ეხება არასამთავრობო ორგანიზაცია "უსაფრთხო საქართველოსათვის" თავმჯდომარის, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის, თინა ალავიძისა და არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკოლოგიისა და სამართლის ინსტიტუტის" თავმჯდომარის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის თინათინ დვალის მიერ "24 საათში" მოტანილი წერილი.

A6

### სამართალი

#### ჩხაიძე და მირცხულავა ციხის საავადმყოფოში ერთ პალატაში იმკურნალებენ

"აკაკი ჩხაიძემ სადავო თანხა რომც გადაიხადოს, მაინც დავიჭერთ," - ეს განცხადება რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ გააკეთა და ამით, ფაქტობრივად, რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის ბედიც საბოლოოდ განისაზღვრა. თუმცა, აღნიშნულ მითითებას კანონიერ ჩარჩოში მოქცევა სჭირდებოდა, რაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ პირნათლად შეასრულა.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | |
| ქუთაისი | 12 | |
| ბათუმი | 14 | |
| სოხუმი | 10 | |
| ფოთი | 13 | |
| თელავი | 9 | |
| ზუგდიდი | 12 | |
| გორი | 8 | |
| ახმეტა | 9 | |
| ჭიათურა | 9 | |
| გაგრა | 8 | |
| სამტრედია | 13 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1399 |
| ევრო | 2.7046 |
| გირვანქა სტერლ. | 3.9062 |
| რუბლი | 0.0741 |

## ოპოზიციის მომავალი და საარჩევნო ბარიერი

გიორგი ასანიშვილი

ამჟამინდელ ოპოზიციას მძიმე დრო დაუდგა. ვარდების რევოლუციამ მას თითქმის მთლიანად დააკარგვინა ელექტორატი. ამიტომ, დღეს იგი ბრძოლას აწარმოებს არა იმდენად ხელისუფლების შესავიწროებლად და უკეთესი მდგომარეობის დასაკავებლად, რამდენადაც - არსებობის შესანარჩუნებლად.

დაუძლურებული და პატივაყრილი ოპოზიცია თავს იმით იმხნევებს, რომ ამომრჩეველს ნელ-ნელა "დაავიწყდება", 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის პერიოდში გარკვეული პარტიული ჯგუფები ხალხს როგორ განუდგნენ და დროთა განმავლობაში მათი პოლიტიკური რეაბილიტაცია მოხდება.

ამიტომ, დღეს აქცენტი დროის მოგებაზე, მის "გაწელვაზეა" გადატანილი. ამის დასტურია თუნდაც ის ისტერია, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღის გამო გაჩაღდა. ოპოზიცია თავს იკლავდა, რომ ეს თარიღი თუნდაც ერთი-ორი თვით გადაეწია. და ეს მაშინ, როდესაც იქვე ჩიოდა, ახლანდელი პარლამენტი არალეგიტიმურია და მან რაც შეიძლება მალე უნდა შეწყვიტოს არსებობაო.

როდესაც დროის გაყვანის ტაქტიკას მიმართავს, ოპოზიცია გათვლას იმაზეც აკეთებს, რომ ახალი ხელისუფლება ახლო მომავალში თავის შერცხვენას "მოახერხებს" და ეს მის (ოპოზიციის) რეიტინგს ავტომატურად ასწევს.

არადა, დროის ფაქტორზე კოშკების აგება არც ისე მომგებიანია, რადგან დღევანდელ ხელისუფლებას მოსახლეობის ნდობის ძალიან მაღალი ხარისხი გააჩნია და თუ რაღაც სულელური შეცდომები არ დაუშვა, მის "ჰეგემონიას" უახლოეს მომავალში საფრთხე ნამდვილად არ ელოდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნიკოლაიშვილმა მოსკოვიდან გაზის ნაცვლად დენი ჩამოიტანა

მაია ურუშაძე

*გუშინ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი მოსკოვიდან კმაყოფილი დაბრუნდა. მის კმაყოფილებას "რაო ეეს როსიის" ხელმძღვანელობასთან შეხვედრა იწვევს, რომლის შემდეგაც ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ "რუსი კოლეგები, მიუხედავად სამხრეთ რუსეთში შექმნილი ენერგოდეფიციტისა, საქართველოს მხარდაჭერას უცხადებენ და დენის იმპორტს 125 მეგავატით ზრდიან."*

**"მოსკოვში დაზღვევის მიზნით ჩავედი. საჭირო იყო დავრწმუნებულიყავით, რომ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) მოთხოვნისამებრ, რუსული მხარე იმპორტს დაუყოვნებლივ გაზრდიდა. თავის მხრივ, ამ თხოვნით "რაო ეეს როსიის" ხელმძღვანელობას სახელმწიფო მინისტრმაც მიმართა. ასეც მოხდა. ჩარევა არც დამჭირდა, შაბათს საღამოსვე დენის იმპორტი ისე გაიზარდა. ახლა, თუ "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და "გსეკში" საშემსრულებლო დისციპლინა დამყარდება, ენერგოსისტემა ნორმალურად ფუნქციონირებას შეძლებს,"** – განუცხადა მამუკა ნიკოლაიშვილმა "24 საათს". მინისტრი აცხადებს, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას თავისი თურქული ვოიაჟის შეწყვეტა მოუხდა, სადაც ის თურქეთის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრთან მეჰმედ ჰილმი გულართან თურქეთში საქართველოს გავლით ენერგოტრანზიტისა და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის სხვა პერსპექტივებს განიხილავდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ფოსტა

B1 ომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

## ბათუმში პოლიციის მაღალჩინოსანი მოკლეს

წლების განმავლობაში ბათუმის ოაზისთან დაკავშირებით შექმნილი მითი თანდათან დასასრულს უახლოვდება. გუშინ აჭარის დედაქალაქის ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული, პოლიციის მაღალჩინოსნის გვამი იპოვეს.

ავტონომიური რესპუბლიკის საგანგებო მდგომარეობათა მართვის სამსახურის უფროსს თემურ ინაიშვილს ქუჩაში, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა, სავარაუდოდ, "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან ერთი ტყვია ესროლეს და ადგილზევე მოკლეს.

ჩვენი ინფორმაციით, ინაიშვილი წლების წინ თბილისის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა, რის შემდეგაც საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა და ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა. საგანგებო მდგომარეობათა მართვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კი იგი მტირალას მთაზე ჩამოვარდნილი თვითმფრინავის საქმის გამოძიებაში აქტიური თანამშრომლობისთვის დაწინაურდა.

ვინ ან რატომ მოკლა ინაიშვილი, გამოძიებისთვის უცნობია. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, პოლიციის მაღალჩინოსნის სახლზე თავდასხმა, დაახლოებით, ორი წლის წინაც მოხდა, რა დროსაც მისი დედა გარდაიცვალა. უკავშირდება თუ არა ეს ორი თავდასხმა ერთმანეთს, გამოძიება მომავალში გაარკვევს. სარწმუნო წყაროს ცნობით, მკვლელობა გვართაშორის დაპირისპირების მიზეზით უნდა მომხდარიყო.

მომხდართან დაკავშირებით, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. *24 საათი*

## უზენაესმა სასამართლომ გია ვაშაკიძე პატიმრობაში დატოვა

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებული, გენერალ-მაიორი გია ვაშაკიძე სამთვიან წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა გია ვაშაკიძის ადვოკატის მადინა თვაურის საჩივარი, რომლითაც იგი მოითხოვდა აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებას, მოტივით, რომ გამოძიებას გია ვაშაკიძის გამამტყუნებელი მტკიცებულებები არ გააჩნია.

გია ვაშაკიძეს უზენაესმა სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა 12 იანვარს შეუფარდა.

შეგახსენებთ, რომ "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარე თამაზ მაღლაკელიძე 5 დეკემბერს გაიტაცეს. იგი 36 დღის განმავლობაში ტყვეობაში იმყოფებოდა და უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ 10 იანვარს, დიდგორის მთაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, იგი მძევლობიდან გათავისუფლდა. პოლიციამ გატაცებაში ეჭვმიტანილი სამი პირი - გენერალ-მაიორი გია ვაშაკიძე, ელდარ გოგბერაშვილი და ბენიამინ სანებლიძე, 9 იანვარს თბილისში დააკავა.

ადვოკატის თქმით, გია ვაშაკიძე, რომელიც მისთვის წაყენებულ ბრალდებას კატეგორიულად არ ეთანხმება, პროტესტის ნიშნად, 12 იანვრიდან - მისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების დღიდან - შიმშილობს.

გუშინ უზენაეს სასამართლოში გამართულ პროცესს გია ვაშაკიძეც ესწრებოდა. მისი ბადრაგირება გაძლიერებული დაცვით მოხდა და სასამართლოს შენობასაც იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი იცავდა. **24 საათი**

## "კმარა" ითხოვს

არასამთავრობო ორგანიზაცია "კმარა" გენერალური პროკურატურისაგან იმ პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს, რომელთა უშუალო მონაწილეობით ბათუმში "კმარას" აქტივისტები დააკავეს.

"კმარას" ცენტრალური ოფისის ერთ-ერთი აქტივისტის თეა თუთბერიძის განცხადებით, აჩიკო და ირაკლი ჩხეტიებსა და ბექა მურვანიძეს ათდღიანი წინასწარი პატიმრობის ვადა კვირას ამოეწურათ და გუშინ საღამოს ისინი უნდა გაეთავისუფლებინათ.

"სამწუხაროდ, ჩვენ აღნიშნულ პირებთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, რადგან ისინი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან. მათთან კონტაქტი გაცილებით გაგვიადვილდებოდა, ისინი რომ ციხეში ყოფილიყვნენ გადაყვანილნი", - აღნიშნა თუთბერიძემ.

მისი განცხადებით, ბათუმში "კმარა", ჯერჯერობით, კონსპირაციულად მოქმედებს და ჩხეტიებისა და მურვანიძის გათავისუფლებასთან დაკავშირებით მათ ბათუმში რაიმე აქციის მოწყობა დაგეგმილი არ ჰქონიათ.

თუთბერიძის თქმით, ჩხეტიებსა და მურვანიძეს პოლიციამ ადმინისტრაციული პატიმრობა ხულიგნობისათვის შეუფარდა, რაც აბსოლუტური აბსურდია, რადგან "კმარას" აქტივისტები ბათუმში "კმარას" პროკლამაციების გაკვრისათვის დააკავეს. **ინტერ-პრესი**

## ბურჯანაძე პარლამენტში დაბრუნდა

მოქმედმა პრეზიდენტმა კანცელარია დატოვა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე თავის ძველ ადგილას, პარლამენტში დაბრუნდა. რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და მოქმედ პრეზიდენტსაც შეეძლო, ახლის მოსვლამდე არ ეჩქარა, მაგრამ ბურჯანაძემ უკან დაბრუნება მხოლოდ სახელმწიფო კანცელარიის შენობისადმი ახალი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გარკვეული ანტიპათიის გამო როდი გადაწყვიტა.

მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული ხალხის თქმით, ბატონი მიხეილი ახალი რეზიდენციის აშენება-გარემონტებამდე მაინც სახელმწიფო კანცელარიაში აპირებს დაბანაკებას. ნინო ბურჯანაძემ ძველ გარემოში დაბრუნება კიდევ ერთი მიზეზის გამოც არ დააყოვნა. მოქმედი პრეზიდენტის რანგში იგი უკვე სერიოზულ შეხვედრებს აღარ გეგმავს. **24 საათი**

## აბაშიძე "CNN"-ის წარმომადგენლებს შეხვდება



*აბაშიძეს "CNN"-ის უხერხულ კითხვებზეც მოუწევს პასუხის გაცემა.*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე, რომელიც გასულ კვირას სამუშაო ვიზიტით მოსკოვში იმყოფებოდა, დღეს ბათუმში დაბრუნდა.

აბაშიძის განცხადებით, მისი ვიზიტი "წმინდა ეკონომიკური ხასიათისა იყო" და პოლიტიკურ პროცესებს არ უკავშირდებოდა. უახლოეს მომავალში აბაშიძე მოსკოვს კვლავ ეწვევა, რუსეთის დედაქალაქსა და აჭარის რეგიონს შორის კულტურული თანამშრომლობის საკითხების მოსაგვარებლად.

თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ჰამლეტ ჭიპაშვილის განცხადებით, აბაშიძე მოსკოვში რუს და უცხოელ ბიზნესმენებს შეხვდა, რომლებიც სერიოზულად არიან დაინტერესებულნი ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქციით, პორტით და აჭარისთვის მნიშვნელოვანი სხვა ეკონომიკური საკითხებით.

ამას გარდა, აბაშიძემ შეხვედრები გამართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ლოშჩინინთან და მოსკოვის მერ იური ლუჟკოვთან.

ჭიპაშვილის განმარტებით, აჭარის ლიდერს რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან, საქმიანი თანამშრომლობის გარდა, მეგობრული ურთიერთობებიც აკავშირებს. ბათუმში დაბრუნებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ტელეკომპანია „CNN"-ის წარმომადგენლებთან შეხვედრას აპირებს, რომლებიც, ჭიპაშვილის ინფორმაციით, ბათუმში ამ დღეებში ჩავლენ. **მედია-ნიუსი**

## პატიმარი თვითმკვლელობით იმუქრება

მეხუთე საპყრობილის პატიმარი ალეკო პაპინაშვილი მიიჩნევს, რომ მისი უფლებები ირღვევა და დახმარებისთვის სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის ორგანიზაციას მიმართა.

როგორც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი გიორგი ლაღიძე აცხადებს, იგი შეხვდა პაპინაშვილს, რომელსაც ბრალად ედება კასპის რაიონის სოფელ ხოვლში მცხოვრები, 80 წელს მიღწეული ქალის გაუპატიურება და გაძარცვა.

ლაღიძის თქმით, პატიმარი აცხადებს, რომ დანაშაული არ ჩაუდენია, რასაც მოწმეთა ჩვენებები და ექსპერტიზის დასკვნა ადასტურებს.

პაპინაშვილმა ლაღიძესთან საუბრისას განაცხადა, რომ, თუ მისი უდანაშაულობა არ დამტკიცდება, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს.

რამდენიმე დღის წინათ აღნიშნულ ფაქტზე სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის ორგანიზაციის პრეზიდენტმა გენერალურ პროკურატურას მიმართა თხოვნით, სისხლის სამართლის საქმე ხელახლა შეისწავლონ.

ალეკო პაპინაშვილი კასპის რაიონულმა პოლიციამ სამი თვის წინათ დააკავა და სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. **მედია-ნიუსი**

## აზერბაიჯანში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებას მოუთმენლად ელიან

თურქეთში, ბოსფორის სრუტეში ახალი პრობლემები შეიქმნა. დეკემბერში, ამინდების გაუარესების გამო, კიდევ შემცირდა სრუტის ისედაც შეზღუდული გამტარუნარიანობა. შედეგად, ტანკერებს, რომლებიც ნოვოროსიისკიდან თურქეთის გავლით ნავთობის ტრანსპორტირებას ახორციელებენ, 1-2 კვირის გაცდენა უწევთ. ამის გამო, ნავთობის მყიდველები ნავთობკომპანიას გაცდენების გადასახადებს ახდევინებენ. ამ მარშრუტით ტრანსპორტირებას ამჟამად აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია ახორციელებს, რომელიც თითო ტანკერზე 4,5-5 მილიონი დოლარის შემოსავალს კარგავს. ამიტომაც აზერბაიჯანში ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენით ნავთობის ტრანსპორტირების გაზრდა მიუღებლად მიაჩნიათ. ნოვოროსიისკის ნავსადგურიდან მსოფლიო ბაზარზე ნავთობი მხოლოდ თურქეთის სრუტეების გავლით გადის, ხოლო ამ სრუტეებზე ხშირი ავარიების გამო თურქეთის მთავრობამ, უკვე დიდი ხანია, შეზღუდვები შემოიღო. ამის შედეგად, ტანკერს ნოვროსიისკიდან ხმელთაშუა ზღვაში გასვლისთვის 26 დღე სჭირდება, მაშინ, როცა ადრე ამისთვის 3-4 დღე იყო საჭირო. აზერბაიჯანის ნავთობკომპანია ამ პრობლემებიდან გამოსავალს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებაში ხედავს, რომლითაც ნავთობის ტრანსპორტირება უფრო დაბალი ტარიფებით მოხდება და პრობლემებიც ნაკლები იქნება. **მედია-ნიუსი**

## ქარხნის გადასარჩენად გურჯაანელებმა რკინიგზა გადაკეტეს

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ახალი მთავრობა დატაცებული ქონების დასაბრუნებლად უკვე კახეთის რეგიონშიც ამოქმედდა. გუშინ გურჯაანელმა "დემოკრატებმა" და "ნაციონალებმა", რაიონის მოსახლეობასთან ერთად, ჯართით დატვირთულ მატარებელს მაგისტრალი გადაუკეტეს. აღნიშნული ტვირთი გურჯაანის აგურქარხნიდან აზერბაიჯანის მიმართულებით მიდიოდა. "გაერთიანებული დემოკრატების" მტკიცებით, ის ტექნიკა, რომელიც ჯართის სახით საღდებოდა, გაუხსნელი, ჩეხური წარმოების აგურის დამამზადებელი მოწყობილობაა. ბრძანება საქონლის გაყიდვის შესახებ რეგიონის საგადასახადო ინსპექციამ ჩატარებული აუქციონის საფუძველზე გასცა, რადგან შპს "გურჯაანის აგურქარხანას" სახელმწიფოს ვალი ემართა. ტექნიკის აუქციონზე გატანა ჯერ კიდევ 2000 წელს მოხდა, რომელიც 230 ათას ლარად შეფასდა. გასულ წელს კი ამ თანხამ 57 ათას ლარზე დაიწია. ეს კი მაშინ, როცა აგურქარხნის დავალიანება ბიუჯეტში 80 ათას ლარს შეადგენდა. სწორედ ეს იწვევს ყოფილი ოპოზიციის ეჭვს, რომ აუდიტი, რომელიც სამხარეო ინსპექციამ ჩაატარა, არასწორად და სხვა მიზნებისთვის არის გათვლილი. **"ჯერ მარტო ტრანსპორტირება 18 ათასი ლარი ჯდება, განბაჟება კი არანაკლები თანხა,"** - ამბობს "დემოკრატი" ზაზა კობიაშვილი. იგი ახალ ხელისუფლებას ქმედითი ღონისძიების გატარებას სთხოვს. სარკინიგზო მაგისტრალთან თავმოყრილი მოსახლეობა მაგისტრალის გახსნას არ აპირებს. **"თვალში ნაცარს ტყუილად გვაყრიან, 57 ათას ლარს რომ გვეუბნებიან, ასეც არ არის საქმე. ჯერ მარტო ჯართით დატვირთული ვაგონები 160 ათასი ლარისაა. იმის მაგივრად, რომ ქარხნები აღდგეს, პირიქით ხდება. ამ მატარებელს არ გავუშვებთ, მოვითხოვთ ტექნიკის უკან დაბრუნებას,"** - ამბობენ გურჯაანელები. უნდა აღინიშნოს, რომ გურჯაანის აგურქარხანა უკვე ათი წელია, ნადგურდება. ამჯერად კი მისი საბოლოოდ დაშლა დაიწყეს. 16 ვაგონი გამზადებულია საზღვარგარეთ გასატანად. სულ მალე კი მათ 20 ვაგონიც დაემატება და ერთ დროს ძვირადღირებული ტექნიკა აზერბაიჯანში აღმოჩნდება.

## ბი-პი საქართველოში პირველი გარემოსდაცვითი პროექტის განხორციელებას იწყებს

2004 წლის იანვრიდან ბი-პი საქართველოში პირველი გარემოსდაცვითი პროექტის განხორციელებას იწყებს.

31 დეკემბერს კომპანიამ კონტრაქტი გააფორმა ტენდერში გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან - "საქართველოს ველური ბუნების კონსერვაციის ცენტრთან", რომელიც კავკასიური როჭოს კვლევის, მონიტორინგის და კონსერვაციის ღონისძიებათა მენეჯმენტის პროექტს განახორციელებს. ეს არის პირველი კონტრაქტი, რომელიც გაფორმდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების პროექტების გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) ფარგლებში.

3 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა დაყოფილია რამდენიმე მიმართულებად, რომელიც გამოიკვეთა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის ჩატარებული კვლევების და ქართულ და უცხოურ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან კონსულტაციების პროცესში. ასეთ მიმართულებებს განეკუთვნება იშვიათ სახეობათა კონსერვაციის მენეჯმენტი; სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარება; არასამთავრობო ორგანიზაციების უნარჩვევების გაზრდა, გარემოსდაცვით საკითხებში გათვითცნობიერება და სხვა. იშვიათი სახეობების კონსერვაციის მენეჯმენტის სამუშაოს შესრულების წინადადებები 2003 წლის სექტემბრის ბოლოს გამოქვეყნდა.

წინადადებების განხილვის პროცესში დაფინანსებისთვის შეირჩა "კავკასიური როჭოს კვლევის, მონიტორინგის და კონსერვაციის ღონისძიებათა მენეჯმენტის პროექტი", რომლის მთლიანი ბიუჯეტი 250000 აშშ დოლარს შეადგენს. კავკასიურ როჭოზე ყურადღების გამახვილება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ის გლობალურად გადაშენების პირას მყოფ სახეობად ითვლება და კავკასიის რეგიონის ენდემია, მაგრამ "ბუნების და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირის" (IUCN) წითელი ნუსხის მიხედვით განეკუთვნება კატეგორიას - "ინფორმაცია არასრულია", რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ სახეობის მენეჯმენტის ღონისძიებების განსაზღვრა უკიდურესად რთულ ამოცანას წარმოადგენს. გარდა ამისა, მილსადენის მარშრუტი კვეთს იმ ტერიტორიებს, რომელიც ცნობილია, როგორც კავკასიური როჭოს ჰაბიტატი, თუმცა ფაქტიური ზემოქმედება ჰაბიტატზე მინიმალურია.

პროექტს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განახორციელებს საქართველოს ველური ბუნების დაცვის ცენტრი - არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1994 წელს და მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ღონისძიებების ხელშეწყობას. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა დაიწყო 2004 წლის იანვარში და 2005 წლის დეკემბერში დასრულდება. რაც შეეხება თავად მილსადენის მშენებლობას, საერთაშორისო კომერციული ბანკების სინდიკატი უკვე მზადაა, ამისათვის 1,2 მილიარდ დოლარს გამოყოს. "BP-აზერბაიჯანის" მიერ ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პროექტის დასაფინანსებლად 15-მა კომერციულმა ბანკმა სინდიკატი შექმნა, რომელსაც ცნობილი საბანკო ჯგუფები - "ABN AMRO", "Citigroup", "Mizuho" და "Societe generale" უხელმძღვანელებენ. როგორც ცნობილია, ნავთობსადენის მშენებლობა, კრედიტის პროცენტების ჩათვლით, 3,6 მილიარდი დოლარი დაჯდება, საიდანაც 2,95 მილიარდი დოლარი უშუალოდ მშენებლობაზე დაიხარჯება. ამ თანხის 30 პროცენტს თავად აქციონერები დაფარავენ, 70 პროცენტს კი კრედიტის სახით მოიზიდავენ. **24 საათი**

## სააკაშვილი რუსეთის გამოცდილების გაზიარებას აპირებს

საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად რუსეთის გამოცდილების გაზიარებას აპირებს.

"ჩვენ დავამყარებთ წესრიგს სახელმწიფოში, ხალხს მოენატრა წესრიგი, ჩვენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის გამოცდილების გადმოღება გვსურს", - აღნიშნა სააკაშვილმა ტელეკომპანია "ნტვ"-ს ეთერში. მისი განცხადებით, საქართველო პატარა ქვეყანაა და უამრავი პრობლემა დაგვიგროვდა, რომლებიც ძალისმიერი მეთოდით გადაწყვეტას საჭიროებს. რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემას, პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, "საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ მოლაპარაკებების გზით შეიძლება მოაგვაროს. "მე ვერ ვხედავ სამხრეთ ოსეთთან პრობლემას, რადგან აღნიშნული ტერიტორიის 60 პროცენტი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან კონტროლირდება", -აღნიშნა მან. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოსთვის აფხაზეთი იმდენად ღრმა პრობლემაა, რომ არსებული წინააღმდეგობის გადაწყვეტა სამხედრო ძალის საშუალებით, პრაქტიკულად, შეუძლებელია. **ინტერ-პრესი**

## „აღორძინება" ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა



*თამაზ დიასამიძე და "ჩვენი აჭარა" უფრო და უფრო რადიკალურ განცხადებებს აკეთებენ.*

"სახალხო მოძრაობა - ჩვენი აჭარას" ერთ-ერთი ლიდერი თამაზ დიასამიძე "ანტისახელმწიფოებრივ" პოლიტიკურ ორგანიზაციას უწოდებს "აღორძინების კავშირს" და მიიჩნევს, რომ პარტია 28 მარტს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიან საარჩევნო ბარიერსაც ვერ გადალახავს. დიასამიძის განაცხადებით, აღორძინებამ, რომელმაც 4 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, კომპრომეტირებულია საქართველოში და არჩევნებში ხმათა სამ პროცენტსაც ვერ მიიღებს. დიასამიძის აზრით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შესაძლოა, "გასუქებული ნომენკლატურის" 20-25 ათასმა წარმომადგენელმა დაუჭიროს მხარი ამ პარტიას. მისი განცხადებით, "სახალხო მოძრაობა - ჩვენი აჭარა" კიდევ გააძლიერებს კონტროლს საპარლამენტო არჩევნებზე და არჩევნების გაყალბებას არ დაუშვებს.

დიასამიძე არ გამორიცხავს, რომ მან "ნაციონალური მოძრაობისა" და " "გაერთიანებული დემოკრატების" საერთო სიით იყაროს კენჭი არჩევნებში, თუ ამ პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან ასეთი შეთავაზება იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

## *ორი სიტყვით*

**თბილისი.** დღეს სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარა" მშვიდობიანი აქციებით აჭარაში მოქმედ ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე საქართველოს სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშის აღმართვას გეგმავს. მოძრაობის აქტივისტებმა თბილისიდან ბათუმში საქართველოს სახელმწიფო დროშა ჩამოიტანეს და მოძრაობის გამგეობის გადაწყვეტილებით, დღეს, 12.00-იდან 13-საათამდე აჭარის ხუთივე რაიონში, სახელმწიფო დაწესებულებებზე საქართველოს სახელმწიფო დროშას აღმართავენ. "ჩვენი აჭარა" მოუწოდებს ხელისუფლებას, წინააღმდეგობა არ გაუწიოს მათ სახელმწიფო დაწესებულებებზე სახელმწიფო დროშის აღმართვისას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე დღეიდან ქვეყანას პარლამენტის შენობიდან გაუძღვება. გუშინ ნინო ბურჯანაძე სახელმწიფო კანცელარიიდან პარლამენტის შენობაში გადავიდა და 25 იანვრამდე მოვალეობის შესრულებას იქიდან გააგრძელებს. 25 იანვრიდან კი სახელმწიფო კანცელარიაში ახლადარჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გადავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. სოციალისტური პარტიის" ლიდერი ირაკლი მინდელი დიფერენცირებული საარჩევნო ბარიერის მომხრეა. მისი თქმით, თუ დღევანდელი ხელისუფლება 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწევაზე დაწყებული საუბრის რეალურ განხორციელებას დათანხმდება, იგი დიფერენცირებული საარჩევნო ბარიერის მოთხოვნით გამოვა. მას მიაჩნია, რომ საარჩევნო ბლოკებისათვის სხვა საარჩევნო ბარიერი უნდა არსებობდეს, პარტიებისათვის კი, ვინც დამოუკიდებლად იყრიან კენჭს, სხვა - უფრო დაბალი, ვიდრე ეს საარჩევნო ბლოკისათვის იქნება განსაზღვრული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების კომისიების გაერთიანებული აპარატი 2004 წლის 1 თებერვლიდან, საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის აპარატს დაექვემდებარება. ამის შესახებ მოქმედმა პრეზიდენტმა ნინო ბურჯანაძემ სპეციალური ბრძანება გამოსცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი ოფიციალურ შეხვედრებს საფრანგეთისა და ბელგიის პოლიტიკურ წრეებთან გამართავს. დღეს იგი საფრანგეთის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს და საფრანგეთის სენატის "სოციალისტური ფრაქციის" პრეზიდენტს შეხვდება. ნათელაშვილი პარიზის შეხვედრებს საფრანგეთის ნაციონალური ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტ ჰელენ მინონთან შეხვედრით დაასრულებს, რის შემდეგაც იმავე დღეს ბრიუსელში გაემგზავრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ელენე თევდორაძე სახალხო დამცველის თანამდებობაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრის თინათინ ხიდაშელის დანიშვნის წინადადებით გამოდის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი, საქართველოს არჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის ცერემონიაზე დასასწრებად, თბილისში ჩამოსვლას გეგმავს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტად არჩევა მიულოცა ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ემომალი რახმანოვმა, რომელსაც იმედი აქვს, რომ საქართველო-ტაჯიკეთს შორის არსებული ურთიერთობის გაღრმავება მომავალშიც ორი ქვეყნის ინტერესებზე აიგება. რახმანოვი ახლადარჩეული პრეზიდენტის სახელზე გამოგზავნილ მილოცვაში სააკაშვილს ქართველი ერის სამსახურში წარმატებებს უსურვებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სოციალისტური პარტიის" ლიდერი ირაკლი მინდელი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული პოსტ-რევოლუციური ვითარების გამო, ოპოზიცია 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის უნდა გაერთიანდეს, რადგან ყველა ოპოზიციურ ძალას ძალიან გაუჭირდება რაიმე წარმატების მიღწევა. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს ვახტანგ რჩეულიშვილი. მისივე თქმით, "სოციალისტებს" უკვე ჰქონდათ მოლაპარაკებები პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებელთან ნანა დევდარიანთან, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, სურს თუ არა მას პოლიტიკაში დაბრუნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ კანონპროექტთა პაკეტის სრულად მომზადების შემთხვევაში, პარლამენტის მოვალეობის შემსრულებელი გიგი წერეთელი არ გამორიცხავს, რომ მისი განხილვა საკანონმდებლო ორგანომ მომავალი კვირიდან დაიწყოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული თურქი-მესხები საქართველოს ახალი ხელისუფლებისაგან ისტორიულ სამშობლოში - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაბრუნებასა და, შესაბამისად, დაახლოებით 4 წელზე მეტი ხნის წინ ევროსაბჭოსადმი ამ ხალხის რეპატრიაციასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულების შესრულებას მოითხოვენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციაზე მიწვეული არ არის. თუმცა, მიწვევის მიღების შემთხვევაში, ნათელაშვილი ინაუგურაციის ცერემონიალზე დასწრებას არ აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 21 იანვარს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 5 000 000 ხუთი მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

გადახდის სიდიდე განისაზღვრება 25.00 პროცენტული პუნქტით.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 9 ივნისს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 21 იანვრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ბოლო ფაზა

პირველი გვერდიდან

რომ პროგრამაში ადგილი ყოველგვარი შეღავათის გარეშე, მამაკაცებთან კონკურენციის შედეგად მოიპოვა.

საქართველოს მექანიზებული სატანკო ბატალიონიც, წინა სამის მსგავსად, ექსტერიტორიული პრინციპით დაკომპლექტდა და მასში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელია გაერთიანებული. სამხედროების წვრთნის გრაფიკი ძალიან დატვირთულია – ფიზიკური ვარჯიში, ტექნიკის ექსპლუატაცია, ტანკის ტარება, სროლები, ტაქტიკური და სამართლებრივი მომზადება. შაბათ-კვირას კი განწესში მყოფი კონტინგენტის გარდა, სამხედროებს ეძლევათ ქალაქში გასვლისა და ახლობლების ნახვის უფლება. თუმცა, ამ შეღავათით ვერ ისარგებლებს დისციპლინის დამრღვევი. აფხაზეთის ომგამოვლილი ერთ-ერთი სერჟანტი, სახელად თემური, ამბობს, რომ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამამ დაამსხვრია მითი ქართველი ჯარსიკაცის უდისციპლინობის შესახებ.

**"ჯარისკაცი, პირველ რიგში, დისციპლინირებული უნდა იყოს. რაც ჯარს მოეთხოვება, ეს დისციპლინაა. მე რასაც ვაკვირდები, ეს უკვე მეხუთე ფაზაა ჩვენი ჩამოყალიბების და დისციპლინაც უკეთესია და, საერთოდ, ყველაფერი მალე გამოსწორდება."**



*"წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით 2000-მდე პროფესიონალი სამხედრო მომზადდა.*

ქართულ-ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადება უკვე გაიარა სამმა ქართულმა ქვედანაყოფმა, რომლებიც მალე ერთ, კერძოდ მე-11 მოტომსროლელთა ბრიგადაში გაერთიანდება. ამ ბრიგადის ფორმირება ვაზიანის ბაზაზე უკვე მიმდინარეობს. ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი ქართველი სამხედროები ე.წ. "ცხელ წერტილებშიც" გამოჩნდნენ. ქართველ "კომანდოსთა" ერთი ასეული ცხინვალთან ახლოს, სამშვიდობო ბატალიონის შემადგენლობაში, მეექვსე თვეა ასრულებს სპეციფიკურ საბრძოლო დავალებას. 2 თებერვლიდან კი მე-16 სამთო-მსროლელთა ბატალიონის ასეული ერაყში გაემგზავრება. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, რიჩარდ მაილსმა განაცხადა, რომ ქართული ჯარისა და სასაზღვრო დეპარტამენის ცალკეული ნაწილების წვრთნას ამერიკელი სპეციალისტები შემდგომშიც გააგრძელებენ, თუმცა საქართველოს ხელისუფლებას აღარ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ამერიკა დააფინანსებს მათ შრომით ანაზღაურებას.

**"წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა - ეს იყო სპეციალური პროგრამა, რათა მოგვემზადებინა და აღგვეჭურვა ოთხი ბატალიონი. ასე რომ, ეს სეგმენტი მთავრდება. მაგრამ ჩვენ ვაპირებთ მუშაობა არა მხოლოდ წვრთნისა და აღჭურვის მიმართულებით გაგრძელდეს, არამედ გავწრთვნათ საქართველოს არმიისა და სასაზღვრო უწყების სხვა ქვედანაყოფები და, პარალელურად, დავეხმაროთ საქართველოს ხელისუფლებას სამხედრო უწყების რესტრუქტურიზებაში. ასე რომ, თანამშრომლობის პროცესი შემდგომშიც გაგრძელდება,"** - აცხადებს ელჩი მაილსი.

თებერვლის პირველ დეკადაში ამერიკელი ინსტრუქტორები კიდევ ერთ, ამჯერად ლოგისტიკის ბატალიონის გაწვრთნას დაიწყებენ, რისთვისაც კვირის დასაწყისში პენტაგონმა საქართველოში 70-მდე სპეციალური ავტოტრანსპორტი გამოგზავნა. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინსიტრის თანაშემწემ საქართველოს საკითხებში, პოლკოვნიკმა ოთარ შალიკაშვილმა, რომელიც შაბათს გამართულ სამხედრო ცერემონიას ესწრებოდა, ასევე ილაპარაკა თანამშრომლობის ახალ გეგმებზე. შალიკაშვილმა ყურადღება შეაჩერა არასამთავრობო ორგანიზაცია "კიუბიკზე", რომელიც პენტაგონმა საქართველოს სამხედრო უწყების სამოქალაქო სამინისტროდ გარდაქმნის გეგმის შესაქმნელად შეარჩია.

**"ზუსტად რომ ვთქვათ, არსებობდა სამი მოდელი, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ერთ-ერთზე შეჩერდა. მოდელზე, რომელიც სამოქალაქო პირების მხრიდან სამხედროებზე პირდაპირ კონტროლს უზრუნველყოფს. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი დასავლური სამხედრო სისტემის ფუნქციონირებისა. და ჩვენ შევთავაზეთ საქართველოს სწორედ ის მოდელი, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი, სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის მეშვეობით მართავს სამხედრო უწყებას."**

მაგრამ შალიკაშვილის მიერ ხსენებული ამ მოდელის ამოქმედებამდე, საქართველოში გადასაწყვეტია რამდენიმე ძირითადი საკადრო საკითხი. 23 ნოემბრის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, საქართველოს შეიარაღებული ძალების მმართველობაში სრული გაურკვევლობა სუფევს. 19 სექტემბრის შემდეგ ვაკანტურია გენერალური შტაბის უფროსის პოსტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრ გენერალ დავით თევზაძეს 25 იანვარს უჩერდება უფლებამოსილება. ახალი ხელისუფლება კი, ჯერჯერობით, კვლავაც ღიად ტოვებს შეკითხვას, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ქვეყნის მთავარ სამხედრო უწყებას.

# ოპოზიციის მომავალი და საარჩევნო ბარიერი

პირველი გვერდიდან

ერთადერთი რეალური ბერკეტი, რომელიც ოპოზიციას, ასე თუ ისე სულდგმულობის შანსს უნარჩუნებს, საარჩევნო ბარიერის დაწევაა.

ნოემბრის რევოლუციამდე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ძალები ისე იყო გადანაწილებული, რომ შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა რამდენიმე სუბიექტს ხელეწიფებოდა. ესენი იყვნენ: სახელისუფლებო ბლოკი, "ნაციონალური მოძრაობა", "ბურჯანაძე-დემოკრატები", "აღორძინება" და "ლეიბორისტები". შვიდპროცენტიანი ზღვარის მახლობლად "ტრიალებდნენ" "ახალი მემარჯვენეები" და "მრეწველები".

დღეს მკვეთრად განსხვავებული სიტუაციაა. ახალ საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის მყარი გარანტია მხოლოდ "ნაციონალურ მოძრაობასა" და "ბურჯანაძე-დემოკრატებს" აქვთ, რომლებიც 28 მარტის არჩევნებში ერთიანი გუნდით აპირებენ გამოსვლას. აქ წერტილის დასმაც შეიძლებოდა, რადგან ყველა დანარჩენი პოლიტიკური პარტიისა თუ საარჩევნო ბლოკისთვის პარლამენტში შესვლა ერთობ საეჭვო ხდება და ამ მიზნის მისაღწევად მათ უდიდესი ძალისხმევის გამოჩენა დასჭირდებათ.

იმ შემთხვევაში, თუ 28 მარტის არჩევნები სამართლიანად ჩატარდება, საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრა იმ საკმაოდ ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალებსაც გაუჭირდებათ, ვისთვისაც შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა აქამდე პრობლემას არ წარმოადგენდა. მაგალითად, "ლეიბორისტებსა" და "აღორძინებას". სხვებზე ("ახლები", "მრეწველები", "ტრადიციონალისტები", სოციალისტები და ა. შ.) ლაპარაკი ხომ საერთოდ ზედმეტია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ 28 მარტის შემდეგ მონოპარტიული პარლამენტი მივიღოთ. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ასეთი რამ, წესით, დღევანდელი ხელისუფლებისთვისაც მიუღებელი უნდა იყოს: დემოკრატიული საზოგადოებისთვის უჩვეულო ინფრასტრუქტურის შექმნას თავი რომ დავანებოთ, არავინ იცის, მთელი ოპოზიციური სპექტრის ქუჩაში გაყრას მომავალში რა მოჰყვება.

ამიტომ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო დაჟინებით გაისმის ხმები საარჩევნო ბარიერის, მინიმუმ, ხუთ პროცენტამდე დაწევის მიზანშეწონილობის შესახებ. საინტერესოა, რომ ამ მოსაზრებას ევროსაბჭოს ექსპერტებიც არა თუ მხარს უჭერენ, არამედ, მას, რეკომენდაციის სახით, თავად სთავაზობენ საქართველოს ახალ ხელისუფლებას.

იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ბარიერი ხუთ პროცენტამდე დაიწევს, მომავალი პარლამენტი, სავარაუდოდ, მინიმუმ, სამსუბიექტიანი მაინც იქნება: "ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთიანი ბლოკის გარდა, საკანონმდებლო ორგანოში "აღორძინება" და "ლეიბორისტებიც" შევლენ.

გამორიცხული არ არის, პარლამენტის პარტიული სივრცეში კიდევ ერთი გუნდიც ვიხილოთ. ეს მაშინ მოხდება, თუ ის ძალები გაერთიანდებიან, რომელთა შორისაც, ამ მიზნით, ამჟამად კონსულტაციები მიმდინარეობს, - "ახლები" და "მრეწველები", პლუს "ტრადიციონალისტები" და ედპ. მათი სახით პარლამენტში მემარჯვენე-ცენტრისტული ძალის არსებობა, ალბათ, მიზანშეწონილიც კი იქნება მკაფიოდ გამოხატული მემარცხენეების - "აღორძინებისა" და "ლეიბორისტების" - "გასანეიტრალებლად".

რაც შეეხება თავად საარჩევნო ბარიერს, მისი შეცვლა მთლიანად დღევანდელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ამჟამინდელი მმართველი ძალის მხრიდან სათანადო პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულ საკონსტიტუციო ცვლილებას წინ ვერაფერი დაუდგება: მოქმედ პარლამენტში ნამდვილად მოიძებნება 157 დეპუტატი, ვინც საარჩევნო ზღვარის შვიდიდან ხუთ პროცენტამდე შემცირებას სიამოვნებით მისცემს ხმას.




# ნიკოლაიშვილმა მოსკოვიდან გაზის ნაცვლად დენი ჩამოიტანა

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება გაზმომარაგების საკითხს, ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ ეს საკითხი რუსულმა კომპანიებმა ერთმანეთთან უნდა გაარკვიონ. როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ხუთშაბათს "გაზპრომმა" საქართველოს გაზის ბაზრის ერთ-ერთ მსხვილ მომწოდებელ "იტერას" საკუთარი მილებით გაზის ტრანსპორტირება შეუზღუდა. "გაზპრომის" გადაწყვეტილებას, შესაძლოა, "იტერას" კუთვნილი გაზგამანაწილებელი ქსელების, მათ შორის "აზოტის", "ფეროს", "ქუთგაზის" (ქუთაისი), "ბორჯომგაზის", "გორიგაზის", "ზესტაფონიგაზის", "რუსთავგაზის", "მცხეთაგაზისა" და სხვა რაიონული საწარმოების (სულ 12 საწარმო) გაზის გარეშე დარჩენა მოჰყვეს.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი იმედოვნებს, რომ საქართველოს გაზის კორპორაცია საქართველოს რეგიონებს გაზის გარეშე არ დატოვებს. **"საშიშროება იმისა, რომ "იტერას" კუთვნილი უბნები გაზის გარეშე დარჩნენ, ყოველთვის არსებობს. ოფიციალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მექანიზმებით მოხდება მათი უზრუნველყოფა, არ გამაჩნია. რუსული კომპანიების შიდა ურთიერთობები ჩვენი საქმე არ არის. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. შესაძლოა, "გაზპრომმა" თავისი გაზი მიაწოდოს "იტერას", რომელიც მერე მას თავის კუთვნილ საწარმოებში გაანაწილებს,"** – ვარაუდობს მინისტრი მოსკოვში ვიზიტის შემდეგ და აცხადებს, რომ მას ამ საკითხზე არც "იტერასთან" და ვერც "გაზპრომთან" ოფიციალურად არ უსაუბრია. ამ ოფიციალური საუბრისათვის გუშინ მოსკოვს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ალექსანდრე გოცირიძე ესტუმრა.



"რუსული კომპანიების შიდა ურთიერთობები ჩვენი საქმე არ არის".

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორის იური შიუკაშვილის განცხადებით, საქართველოში "იტერას" მომხმარებელ გაზგამანაწილებელ კომპანიებს გაზმომარაგება ჯერ არ შეწყვეტიათ, მაგრამ **"შეუწყდებათ თუ არა მალე, ეს "გაზპრომსა" და "იტერას" შორის გამართული მოლაპარაკების შედეგებზე იქნება დამოკიდებული."**

წარმატებული იქნება თუ არა ალეკო გოცირიძის ვიზიტი მოსკოვში, იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რას შესთავაზებს საქართველოს გაზის კორპორაციის პრეზიდენტი "გაზპრომს". გაზის რუსულ გიგანტს "იტერასთან" კომპრომისი არ სურს, მაგრამ საქართველოს გაზის ბლოკადაში დატოვებას მას საერთაშორისო ვალდებულებები უკრძალავს.

ამის გამო, "იტერას" კუთვნილი ქართული საწარმოების გაზმომარაგება "გაზპრომის" თავკაცის - ალექსეი მილერის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. შესაძლოა, "იტერას" საწარმოები "გაზპრომის" გაზით "თბილგაზის" გაზმომმარაგებელმა – "გაზექსპორტმა" უზრუნველყოს, შესაძლოა - თავად საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციამ.

სანამ მოსკოვში საქართველოს გაზმომარაგების ბედი წყდება, რუსთავის მოსახლეობის დიდ ნაწილს გაზის ნაკადი შეუწყდა. "რუსთავგაზის" ხელმძღვანელობამ ეს ფაქტი გაზის სისტემაში დაფიქსირებული 54-პროცენტიანი კარგვით ახსნა. **"არსებობს ეჭვი იმისა, რომ ეს მილების ავარიული მდგომარეობითაა გამოწვეული. თუმცა, არ არის გამორიცხული, ამ კარგვის მიზეზი დატაცების ფართო მასშტაბი იყოს,"** – აცხადებენ "რუსთავგაზში".

# საჭიროა თუ არა სატრანსპორტო რეგულირების გადასახადი?

*საგადასახადო სისტემაში რთული და, ცოტა არ იყოს, გაუგებარი ვითარება სუფევს. არსებული უამრავი გადასახადის ფონზე, გადამხდელისათვის ძნელი გასარკვევი ხდება რას და რისთვის იხდის, სასიკეთოა თუ საზარალო სახელმწიფოს ამა თუ იმ სტრუქტურისათვის თანხის გაღება და, რაც მთავარია, რა იქნება მომავალში.*

ნინო ნარჩემაშვილი

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში შემუშავებულ და პარლამენტის მიერ 2002 წლის 1 იანვარს დამტკიცებულ კანონს სატრანსპორტო სისტემის რეგულირების შესახებ, რომელიც სატრანსპორტო კომპანიებს ავალდებულებს, სამინისტროს ადმინისტრაციას მომსახურების საფასური გადაუხადოს, ყველაზე სერიოზული რეაქცია საავიაციო სატრანსპორტო კომპანიებისგან მოჰყვა.

ბრიტანეთის, ავსტრიის, თურქეთის, რუსეთისა და უკრაინის საავიაციო კომპანიებმა ეგრეთ წოდებულ რეგულირების გადასახადის გადახდაზე უარი განაცხადეს. ქართულმა ავიაკომპანია "აირზენამ" კი სამინისტროსთან ურთიერთობის გარკვევა სასამართლოს წესით ამჯობინა.

რა მოტივით ამბობდნენ უარს ავიაკომპანიები ტრანსპორტის სამინისტროს მიერ მათთვის დაწესებულ რეგულირების გადასახადზე? სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ჯემალ კახიანი მაშინ ამ მოვლენას უბრალო მიზეზით ხსნიდა - "ფულის გადახდა არავის უნდა". მაგრამ უკეთეს განმარტებად სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი გამოდგება, რომლშიც აღნიშნულია, რომ გადასახდელი თანხის რაოდენობა ნორმირებული არ არის და იგი კომპანიის წლიური შემოსავლების მიხედვით განისაზღვრება. ჯემალ კახიანის განმარტებით, **"სამინისტრო ვალდებულია შეამოწმოს ტრანსპორტის უსაფრთხოება. ავიაკომპანიები და სხვა სატრანსპორტო კომპანიები აიძულოს, დაიცვან უსაფრთხოების წესები, მიიღონ სამინისტროსაგან სერტიფიკატები და ლიცენზიები. ეს არის სამუშაო, რომელსაც სამინისტროს ადმინისტრაცია ასრულებს და რომლისთვისაც უნდა გადაგვიხადონ."**

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო რეგულირების გადასახადის დამტკიცებული წესით მოქმედება და "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების შესახებ კანონში" შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე მისი მოქმედება შეაჩერა.



სატრანსპორტო კომპანიების ძირითადმა ნაწილმა ცვლილებები წყნარად მიიღო.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ მითითებული ცვლილებები შეიმუშავა, სადაც, ფაქტობრივად, იგივე სახელწოდებისა და შინაარსის გადასახადი დარჩა. განსხვავდება მხოლოდ გადასახადებიდან ამოღებული თანხის განმკარგველის ვინაობა. კერძოდ, თანხები დარგში განხორციელებული რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი მარეგულირებელი ორგანოების ანუ ადმინისტრაციების ანგარიშზე ირიცხება, საიდანაც ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო 20 პროცენტს იღებს. საინფორმაციო სააგენტო ინტერ-პრესის ცნობით, საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ გია შენგელიამ გამოსცა ბრძანება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დასაქმებულ სატრანსპორტო საწარმოებს, რეგულირების ახლადფორმულირებული გადასახადის გადახდას ავალდებულებს. ბრძანების მიხედვით, სატრანსპორტო საწარმო, რომელიც მგზავრთა საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ გადაყვანას ახორციელებს, თითოეული ავტომობილის ყოველ სამუშაო დღეზე 1 ლარის ოდენობის რეგულირების საფასურს გადაიხდის, ის საწარმო კი, რომელიც მგზავრების ქვეყნის შიდა არარეგულარულ საავტომობილო გადაყვანას ახორციელებს - 1,5 ლარს.

საერთაშორისო სატვირთო საავტომობილო გადაზიდვით დაკავებული საწარმო რეგულირების საფასურს თითოეულ ნებართვაზე 530 აშშ დოლარს გადაიხდის. საწარმო, რომელიც სახიფათო ტვირთების საავტომობილო გადაზიდვას ახორციელებს, რეგულირების საფასურის სახით თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე 120 ლარს გადაიხდის. ბრძანებულებაში დაფიქსირებულია, რომ სატრანსპორტო სექტორში რეგულირების საფასურის სახით გადახდილი თანხა მთლიანად საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ანგარიშზე ჩაირიცხება. ადმინისტრაცია კი მიღებულ შემოსავალს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს.

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში აცხადებენ, რომ კანონი რეგულირების გადასახადის შესახებ 2003 წლის ბოლოდან ძალაშია და მოქმედებს.

სატრანსპორტო კომპანიების ძირითადმა ნაწილმა ეს ცვლილებები, ყოველ შემთხვევაში - ჯერჯერობით, საკმაოდ წყნარად მიიღო.

თუმცა, გადასახადის ისეთი სახით მოქმედება, როგორსაც სამინისტრო განსაზღვრავს, ქართულ ავიაკომპანია "აირზენაში" კვლავ მიუღებლად მიაჩნიათ. ავიაკომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კახა ნიკურაძე აღნიშნავს, რომ მსგავსი გადასახადი სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს, ოღონდ, ისეთი ფორმით, რომ მომხმარებელი ან მოქალაქე არ დაზარალდეს. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტი კი თავისთავად გულისხმობს გადასახადის თანხის ჩადებას სამგზავრო ბილეთის ტარიფში. მისივე თქმით, ბილეთის გაძვირება, რა თქმა უნდა, როგორც ნებისმიერ სატრანსპორტო კომპანიას, ასევე მომხმარებელს დააზარალებს.

# რამდენიმე რეკომენდაცია ქვეყანაში ინვესტორთა მოსაზიდად

*გასულ წელს საქართველოში უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო. ამის მთავარ მიზეზად ექსპერტები ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებსა და ინვესტორებისთვის რთულად პროგნოზირებად პოლიტიკურ გარემოს ასახელებდნენ. ვარდების რევოლუციამ და 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებმა საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოლიტიკური კურსი და ორიენტაცია ყველასათვის აშკარა გახადა. იგივე ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში ქვეყანაში უცხოელი ინვესტორები უფრო თამამად შემოვლენ, თუკი ახალი ხელისუფლება საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად რამდენიმე "მარტივ" პირობას შეასრულებს.*

ეთერ მამულაშვილი

გასულ 2003 წელს საქართველოში არა მხოლოდ უცხოელი ინვესტორების ნაკლებობა იგრძნობოდა. წინა წლებთან შედარებით, შარშან ადგილობრივი ბიზნესმენებიც პასიურობდნენ. ასე მაგალითად, თუკი 2002 წელს საქართველოში, დაახლოებით, 480 მილიონი ლარის ინვესტიციები განხორციელდა, 2003 წლის ცხრა თვის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 280 მილიონზე ნაკლები იყო. მათ შორის ყველაზე მეტი ინვესტიცია – ას მილიონზე ცოტა მეტი კავშირგაბმულობაში ჩაიდო, ხოლო ყველაზე ცოტა – 2 მილიონ 300 ათასი ლარი - განათლების სექტორში. ინვესტიციებმა შარშან, იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, ყველაზე მეტად თბილისის და აჭარის რეგიონები მოიცვა. უცხოური ბიზნეს-ჯგუფებიდან გასულ წელს განსაკუთრებულად აქტიურობდნენ თურქმენული, ჩინური, გერმანული და ინგლისური ბიზნეს-ჯგუფები. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან 2003 წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია საქართველოში მსოფლიო ბანკმა განახორციელა. ასეთია სახელმწიფო დეპარტამენტის გასული წლის პირველი სამი კვარტლის ოფიციალური მონაცემები (საბოლოო შედეგებს დეპარტამენტი იანვრის ბოლოს გამოაქვეყნებს). ცალკე საუბრის თემაა ე.წ. ჩრდილოვანი ინვესტიციები, თუმცა, საერთო ჯამში, ეკონომისტების შეფასებით, უკანასკნელი წლების განმავლობაში ინვესტიციების, აღრიცხულის თუ აღურიცხავის, შემცირების ტენდენცია აშკარად შეიმჩნევა.

ეკონომიკის ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყანაში უკეთესი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, რამდენიმე მთავარი პირობაა გასათვალისწინებელი. ქვეყანაში სტაბილურ ვითარებასთან ერთად, საჭიროა საგადასახადო სისტემის შეცვლა ისეთ მოდელზე, რომელიც საინვესტიციო საქმიანობის წახალისებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში ექსპერტების აზრი ორად იყოფა. თუკი ერთნი წახალისებაში ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის პარალელურად, ინვესტორებისთვის საგადასახადო შეღავათების აუცილებლობას გულისხმობენ, ეკონომისტთა მეორე ნაწილისთვის საგადასახადო შეღავათები მიუღებელია. ეს უკანასკნელნი ირწმუნებიან, რომ ნებისმიერი სახით შეღავათების არსებობა დაუშვებელია და ქვეყნის, მით უმეტეს - განვითარებადი სახელმწიფოსთვის, მავნებელია.

სხვათა შორის, განსაკუთრებული საგადასახადო შეღავათებით უცხოელი ინვესტორები საქართველოში ერთხელ უკვე სარგებლობდნენ. 1996 წელს, მაშინდელი პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობდნენ საქართველოში მოღვაწე უცხოური ბიზნეს-ჯგუფები. ეს შეღავათები არ ვრცელდებოდა ადგილობრივ ინვესტორებზე. როგორც მაშინდელი პარლამენტარები ამბობენ, ამ კანონის ამოქმედებას იმ დროს ერთადერთი მიზანი ჰქონდა - საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოდინება და ინვესტორების მოზიდვა. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრი კახა დამენია ირწმუნება, რომ მაშინდელი საგადასახადო შეღავათებით ძალიან ბევრმა არასწორად ისარგებლა, რასაც ბიუჯეტის სერიოზული დანაკლისი მოჰყვა. გარდა ამისა, ამგვარმა წახალისებამ სერიოზული ინვესტორების საქართველოში შემოდინებას ხელი ნამდვილად არ შეუწყო. კახა დამენია დარწმუნებულია, რომ ასეთი ტიპის ინვესტორისთვის, საგადასახადო შეღავათებზე მეტად, **"მნიშვნელოვანია სახელმწიფოს კეთილგანწყობა და მთავრობის მხრიდან მხარდაჭერა მათ მიმართ. ამაში კი შემდეგს ვგულისხმობ: ინვესტორისთვის საჭირო ნებისმიერი სახის ინფორმაციის დროულად მიწოდება, ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება, ინვესტორების მოსმენა და მათი პრობლემების გადაწყვეტა. ჩემი აზრით, ნებისმიერი სერიოზული ინვესტორისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაიმე ტიპის შეღავათები. მაგალითად, ტრანსნაციონალური კორპორაციისთვის, რომელსაც რამდენიმემილიარდიანი წლიური ბრუნვა აქვს, დავუშვათ, ასიათასლარიანი შეღავათი ბევრი არაფერია".**

საქართველოს ფინანსური ანალიზის ცენტრის დირექტორი და თსუ-ს პროფესორი ირაკლი კოვზანაძე კი ფიქრობს, რომ საინვესტიციო კლიმატის დღეს არსებული არასახარბიელო მდგომარეობის გამო გარკვეული საშეღავათო რეჟიმის დაწესება, თუნდაც გარკვეული დროით, აუცილებელია. **"ამით უნდა მოხდეს ინვესტიციების წახალისება და შემდგომ, ინვესტიციების ზრდასთან ერთად, ამ შეღავათების პარალელური შემცირება-გაუქმება",** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ირაკლი კოვზანაძემ.

დღეს არსებული ბიუროკრატიული ბარიერები ნებისმიერი ტიპის ინვესტორისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. უცხოური თუ ადგილობრივი კომპანიის დასარეგისტრირებლად, დღეს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ხელმძღვანელ პირებს ოცამდე პროცედურის გავლა უწევთ. სხვათა შორის, მეზობელმა რუსეთმა ამ მხრივ სერიოზული პროგრესს უკვე მიაღწია. აქ ნებისმიერი ბიზნეს-ჯგუფის რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების რაოდენობა 19-დან 12-მდე შემცირდა, ამ პროცედურების განსახორციელებლად საჭირო დრო კი - ექვსიდან სამ კვირამდე. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ მაჩვენებლით რუსეთმა აღმოსავლეთ ევროპის ბევრ სახელმწიფოს (ჩეხეთს, პოლონეთს, უნგრეთს) გაუსწრო.

**"სახელმწიფო ბიუროკრატია ინვესტორის ხელშემწყობად უნდა ჩამოყალიბდეს, დღეს კი პირიქით არის - არსებული ბიუროკრატია ხელს უშლის ინვესტორის ქვეყანაში შემოსვლას",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს კახა დამენიამ.

იმის გამო, რომ საქართველოს ბაზარი მცირეა, ექსპერტების განცხადებით, საჭიროა, ჩვენი კანონმდებლობის მეზობელი სახელმწიფოების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, რათა ინვესტორმა მინიმალური რესურსით შეძლოს არა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, არამედ მთელს რეგიონში შემოსვლა.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ირაკლი კოვზანაძე ახალ ხელისუფლებას დიდი ბრიტანეთის მაგალითს სთავაზობს, სადაც შექმნილია სპეციალური საინვესტიციო სააგენტოები, რომლებიც ხელს უწყობენ უცხოური ბიზნესის განვითარებას და ინვესტიციების შემოდინებას ამ რეგიონში. ამ ტიპის სააგენტოების ფუნქციონირებისათვის სახსრების მოზიდვა ევროგაერთიანების გრანტების ხარჯზე ხდება. სააგენტოების ძირითადი კონკრეტული საქმიანობა, კოვზანაძის თქმით, შემდეგში გამოიხატება: **"მიწის ნაკვეთისა თუ შესაბამისი უძრავი ქონების მოპოვებაში დახმარება, დახმარება ძირითადი საშუალებების მოპოვებასა და შეძენაში, დახმარება საბრუნავი საშუალებებისა და კრედიტების მოპოვებაში, დახმარება მარკეტინგული მიმართულებით და გასაღების ბაზრების მოძიებაში. ამ ორგანიზაციებს ინგლისში "ბიზნეს-ანგელოზებს" უწოდებენ. საქართველო კი პოტენციური ინვესტორებისათვის, ჯერჯერობით, მხოლოდ ანგელოზების დაფრთხობას თუ ახერხებს",** - გვითხრა კოვზანაძემ.

საქართველოში ეკონომიკის აღმავლობისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პარალელურად ხელისუფლებამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილი სამამულო კაპიტალის დაბრუნებას უნდა შეუწყოს ხელი – ასეთია ეკონომიკის ექსპერტების მორიგი რეკომენდაცია ახალი ხელისუფლების მისამართით. ირაკლი კოვზანაძის ინფორმაციით, უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში, საინვესტიციო საქმიანობისათვის შექმნილი არახელსაყრელი პირობების გამო, საქრთველოდან სერიოზული კაპიტალი გავიდა. **"უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი მეზობელი რუსეთის უკანასკნელი ეკონომიკური წარმატებები: რუსეთის ეკონომიკა დღეს იზრდება ისევე სწრაფად, როგორც ჩინეთის და ეს ძირითადად მიიღწეულია რუსული სამამულო კაპიტალის ხარჯზე, რომელიც სამშობლოში ბრუნდება",** - ამბობს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი კოვზანაძე.

ქვეყანაში ინვესტორების მოსაზიდად რეკომენდაციათა ნუსხაში ექსპერტები ხშირად საბანკო რესურსებზე მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას მოიხსენიებენ. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასპირანტთა მიერ ჩატარებული სპეციალური კვლევის დროს უცხოელი ინვესტორების უმრავლესობამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად საკრედიტო რესურსების სიძვირე დაასახელა. ამ შემთხვევაში ეკონომიკის ექსპერტების ერთ-ერთი რეკომენდაცია ასეთია: სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს უცხოელ ინვესტორებს კრედიტის შეღავათიანი პირობებით აღებაში, ან შეიქმნას სახელმწიფო ბანკი, რომლის ფუნქციებში შევა კონკრეტულად ინვესტორების დაკრედიტება პრიორიტეტული მიმართულებებით.

სახელმწიფომ სერიოზული ღონისძიებები უნდა გაატაროს კონტრაბანდასთან და ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად – ასეთია საქართველოში მოღვაწე უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორების მთავარი მოთხოვნა აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. ინვესტორთა ერთი ნაწილი, სხვა პრობლემათა შორის, ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენციის არქონაზე მიუთითებს.

**"ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მეწარმეებისათვის ჯანსაღი, თანაბარი და სწორი კონკურენციული პირობების ჩამოყალიბება სწორად განსაზღვრული საგადასახადო თუ სამართლებრივი გარემოს პირობებში.**

**ეს ეკონომიკის ყველა სუბიექტს საშუალებას მისცემს, იმოქმედოს პირდაპირი ინვესტიციების მოსაპოვებლად, რაც საბოლოო ჯამში ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში დაეხმარება ქვეყანას",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს საპროექტო-სამშენებლო კომპანია "აქსისის" ფინანსურმა მენეჯერმა გივი კორინთელმა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შპს "ელსავაკოს" გენერალური დირექტორის გია გაგუას ცნობით, იმისთვის, რომ გაქარწყლდეს მცდარი ინფორმაცია, თითქოს ლილოს ბაზრობაზე 10 ათასამდე მოვაჭრეა და "შემოსავალი ასტრონომიულ ციფრებს აღწევს", საკრებულოს წარმომადგენლების, ბაზრობის ხელმძღვანელებისა და მოვაჭრეებისგან შემდგარი კომისია ბაზრობის მოვაჭრეთა რაოდენობას აზუსტებს. წინასწარი მონაცემებით, ლილოს ბაზრობაზე 2 ათასამდე მოვაჭრეა. რაც შეეხება მოვაჭრეთა მოთხოვნას - შემცირდეს ვაჭრობის გადასახადი, დირექცია მათ შეღავათს გაუწევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 20 იანვარს საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შვეიცარიის ქალაქ დავოსში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას. სამდღიანი ვიზიტის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი ფორუმში მონაწილე ქვეყნების მეთაურებთან და უცხოელ ბიზნესმენებთან საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის პრესპექტივებს განიხილავს. სააკაშვილთან ერთად, შვეიცარიაში ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც გაემგზავრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის რეგიონში დავით მუმლაძემ გუშინ ბრიფინგი გამართა. მისი განცხადებით, "ელექტროსისტემაში" იმერეთიდან მილიონობით ლარია დატაცებული და არსებული ქაოსური მდგომარეობა ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა შეისწავლონ. "მე უშიშროების სამსახურს გადავეცი მასალები ამ დატაცების შესახებ, რის შემდეგაც რამდენიმე პიროვნებას სასამართლოში დაიბარებენ," – თქვა მუმლაძემ. მისი თქმით, მკაცრი გრაფიკის დაცვით, მხარის ყველა რაიონის ელექტრომომარაგება გაუმჯობესდება. **ინტერ-პრესი**

# დოლარი ძალას იკრებს

ადამ მჭედლიძე

ამერიკული დოლარის უპრეცედენტო დაცემა შეწყდა და, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, შეწყდა დიდი ხნით. ამის მიზეზად ერთდროულად რამდენიმე მოვლენა იქცა.

მთავარი მოვლენა, რამაც დოლარის გამაგრება განაპირობა, აშშ-ს ეკონომიკის სწრაფი ტემპით აღმასვლაა. მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი გასაოცარი ტემპით იზრდება. მკვეთრად აიწია ასევე სამომხმარებლო რწმენის ინდექსმა, რასაც ეკონომისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამან ის განაპირობა, რომ უცხოელი ინვესტორები კვლავ მიეძალნენ ამერიკულ კაპიტალს და დოლარზე მოთხოვნილებამაც, ცხადია, აიწია.

მეორე მიზეზი, რამაც დოლარის აღმასვლა განაპირობა, აშშ-ს ფინანსთა მინისტრის, ჯონ სნოუს განცხადება იყო იმის თაობაზე, რომ მტკიცე დოლარი "ამერიკის ეროვნულ ინტერესებში შედის." ჩანს, დოლარის არნახულმა დაცემამ ვაშინგტონი საგრძნობლად შეაშფოთა მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ამ გარემოების წყალობით აშშ-ს სავაჭრო დეფიციტი საგრძნობლად შემცირდა. "ჩვენ მყარ დოლარს ვუჭერთ მხარს," – განაცხადა სნოუმ და ეს, ალბათ, არც უნდა იყოს გასაკვირი. ცხადია, გაიაფებული ვალუტის წყალობით ექსპორტის ზრდა და სავაჭრო დეფიციტის შემცირება დადებითი მოვლენაა, მაგრამ ამავე დროს, დოლარის, როგორც მსოფლიო ვალუტის სტატუსის ეჭვქვეშ დაყენება ამერიკისათვის ერთობ საშიში თამაშია. თუკი დოლარმა ამგვარი რყევები განაგრძო, მაშინ არ არის გამორიცხული, ის ტრანსაქციები, რომლებიც დოლარებში მიმდინარეობს (უპირველესად, ნავთობით ვაჭრობა!), ევროზე გადავიდეს. აშშ-მ ეს არაფრით არ უნდა დაუშვას.

მესამე მიზეზად ძველ კონტინენტზე ევროს აწევით გამოწვეული შეშფოთება იქცა. ევრობანკმა განაცხადა, რომ იგი შეშფოთებულია ერთიანი ვალუტის ასეთი აწევით, რამაც შესაძლოა დიდი პრობლემები შეუქმნას ევროპულ ექსპორტსა და უარყოფითად იმოქმედოს კონტინენტის ეკონომიკაზე, რომელიც ამერიკულს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მართალია, ძლიერმა ევრომ ევროპა ამ მხრივ უკვე საგრძნობლად დააზარალა, მაგრამ, როგორც იტყვიან, უარესზე უარესი არ დაილევა – თუკი ახლა სავალუტო ბაზარი არ დარეგულირდა და ევრომ დოლარის მიმართ ზრდა განაგრძო, ძველი კონტინენტის მრეწველობა, რომელიც, ძირითადად, ექსპორტზეა ორიენტირებული, რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება. დოლარის დასუსტება არავის აძლევს ხელს.

# ქურთები - განხეთქილების ვაშლი აშშ-სა და თურქეთის ურთიერთობებში

რევაზ ბახტაძე

*ერაყის სახელმწიფო მოწყობის საკითხმა ძველ მოკავშირეებს – ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთობები კვლავ დაძაბა. თურქეთის არმიის მაღალჩინოსნები და პოლიტიკოსები ერაყში სისხლისღვრას არ გამორიცხავენ, თუ ერაყში ეთნიკური ნიშნით ქურთების ფართო ავტონომია შეიქმნება.*

ამჟამად ამერიკის ადმინისტრაციის, ერაყის ლიდერებისა და ერაყის მოსაზღვრე სახელმწიფოების ყველაზე დიდ თავსატკივარს ერაყის მომავალი ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი წარმოადგენს. განსაკუთრებულ აზრთა სხვადასხვაობას კი ქურთების საკითხი იწვევს.

მასუდ ბარზანის, ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერის, განცხადებით, მას ნაკლებად სჯერა, რომ ერაყის მომავალი არჩეული მთავრობა ქურთებს ისტორიული სამშობლოს ტერიტორიაზე თვითმმართველობის განხორციელების შესაძლებლობას მისცემს, მათ შორის - ნავთობით მდიდარ ქალაქ კირკუკში.

ქურთების მიერ ფართო უფლებების მქონე ავტონომიის ან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეას ძალზე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ქურთული უმცირესობების მქონე რეგიონის ქვეყნები - სირია, ირანი და თურქეთი ერაყელი ქურთებისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. ისინი შიშობენ, რომ ნავთობის ხარჯზე ეკონომიკურად აყვავებული ქურთული ავტონომია, ან სახელმწიფო მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებს სეპარატიზმისკენ უბიძგებს.


თურქეთის არმია ერაყში ანკარას ეროვნული ინტერესების დასაცავად მზადაა.

ამერიკელებს კი ამ ქვეყნების პოზიციის გათვალისწინება მოუწევთ, რადგან მათ პოლიტიკას, ერაყის საბოლოო სტაბილიზაციის თვალსაზრისით, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი თურქეთს ეწვია, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კი თეირანში ჩავიდა. იმავე კვირაში ერაყში მცხოვრები შიიტი არაბების ლიდერმა ანკარა მოინახულა. ამ დიპლომატიური ვიზიტების მთავარი თემა სწორედ ქურთების საკითხი იყო.

ქურთების მისამართით გასულ კვირას მკვეთრი განცხადებები თურქმა მაღალჩინოსნებმა გააკეთეს. პარასკევს თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ გენერალმა ილკერ ბასბუგმა გავლენიან თურქულ გაზეთ "მილიეთთან" საუბრისას აღნიშნა, რომ "თუ ერაყში ფედერაცია ეთნიკური ნიშნით შეიქმნება, [ერაყის] მომავალი ძალზე რთული და სისხლიანი იქნება". გენერალი ბასბუგის თქმით, თურქეთი ერაყში ფედერაციის გეოგრაფიული ნიშნით შექმნას ანიჭებს უპირატესობას.

ამას გარდა, ბასბუგმა ამერიკის მისამართით საყვედური საჯაროდ გამოთქვა. მისი განცხადებით, ვაშინგტონმა და ანკარამ ჩრდილოეთ ერაყში ტერორიზმის აღმოსაფხვრელად ოპერაცია დაიწყეს. თუმცა, ამერიკელებმა იმ ტერორისტების წინააღმდეგ ყველა საჭირო ღონისძიება არ გაატარეს, რომლებიც ერაყში იმალებიან. "ჩვენ ველით, რომ ისინი ტერორისტებს არა მარტო ერაყის დატოვებას აიძულებენ, არამედ შეიპყრობენ კიდეც მათ და თურქეთს გადმოსცემენ," - აღნიშნა ბასბუგმა. მას მხედველობაში ჰყავდა ქურთების მუშათა პარტიის წევრები, რომელთა ლიდერი აბდულა ოჯალანი ანკარამ რამდენიმე წლის წინ დაიჭირა და გაასამართლა.

თურქების განსაკუთრებულ გაღიზიანებას ქურთი ლიდერების მიზანმიმართული ქმედებები და განცხადებები იწვევს. ერაყის ქურთისტანში მოქმედი ორი პარტია – ქურთისტანის პატრიოტული კავშირი და ქურთისტანის დემოკრატიული პარტია შეთანხმდა, რომ რეგიონის სამართავად ერთიან ადმინისტრაციას შექმნიან, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისაგან აბსოლუტურად თავისუფალი იქნება, საგარეო, საფინანსო და უსაფრთხოების პოლიტიკის გარდა.

ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერის ბარზანის გეგმით, ერაყში ქურთების ავტონომია უნდა შეიქმნას, სადაც სიჯარი, კირკუკი და ბაღდადის ჩრდილო-აღმოსავლეთით ასი მილის მოშორებით მდებარე რაიონებიც შევა. ბარზანი მოითხოვს, რომ ეს ტერიტორიები ამჟამად არსებულ ადმინისტრაციულ ერთეულებს გამოეყოს და ქურთულ ავტონომიას შეუერთდეს.

ერაყის მმართველი საბჭო დღემდე არსებული ე.წ. ქურთული ზონის ტერიტორიაზე ავტონომიის შექმნას ეთანხმება, მაგრამ მისი გაფართოების წინააღმდეგია.

ბარზანი თავის მოთხოვნებს ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილით ამართლებს. ჰუსეინის მმართველობის დროს ნავთობით მდიდარ კირკუკში ქურთების გავლენის შესამცირებლად არაბების ხელოვნურად ჩასახლება დაიწყო. ზოგიერთი რაიონიდან მან ქურთები გაასახლა კიდეც.

ქურთების მიერ კირკუკის მთლიანად გაკონტროლების მცდელობამ თურქები და არაბები ერთნაირად გააღიზიანა. ცოტა ხნის წინ დაძაბულობის განსამუხტად, ქალაქის მმართველი საბჭო გააფართოეს და მასში ადგილობრივ თურქმენთა და არაბთა მეტი დელეგატი შეიყვანეს.

ამას გარდა, ბარზანი აცხადებს, რომ შეერთებულმა შტატებმა ქურთები ჰუსეინის წინააღმდეგ გაწეული სამსახურისათვის უნდა დააჯილდოოს. ომის დროს ორივე ქურთული პარტიის დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული რაზმები ამერიკელთა სარდლობას დაემორჩილა და აშშ-ს სპეცდანიშნულების რაზმებს ჩრდილოეთის ფრონტის გახსნაში დაეხმარა.

ქურთი ლიდერის ამგვარ მოთხოვნებს თურქეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მეჰმეტ დულგერი მკვეთრი განცხადებებით გამოეხმაურა. "ისინი [ქურთები] ამერიკელთა ხელში სათამაშოდ გადაიქცნენ. თუმცა, თუ ისინი [ქურთები] თავიანთ მოთხოვნებზე ხელს არ აიღებენ, მაშინ ქურთები, რომლებიც გარშემორტყმულები არიან სირიის, თურქეთისა და ირანის მიერ, გაიჭყლიტებიან," - აღნიშნა პარლამენტარმა ინგლისურენოვან "თურქიშ დეილი ნიუზთან" ინტერვიუში.

დულგერმა ქურთებს შეახსენა, რომ ბრიტანეთი და შეერთებული შტატები რეგიონში სამუდამოდ არ დარჩებიან, მათ კი სირიის, ირანისა და თურქეთის გარემოცვაში დამოუკიდებლად არსებობა ძალზე გაუჭირდებათ.

# აფეთქება ბაღდადის ცენტრში

პირველი გვერდიდან

დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ ბაღდადის ცენტრში აშშ-ს მთავარ სამხედრო ბაზაზე მიტანილი იერიში ერაყელი პარტიზანების მხრიდან ნიუ იორკის შეხვედრის წინ ძალის დემონსტრირება იყო. იერიშის ობიექტიც სწორად იქნა არჩეული. ამ ტერიტორიაზე, სადაც ომამდე სადამის სასახლე და მთავარი რეზიდენცია მდებარეობდა, ახლა ერაყში მივლინებული აშშ-ს სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობაა განთავსებული.

აშშ-ს სამხედრო წარმომადგენლის პოლკოვნიკ რალფ ბეიკერის განცხადებით, კამიკაძის ავტომანქანა, დაახლოებით, 454 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერებით იყო დატვირთული.

აშშ-ს არმიის წარმომადგენელი, კაპიტანი ჯეისონ ბეკი კი აცხადებს, რომ აფეთქებიდან მოკლე ხანში სამხედრო ჰოსპიტალში 20 დაღუპული და 29 დაჭრილი მიიყვანეს. დაღუპულთაგან ორი ამერიკელი ჯარისკაცია, ხოლო დანარჩენები ერაყელები არიან. დაჭრილთა შორის კი ექვსი ამერიკელია, რომელთაგან სამი სამოქალაქო პირია. ექიმების განცხადებით, დაახლოებით, 30 დაჭრილი პიროვნება ბაღდადის სხვადასხვა საავადმყოფოებში არიან მოთავსებულნი. ისინი ერაყის მოქალაქეები არიან.

"როიტერის" ტელევიზიის ოპერატორმა თავისი თვალით იხილა შუა გზაზე დაგდებული ქალის გვამი, რომელსაც ერთი ფეხი, აფეთქების შედეგად, აღარ ჰქონდა.

აშშ-ს პირველი ჯავშანდივიზიის წარმომადგენელმა განაცხადა,


კამიკაძის ავტომანქანა, დაახლოებით, 454 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერებით იყო დატვირთული.

რომ აფეთქება იმ დროს მოხდა, როდესაც ბაზაზე შესვლისათვის კამიკაძის ავტომანქანას შემოწმების რიგმა მოუწია. ამ ბაზაზე ამერიკელების მკაცრი კონტროლია დაწესებული და ყველა შემსვლელს და გამომსვლელს საგულდაგულოდ ამოწმებენ.

ირმუკის საავადმყოფოში, დაახლოებით, 12 დაჭრილი ადამიანი მოათავსეს, რომელთაც აფეთქების შედეგად სხვადასხვა სახის ჭრილობები მიიღეს. **"მე არაფერი მესმის, მე არაფერი მესმის,"** - ყვიროდა ივას იბრაჰიმი, რომელიც საწოლზე თავშეხვეული იჯდა და სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა.

**"მე დავინახე ავტომანქანა... მე მართლაც არ ვიცი, რა მოხდა, მე დავინახე ჩამსხვრეული მინები. მე არ ვიცი.... მე არ მესმის,"** - ტიროდა ერაყელი ქალი.

ერაყელი პარტიზანები რეგულარულად ახორციელებენ თავდასხმებს აშშ-ს სამხედროების და იმათ წინააღმდეგ, ვინც ამერიკელებთან თანამშრომლობს.

ამ თავდასხმამდე ბოლო დიდი აფეთქება კვლავ მანქანაში ჩამონტაჟებული ბომბის საშუალებით ქალაქის უდიდეს რესტორანში მოხდა, რის შედეგადაც რვა ადამიანი დაიღუპა და ოცდაათი დაიჭრა.

შაბათს, ბაღდადის ჩრდილოეთში გზის პირას დადებულ ნაღმზე აფეთქებისას სამი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა.

გასულ წელს ერაყში შეჭრიდან დღემდე 500 ამერიკელი ჯარისკაცია დაღუპული, რაც პრეზიდენტ ბუშისთვის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ყველაზე დიდ პრობლემად რჩება.

*როიტერი*


## ტექმომსახურების მგეგმავი

**კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს ტექმომსახურების მგეგმავის თანამდებობის დასაკავებლად. ტექმომსახურების მგეგმავი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.**

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ტექმომსახურების მგეგმავი ანგარიშვალდებულია ექსპლოატაციის მთავარი მგეგმავის წინაშე. პროექტის მიმდინარეობასთან ერთად ფუნქციები გაფართოვდება და შესაფერისი პირებისათვის მოსალოდნელია შეიქმნას თანამდებობრივი წინსვლის შესაძლებლობები. პროექტის წინასაექსპლოატაციო ფაზიდან ექსპლოატაციის ფაზაზე გადასვლასთან ერთად შეიცვლება მოვალეობებიც.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ტექმომსახურების მგეგმავის ზოგად მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

**წინასაექსპლოატაციო ფაზაზე:**

- ერთობლივი მუშაობა მთავარ მგეგმავთან ტექმომსახურების მენეჯმენტის ახალი სისტემის დანერგვის სფეროში.
- კოორდინირებული მუშაობა ტექმომსახურების კონსულტანტებთან - მიმდინარე პროფილაქტიკური ტეომომსახურების, სამუშაოს გეგმების და ინსპექტირების ღონისძიებების შემუშავების სფეროში.
- მონაწილეობა ტექმომსახურების და ინსპექტირების გრაფიკების შემუშავების და საწყისი ოპტიმიზაციის პროცესში, რათა ისინი მზადყოფნაში იყოს ექსპლოატაციის დაწყების მომენტისათვის აზერბაიჯანსა და საქართველოში.
- მთავარ მგეგმავთან ერთად, საინჟინრო და ტექმომსახურების ჯგუფის ექსპლოატაციისათვის მზადყოფნის გაკონტროლება და დოკუმენტური აღრიცხვა.
- მთავარ მგეგმავთან ერთად ოპტიმალური პრაქტიკის დანერგვა მთელი სტრუქტურის მასშტაბით, ტექმომსახურების დაგეგმვის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მზადების სფეროში, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ძირითადი ინდიკატორების შემუშავება (შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმები/საშუალებები).

**ექსპლოატაციის ფაზაზე:**

- მჭიდროდ ითანამშრომლებს მთავარ მგეგმავთან, რათა დახვეწოს და დანერგოს ტექმომსახურების დაგეგმვის საუკეთესო პრაქტიკა ტექმომსახურების და ექსპლოატაციის ბრიგადებში. აქვე იგულისხმება ყოველდღიური/ყოველკვირეული დაგეგმვა და საკოორდინაციო შეხვედრები.
- იმუშავებს ტექმომსახურების და ექსპლოატაციის კონსულტანტებთან, რათა ყოველგვარი სამუშაო წარიმართოს ექსპლოატაციის კრიტიკული რეჟიმების მოთხოვნების შესაბამისად, ეფექტურად და უსაფრთხოების პირობებში.
- მთავარ მგეგმავთან ერთად შეიმუშავებს და აწარმოებს გრძელვადიან, საშუალო (12 კვირა) და მოკლევადიან სამუშაო გრაფიკებს, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ტექმომსახურების, ექსპლოატაციის და საპროექტო ღონისძიებები, აგრეთვე ნებისმიერ მესამე მხარესთან და მასალების მარაგებთან დაკავშირებული საკითხები.
- უზრუნველყოფს ტექმომსახურების შესრულების ანგარიშების და შესრულების ძირითადი ინდიკატორების ოპერატიულად მოწოდებას და ანგარიშგებას, აგრეთვე სუსტი სფეროების დროულად გამოვლენას, რომელიც გაუმჯობესებას მოითხოვს, და ადეკვატური ზომების გატარებას.
- უზრუნველყოფს ტექმომსახურების დაგეგმვის ცენტრალურ სისტემაში დაცული მონაცემების თანმიმდევრულობას.
- მოამზადებს დიდი მოცულობის სამუშაო პაკეტის დეტალურ გეგმებს, გააკონტროლებს სამუშაოს მიმდინარეობას და გასცემს სათანადო მაკორექტირებელი ზომების რეკომენდაციებს, გეგმიდან გადახვევის შემთხვევაში.
- უზრუნველყოფს ექსპერტიზას ტექნიკური დაგეგმარების საკითხებში.

**მოთხოვნები**:

- კანდიდატებს მოეთხოვებათ შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- წარსული გამოცდილება ტექმომსახურების სფეროში (საუკეთესო შემთხვევაში, 3 წლის განმავლობაში).
- სწავლების და კომუნიკაციის კარგი უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის კარგი უნარი (Microsoft Office, ტექმომსახურების სისტემის სერვის-პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება).
- გუნდის წევრად მუშაობის სურვილი.
- სასურველია ტექმომსახურების დაგეგმვის სისტემის, სერვის-პროგრამის ან MS Project-ის ცოდნა, თუმცა გათვალისწინებულია ტრენინგი ამ სფეროში.
- განათლების დიპლომი, სასურველია ტექნიკურ დარგში.
- ინგლისური, რუსული და ქართული ენების თავისუფლად ფლობა (წერილობითი და ზეპირი).
- საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

განაცხადის შემოტანის წესი/დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობების დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2004 წლის 3 თებერვალი, სამშაბათი.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია, BP-საქართველო**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**


## ორი სიტყვით

**პაკისტანი.** პაკისტანის ხელისუფლებამ შვიდი ექვმიტანილი დააპატიმრა, რომელთაც საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაცია "ალ-ქაიდასთან" კავშირში ედებათ ბრალი. დაკავებულთაგან ხუთი მამაკაცი და ორი ქალია. როგორც იუწყებიან, ისინი უცხო ქვეყნების მოქალაქეები არიან. ჩხრეკის დროს, პაკისტანის პოლიციამ მათი ბინიდან ცეცხლსასროლი იარაღი და ყუმბარები ამოიღო. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, პაკისტანის ხელისუფლებამ "ალ-ქაიდას" წევრობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე ათეული ადამიანი დააპატიმრა და აშშ-ს ხელისუფლებას გადასცა. ყარაჩიში ეჭვმიტანილების დაპატიმრების პარალელურად, პაკისტანის შეიარაღებული დანაყოფები კვლავ აგრძელებენ ავღანეთის საზღვრის მთიან რეგიონებში სპეცოპერაციას, რომლის მიზანს ამ რაიონებში მოქმედი თალიბების და "ალ-ქაიდას" ნარჩენების განადგურება წარმოადგენს. როგორც იტყობინებიან, ოპერაცია წარმატებით მიმდინარეობს. დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

■ ■ ■

**აშშ.** დღეს აშშ-ს შტატ აიოვაში დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერები აშშ-ს პრეზიდენტის პოსტზე თავის კანდიდატურას აირჩევენ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, დემოკრატებიდან პრეზიდენტობის პოსტზე ერთდროულად ოთხი კანდიდატი ლიდერობს. ესენი არიან: ჯონ კერი, ჰაუარდ ლინი, დიკ გეპჰარდტი და ჯონ ედვარდსი. თუ პირველი ორი ერაყში ჯორჯ ბუშის პოლიტიკის მკვეთრი კრიტიკით გამოდის, გეპჰარდტი და ედვარდსი ამომრჩეველთა ყურადღების აშშ-ს ეკონომიკაზე კონცეტრირებას ცდილობენ.

*თვალსაზრისი*

# ვარდს გაეფურჩქნა კოკორი

თამარ კინწურაშვილი

როცა იოსებ ჯუღაშვილი ამ სტრიქონებს წერდა, უეჭველია, არ ეცოდინებოდა იმის შესახებ, რომ მისი დაბადებიდან 88 წლის შემდეგ, ზუსტად 21 დეკემბერს, ქვეყანას კიდევ ერთი ბელადი მოევლინებოდა, ოღონდ, ვარდების რევოლუციის ბელადი.

ახლა დამთხვევებსა და მისტიურ მინიშნებებზე საუბრის უფლება, ალბათ, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილმა შეიძლება მისცეს საკუთარ თავს. ჩვენ კი, მოკვდავები, მხოლოდ იმის დანახვას შევეცდებით, რა შეიცვალა და რა არ შეიცვალა საქართველოში მას შემდეგ, რაც "ვარდს გაეფურჩქნა კოკორი"?

პირველი, რაც უეჭველად გაჩნდა, იყო **იმედი**, რომელიც სააკაშვილამდე ხალხს ჯერ ანტიკომუნისტი გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში მოსვლამ, შემდეგ კი დანგრეულ თბილისში კომუნისტი შევარდნაძის მობრუნებამ გაუჩინა. გამსახურდიას 87 (1991 წელი) და შევარდნაძის ჯერ 74 (1995 წელი) და 79 (2000 წელი) პროცენტების შემდეგ, "ნაციონალისტთა" (ამ სიტყვის სააკაშვილისეული გაგებით) ლიდერმა 97-პროცენტიანი რეკორდი მოხსნა. კარგია ასეთი მაქსიმალიზმი თუ ცუდი, მომავალ არჩევნებზე მოვიკითხოთ, ისევე, როგორც საქართველოში არჩევნებზე დამკვიდრებული უალტერნატივობის ტრადიცია.

სააკაშვილის წარმატების მიზეზი, უეჭველია, იყო ის, რომ სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, მან ხალხთან საუბარი ხალხისთვის გასაგებ ენაზე შეძლო. ახლა მთავარია, ხალხის რჩეულ პრეზიდენტს არ გაუჩნდეს ილუზია, რომ ჩემს მეზობელ მაროს, იმის ბიძაშვილ პაკოს, პაკოს თანაკურსელ ზვიოს, ზვიოს მაზლიშვილ ჯუანშერს, ჯუანშერის დეიდაშვილის მულს ელპიტეს და... ჯამში, მთელ "ქართველ ხალხს" ის ავლაბრის "გაის" შენობა მოსწონს საცხოვრებლად, ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა თვალი რომ დაადგა.

ისე, ოფისში ბიაზის გადაჭიმვით და ჭაღის დაკიდებით პირველი საპრეზიდენტო ნაბიჯების გადადგმა არც თუ ისე კარგი ნიშანი უნდა იყოს, მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის.

გაცილებით სერიოზული დღეს იმ ჩინოვნიკთა სახლებში "ჭაღების" ჩამოხსნაა, რომელთაც, როგორც ჰპირდებიან, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს "ნაშოვნს" სააკაშვილის პრეზიდენტობისას ძმრად ადენენ. იმედთან ერთად, ხალხს სწორედ იმის **მოლოდინი** აქვს, რომ სააკაშვილი მდიდრებისთვის წართმეულ ღარიბებს დაურიგებს. ვარდების რევოლუციის ბელადის იუსტიციის მინისტრობისდროინდელი კა- [illegible] ობის ანაბრების მითვისებაში. ნიშნავს თუ არა ეკონომიკის ყოფილ მინისტრს დაქვემდებარებული ტელეკომპანია "მზის" დამშვიდებული ტონი იმას, რომ ჩხარტიშვილმა ხელშეუხებლობის გარანტიები მიიღო და მისი **მზე** ჯერ არ ჩაესვენება, ეს იმ მეანაბრეებმა იკითხონ, რომელთაც უკანონოდ წართმეულის კანონიერად დაბრუნებას ჰპირდებოდნენ.

ხელშეუხებელ ფიგურათა შორის გარანტირებული ადგილი აქვს ნაყიდი ბადრი პატარკაციშვილსაც, რომელიც, კაცმა რომ თქვას, სხვა ფულიანთაგან განსხვავებით, ყველაზე "სუფთად" გამოიყურება და ისიც იმიტომ, რომ მან მეზობელ რუსეთში იმდენი იშოვა, რომ საქართველოში ისე არ გასჭირვებია, ისევ ძველი საქმისთვის მიეყო ხელი. მართალია, ბადრი პატარკაციშვილს საქართველოში არავითარი ოფიციალური სტატუსი არ გააჩნია, მაგრამ თავისი ფინანსური გავლენის წყალობით, პოლიტიკურ ამინდზე გავლენის მოხდენას ის ყოველთვის მოახერხებს. იქნება ისევ ისე, როგორც ეს შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს იყო: პატარკაციშვილს ყოველი მოქმედი ხელისუფლება შეახსენებს იმას, რომ მის თავს რუსეთის გენერალური პროკურატურა ითხოვს და ისიც, თავის მხრივ, შეეცდება, ანგარიში გაუწიოს მათ, ვინც მის ფინანსურ შესაძლებლობებს უწევს ანგარიშს.

შევარდნაძის მემკვიდრე ანგარიშს არათუ პატარკაციშვილს, სტუდენტთა ნაწილის მიერ კორუფციაში ბრალდებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსაც უწევს. რევოლუციის შემდეგ სააკაშვილმა რონ მეტრეველს უნივერსიტეტში ერთხელ სტუმრობა არ "აკმარა" და მეორედ გადანახულებისას კიდევ ერთხელ გადაუსვა თავზე ხელი. მისისიპდალეულმა სააკაშვილმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის, რაც საფერშლოდამთავრებულ შევარდნაძეს არ აპატიეს - რომ ის არ დაუშვებდა 16 წელს გადაცილებული სტუდენტების პოლიტიზებას.

ნოემბერში ვარდების გაფურჩქვნის შემდეგ არც ახლადარჩეული პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური კურსი შეცვლილა. სააკაშვილი საგარეო ფრონტზე დღეს თითქმის ისეთივე შინაარსის განცხადებებს აკეთებს, როგორსაც მისი წინამორბედი აკეთებდა. რუსული საინფორმაციო საშუალებების ობიექტივების ქვეშ სააკაშვილი რუსეთის მოკავშირეობაზე დებს თავს, ევრონიუსის ეთერში - ევროპელობაზე (თანაც, ყოველგვარი მაშასადამეების გარეშე), "სიენენელ" კორესპონდენტებთან კი თავისი ამერიკული "ბექგრაუნდით" კეკლუცობს. რუსეთის ბაზებთან დაკავშირებით გაკეთებული არაადეკვატური განცხადებები და, საერთოდ, ქვეყნის უსაფრთხოების დოქტრინაზე მსჯელობა ცალკე თემაა, რომელსაც ალბათ, უპრიანია ინაუგურაციის შემდეგ მივუბრუნდეთ. ამ ეტაპზე კი მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: წარსულსა (შევარდნაძე) და აწმყოს (სააკაშვილი) შორის განსხვავება ისაა, რომ მომავალ პრეზიდენტს თარჯიმნების გარეშე შეუძლია გაუმკლავდეს, სულ მცირე, ოთხენოვან (ინგლისური, ფრანგული, უკრაინული, რუსული) ჟურნალისტებს.

ალბათ, კიდევ ბევრი რამის ჩამოთ- [illegible] ხალხს ყოველდღე თითო "ცოდვილი ბარტყი" გადაუგდოს?

რა ნიშნით მოხდება ციხეში გასაგზავნი "ხალხის მძარცველების" შერჩევა და გამოძებნის თუ არა სააკაშვილი მის მიერ აშენებულ რუსთავის ციხეში ადგილს იმ კორუმპირებულებისთვის (თუ კორუმპირებულობაზე პრეტენზიის მქონეთათვის), რომლებიც მის ახლო-მახლო დაიარებიან?

და საერთოდ, რა იქნება იმის შემდეგ, რაც რუსთავის ციხე სრული დატვირთვით ამუშავდება?

*განცხადება*

# სამოქალაქო საზოგადოება "დარბაზი"-ს ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ,

სახელმწიფო ტელევიზია "I არხი" იმ ფორმით და ფუნქციით, როგორიც არსებობს დღეს, ჩვენი ღრმა რწმენით, არ შეესაბამება დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტებს და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნილებებს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში უნდა არსებობდეს ნამდვილი საზოგადოებრივი ტელევიზია, რომელიც მართვის სათანადო მექანიზმების მეშვეობით დაცული იქნება ცალკეული პოლიტიკური ძალებისა და ინტერესთა ჯგუფების გავლენისაგან.

უნდა შეიქმნას ტელევიზია, რომელიც მიუკერძოებლად, ღრმად და სამართლიანად გააშუქებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ხელს შეუწყობს საქართველოში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას. აგრეთვე, საზოგადო ტელევიზია უნდა გახდეს ისტორიის, კულტურისა და მეცნიერების მუდმივი პროპაგანდისტი, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში. საზოგადო ტელევიზია უნდა გახდეს ჩვენი ხალხისა და მომავალი თაობების განვითარების ნამდვილი საყრდენი.

სამოქალაქო საზოგადოება "დარბაზი" ამ საკითხის გადაწყვეტას მიიჩნევს ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად და მზადაა მასთან თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით საზოგადოება "დარბაზი"-ს მთავარი საბჭო:

1. რამაზ ჩხიკვაძე, საპატიო პრეზიდენტი
2. გოგი ოჩიაური
3. ზურაბ კიკნაძე
4. გიორგი შენგელაია
5. ვახუშტი კოტეტიშვილი
6. ნანა ალექსანდრია
7. შოთა ნადირაშვილი
8. დათო უსუფაშვილი
9. ნინო ბურდული
10. ვანო კილურაძე
11. დათო მაღრაძე, მთავარი საბჭოს თავმჯდომარე
12. თემურ ნანეიშვილი

სამოქალაქო საზოგადოება "დარბაზი"-ს საკოორდინაციო ცენტრი:

1. ნიკუშა შენგელაია
2. ზაალ სამადაშვილი
3. ირაკლი ჩარკვიანი
4. ირაკლი კაკაბაძე

# არასამთავრობოების მოთხოვნა

*კომპეტენტური არასამთავრობო ორგანიზაციები დედაქალაქის დასუფთავებასთან დაკავშირებით საკუთარ აზრსა და მოთხოვნებს სთავაზობენ თბილისის საკრებულოს. სწორედ ამ საკითხს ეხება არასამთავრობო ორგანიზაცია "უსაფრთხო საქართველოსათვის" თავმჯდომარის, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის, თინა ალავიძისა და არასამთავრობო ორგანიზაცია "ეკოლოგიისა და სამართლის ინსტიტუტის" თავმჯდომარის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის თინათინ დვალის მიერ "24 საათში" მოტანილი წერილი.*



*ნაგავსაძოვარი.*

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვაზე გაწეული ხარჯები, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, არათუ მატულობს, არამედ კატასტროფულად კლებულობს. შეიძლება ითქვას, რომ გარემოს დაცვა და ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა მიჩნეულია უკანასკნელ პრიორიტეტად, რაზედაც გარემოს დაცვის მიმართ პოლიტიკოსების ფორმალური მხარდაჭერაც მეტყველებს; და ეს გარემოსდაცვითი კანონების მინიმალური რაოდენობითაც დასტურდება. ისინი, ძირითადად, ადგენენ ზოგად სამართლებრივ ნორმებს, რომელთა შესასრულებლად არ არის მიღებული უფრო დეტალური, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს არასაკმარის გამოცდილებასთან და ინსტიტუციურ სისუსტესთან.

პრობლემა გაამწვავა შიდამიგრაციულმა პროცესებმაც. კონფლიქტის ზონებიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის 33 პროცენტი ხომ დედაქალაქშია თავმოყრილი. საერთოდ, თბილისში ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 39 პროცენტი, რის გამოც, თბილისი კვლავ რჩება განათლების, კულტურისა და მრეწველობის მონოპოლისტურ ცენტრად. თანამედროვე მსხვილი ქალაქებისათვის დამახასიათებელმა დაჩქარებულმა განვითარებამ, განაშენიანების სიმჭიდროვემ და მოსახლეობის მაღალმა კონცენტრაციამ მრავალი არასასურველი ტენდენცია მოიტანა. ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას, მეტიც, დეგრადაციას განიცდის სიცოცხლის უზრუნველმყოფელი, პრაქტიკულად, ყველა ბუნებრივი კომპონენტი!

კონსტიტუციაში წერია: "ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი, ყველა ვალდებულია, გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს...

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას."

ჩვენმა ორგანიზაციებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, დეტალურად შეისწავლეს დედაქალაქის სანიტარიული დასუფთავების მდგომარეობა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-გაუვნებელყოფის საკითხები, ჩატარდა ნარჩენების შემადგენლობის მონიტორინგი, შესწავლილ იქნა ქალაქის სანიტარიული დასუფთავების საქმეში შექმნილი პრობლემები, ფინანსები, ქალაქის ბიუჯეტი და სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას ქალაქის მოსახლეობისათვის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ქალაქის ტერიტორიის სანიტარიული დასუფთავების მდგომარეობის გაუმჯობესება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა-გაუვნებელყოფის მოწესრიგება ქალაქის მერიისა და საკრებულოსათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ეკოლოგიური მიმართულება უნდა იყოს, რაც მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის პირობა გახდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ არა მარტო გავანადგურებთ ჩვენს ჯანმრთელობას, არამედ საფრთხეს შევუქმნით მომავალ თაობას, რასაც უკვე ვაკეთებთ კიდეც!

ყველა ის კანონი, რომლის მისაღებადაც იღვწის ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ფუჭი იქნება, რადგან არც ერთი კანონი არ მუშაობს და არც იმუშავებს, თუ სასწრაფოდ არ შევქმნით კონკრეტული ნაბიჯების გადასადგმელად შესაბამის პირობებს.

აღნიშნული ეკოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად უმნიშვნელოვანესია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელების საკითხის მოწესრიგება, რომელთა შემდგომი ფუნქციონირება, ამჟამინდელი სახით, ფაქტობრივად, შეუძლებელია და იწვევს არა მარტო საერთო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას, არამედ წარმოადგენს ინფექციური და ინვაზიური დაავადებების წარმოშობისა და გავრცელების უდავო კერას.

ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედი სამი ნაგავსაყრელი ვერ პასუხობს გარემოსდაცვით და სანიტარიულ მოთხოვნებს. დარღვეულია ყველა მოთხოვნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად გვხვდება სხვა სახის ნარჩენები, მათ შორის, ტოქსიკური და რადიაციული. ადვილად ხსნადი ტოქსიკური ნაერთები, ატმოსფერული ნალექების მეშვეობით, ხვდებიან გრუნტის წყლებში და აბინძურებენ მათ. რაც თავი გვახსოვს, სულ ხმაურია ატეხილი ნაგავსაყრელებზე გამოკვებილი პირუტყვისა და ფრინველის ხორცის სავაჭრო ქსელში გადინებაზე. გავიხსენოთ, თუნდაც, გასულ წელს ატეხილი აურზაური. მაგრამ, არც ამის შემდეგ გაკეთებულა არაფერი ნაგავსაყრელების შემოღობვისა და დაცვის საკითხის მოსაწესრიგებლად. არადა, ნაგავსაყრელებზე გამოკვებილი პირუტყვი და ფრინველი დაავადებების გამომწვევი ბაქტერიების პოტენციური მატარებელია.

დღეისათვის, სამწუხაროდ, დაუფინანსებლობის გამო, არ არსებობს ნაგავგადამამუშავებელი ქარხანა. მივესალმებით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ წელს დაიწყება აღნიშნული ქარხნის მშენებლობა. მაგრამ, მიგვაჩნია, რომ ვიდრე ამ საქმის დასაწყებად თანხები აკუმულირდება ქალაქის მერიაში, მანამდე მთელი რიგი საკითხები გადასაწყვეტია, კერძოდ:

1. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად უნდა შემუშავდეს ქალაქის დასუფთავების ოპტიმალური სქემა, რათა პროცესი იყოს გამჭვირვალე. იმის გამო, რომ მოსახლეობა ქალაქს შეგნებულად ანაგვიანებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამუშავებას.

2. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად უნდა შემუშავდეს და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდეს დედაქალაქის სანიტარიული დასუფთავების ახალი კონცეფცია.

იმ შემთხვევაში, თუ კონცეფცია სწორი ფორმით შემუშავდება, იგი ხელს შეუწყობს არა მარტო ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას ან კოსმეტიკურ ცვლილებებს, არამედ იგი იქნება კარგი წინაპირობა ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის ასამოქმედებლად.

ჩვენი ორგანიზაციები მიზნად არ ისახავენ რადიკალური, კერძოდ, კონსტიტუციით მონიჭებული უფლების - გაფიცვის უფლების გამოყენებას, პირიქით, მიგვაჩნია, რომ ჩვენ ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ, რათა დედაქალაქი გამოვიყვანოთ იმ კრიტიკული (ხმამაღლა ვიტყვი - სამარცხვინო) მდგომარეობიდან, რომელშიც, ჩვენდა სავალალოდ, ზემოაღნიშნული მიზეზებით აღმოვჩნდით.

# მხოლოდ სიყვარულით ვერ იარსებებ

*არასამთავრობო ორგანიზაცია, "საფეხურების" პროექტი "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

42 წლის სერგო გრძელიშვილი აფხაზეთის ომის ვეტერანია. აფხაზეთში იგი 1992 წლიდან, თითქმის, ომის დამთავრებამდე იბრძოდა, ოცეულს მეთაურობდა. სოხუმის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე სერგო გრძელიშვილი დაბომბვაში მოჰყვა, ცალი ფეხი დაკარგა და დღემდე პროტეზს ატარებს.

იმ დროს სერგო ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბებული მაშველთა კორპუსის წევრი იყო. მისი გაუქმების შემდეგ კორპუსში მოღვაწე ჯარისკაცების პენსიაც, ავტომატურად, უგზო-უკვლოდ გაქრა. ასე დარჩა სერგო გრძელიშვილი მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი პენსიის ამარა.

ყოველთვიურად სერგოს მხოლოდ 45 ლარს აძლევენ, მას კი ექვსი შვილი ჰყავს. სახელმწიფო დახმარების სახით, მისი მრავალშვილიანი ოჯახი თითო ბავშვზე ხუთ ლარს იღებს. "ჩვენი ოჯახისთვის ეს მხოლოდ ორი დღის სამყოფია," - ამბობს იგი. ექვსი შვილის მამა სახელმწიფოს ხარჯზე, რა თქმა უნდა, ვერ იარსებებს, ამიტომ მას მძიმე დღეების და თვეების გატარება უწევს, როცა სხვადასხვა პროექტებისა თუ პროგრამების შედგენის შემდეგ დაფინანსებას ელოდება.

შარშან, ზაფხულში სერგო გრძელიშვილმა გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციას შეუდგინა სპორტული პროგრამა, რომელიც ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფუნქციონალური რეაბილიტაციის პრობლემას შეეხებოდა. ეს პროგრამა ოთხი თვე გაგრძელდა. თვიური ხელფასი მას 280 ლარი უნდა ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთი თვის ხელფასი მიიღო, დანარჩენს მომავალში შეჰპირდნენ.

გარდა იმისა, რომ პერიოდულად არასამთავრობო ორგანიზაციებთან სხვადასხვა პროექტებში თანამშრომლობს, სერგო სახლში მოსწავლეებსაც ამეცადინებს - მათ სხვადასხვა კომპიუტერულ პროგრამას ასწავლის და მცირე გასამრჯელოსაც იღებს. მისი თქმით, მეუღლე კარგი მქარგველი და მქსოველია - ხანდახან კერძო შეკვეთებსაც იღებს. ეს მათთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საარსებო საშუალებაა.

გრძელიშვილების ოჯახი ცხოვრებას თავს რაღაცნაირად ართმევს - თვეში მათ, საშუალოდ, 100 ლარი აქვთ. გარდა ამისა, სერგო და მისი მეუღლე ორ თვეში ერთხელ მაინც 100 ლარს შოულობენ. მაგრამ, ეს ოჯახი 8 სულისგან შედგება. ესე იგი, თითო მათგანს, საუკეთესო შემთხვევაში, თვეში 15 ლარი ერგება. მალე, თებერვალში გრძელიშვილებს კიდევ ერთი პატარა შეეძინებათ. მიუხედავად სიყვარულისა, რომელიც ბავშვებს ამ ოჯახში აშკარად არ აკლიათ, მათ ელემენტარული მატერიალური უზრუნველყოფაც სჭირდებათ.

*თუკი ვინმეს ამ ოჯახის დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით," კოორდინატორს ირინა სიგუას. ტელ: 8 99 555 113*

# იანვრის დეკლარაცია

ჩვენ, არქიტექტურულ-სამშენებლო, ქალაქთმშენებლობით-გეგმარებითი და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის საქმიანობითა და საკითხებით პროფესიულად და მოქალაქეობრივად დაინტერესებული კერძო პირები, ვართ რა თანამედროვენი საქართველოში განვითარებული საზოგადოებრივი პოლიტიკური მოვლენებისა და მიზნად ვისახავთ რა კონკრეტული პრობლემების მოგვარებას, ვაცნობიერებთ რა ახლად შექმნილი შესაძლებლობებისა და გამოწვევების უნიკალობას, ხაზგასმით აღვნიშნავთ რა, რომ არსებული მძიმე ვითარება არანაირად არ შეიძლება იქნეს ახსნილი ან გამართლებული ზემოთ ნახსენებ სფეროებში არსებული დეფიციტით და პირდაპირ გამომდინარეობს მმართველობის კორუფციული, კორპორატიული და არაკომპეტენტური მეთოდიდან,

**ვაცხადებთ**

რომ მზად ვართ აქტიური პროფესიული და სამოქალაქო მონაწილეობა მივიღოთ არქიტექტურულ-სამშენებლო, ქალაქათმშენებლობით-გეგმარებითი და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის საქმიანობათა სფეროს რადიკალურ და სისტემურ სამართლებრივ, ინსტიტუციურ და აკადემიურ რეფორმირებაში, შემდეგი პირობებისა და პრინციპების გათვალისწინებით:

- დასახლებათა განვითარების (ქალაქთმშენებლობის) პოლიტიკისა და სივრცითი მოწყობის სფერო იქნეს აღიარებული ზოგადი სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მოწყობის ინტეგრირებულ ნაწილად, რაც უნდა დაეყრდნოს შესაბამის სამართლებრივ საფუძველს (მაგ., საქართველოს კანონი სივრცით-ტერიტორიული განვითარებისა და ქალაქთმშენებლობის შესახებ), ინსტიტუციურ ბაზას (მაგ., სივრცითი მოწყობისა და გარემოს სამინისტრო), სტრატეგიულ დოკუმენტებს (მაგ., საქართველოს სივრცითი განვითარებისა და მოწყობის სახელმწიფო სტრატეგიას), სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებში "სივრცითი განზომილების" ინტეგრირებას (მაგ., ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის სტრატეგიის დოკუმენტებში) და ნაციონალური ინფრასტრუქტურის და სამოსახლოს განვითარებისათვის პროგრამულ საბიუჯეტო ხარჯებს და საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვას.

- დასახლებათა განვითარება (ქალაქთმშენებლობა) დაეყრდნოს სუბსიდირების პრინციპს, პირველ რიგში გამართულ, უფლებრივად და ფინანსურად უზრუნველყოფილ ადგილობრივმუნიციპალურ და სათემო თვითმმართველობას, პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმარების თანამონაწილეობით, სოციალური თანხმობისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის პრინციპებს.

- არქიტექტურული საქმიანობის "თავისუფალ პროფესიად" სამართლებრივად აღიარება გარდაქმნილ იქნეს პრაქტიკულად განხორციელებად პრინციპად, გაფართოვდეს "არქიტექტურული საქმიანობის" განსაზღვრება და მოიცვას სრული პროფესიული ციკლი. სამართლებრივად გამოირიცხოს ადმინისტრაციების მიერ ესთეტიკური კატეგორიებით სპეკულირება, გარდა სპეციალური და სამართლებრივად ზუსტად დადგენილი შემთხვევებისა (მაგ., კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე). შეიქმნას წინაპირობები და ხელი შეეწყოს სამართლიან და თავისუფალ პროფესიულ და ბიზნესკონკურენციას, პროფესიული თვითრეგულირებასა და კრიტიკას, გამოირიცხოს პროტექციონიზმი, პრივილეგიები და კორპორატიული ინტერესების დომინირება. შეიქმნას სამართლებრივი წინაპირობები არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტების განხორციელებაზე საავტორო ზედამხედველობის უფლებების რეალიზების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფისათვის.

- კერძო სექტორის მიერ წარმოებული პრაქტიკული (ქალაქ)გეგმარება (პროექტირება) განხორციელდეს სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი (თვით)მმართველობის მიერ შემუშავებული გეგმარებითი პოლიტიკისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსის უზრუნველყოფისა და საჯარო დაკვეთების სამართლიანი გაცემის პრინციპების დაცვის პირობებში. (ქალაქ)გეგმარების სამართლებრივად დაეყრდნოს მიწათსარგებლობის (ტერიტორიების გამოყენებისა) და განაშენიანების რეგულირების კვანტიფიცირებულ (რაოდენობრივ) რეგლამენტირება ზონირების საფუძველზე, და ("ტერიტორიის" სანაცვლოდ) მიწის ნაკვეთის გეგმარების საბაზო ელემენტად აღიარებას. პრაქტიკული ქალაქთმშენებლობა განხორციელდეს საჯარო ოპერატორების (სააგენტოების) მიერ, კერძო მენაშენე სააგენტოების თანამონაწილეობითა და მათ შორის სამართლიანი კონკურენციის, უძრავი ქონების ბაზრის მოთხოვნათა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

- აკადემიური სფერო (კვლევა და სწავლება) რეფორმირებული იქნეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ხარისხიანი, თანამედროვე და კონკურენტუნარიანი განათლება. უმაღლეს სკოლებს, გარდა სწავლებისა, დაუბრუნდეს კვლევის და სამეცნიერო საქმიანობის ფუნქცია. უმაღლესი სკოლები, კერძო კომერციულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, გახდეს კვლევებისა და სამეცნიერო საქმიანობის ცენტრები. შეიქმნას წინაპირობები უწყვეტი პროფესიული განათლებისა და გადამზადებისათვის.

- სამშენებლო სფეროში განხორციელდეს მკაცრი სახელმწიფოებრივი სამართლებრივ-ნორმატიული და სალიცენზიო რეგულირება და კონტროლი. სამშენებლო ლიცენზირების საფუძველი გახდეს არა მხოლოდ კვალიფიკაცია და აღჭურვილობა, არამედ სათანადო საწესდებო და საგარანტიო კაპიტალი. შეიქმნას თანამედროვე, ქართული ზოგად-ეროვნული სამშენებლო ნორმები და წესები მდგრადობის, საზოგადოებრივი და კერძო ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წინაპირობების უზრუნველსაყოფად. განხორციელდეს საგადასახადო სისტემისა და მეთოდებისა კრიტიკული რევიზია.

ამასთან, არქიტექტურულ-სამშენებლო, ქალაქთმშენებლობით-გეგმარებითი და სივრცით-ტერიტორიული მოწყობის საქმიანობათა ზოგადი იდეოლოგია დაეყრდნოს საერთაშორისოდ აღიარებულ დოკუმენტებსა და საქართველოსათვის საერთაშორისო ვალდებულებებად დაკისრებულ პრინციპებისაკენ სწრაფვას:

- ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და კულტურის ასპექტების ინტეგრირებული გათვალისწინებისაკენ, თანამედროვე და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ;

- "თანაბარი შესაძლებლობების სივრცის" განხორციელებისაკენ; პოლიცენტრული განვითარებისა და სასოფლო-საქალაქო განვითარების უთანასწორობათა დაძლევისაკენ;

- ქვეყნის უფრო მაღალი ხარისხის ტერიტორიული და ეთნიკური ინტეგრაციისაკენ, რეგიონული და ადგილობრივი თავისებურებებისა და თვითმყოფადობის დაცვითა და განვითარებით - "ერთობა მრავალფეროვნებაში" პრინციპიდან გამომდინარე; ამავე პრინციპების დაცვით ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისაკენ;

- ჯანმრთელი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საცხოვრისით (საცხოვრებელი ფონდით) უზრუნველყოფის ხელშეწყობისაკენ;

- საცხოვრებელი და სამოღვაწეო ბუნებრივი და ხელთუქმნელი გარემოს მაღალი და განუმეორებელი ესთეტური სტანდარტისაკენ;

- უძრავი კულტურული მემკვიდრეობის განუხრელი დაცვის, გაფართოებისა და განვითარებისაკენ;

- "სივრცითი განზომილებებით" ლიბერალური დემოკრატიისა და ეკონომიკის ეფექტურად უზრუნველყოფისაკენ.

*თბილისი, საქართველო,*
*იანვარი 2004*

# ჩხაიძე და მირცხულავა ციხის საავადმყოფოში ერთ პალატაში იმკურნალებენ

*"აკაკი ჩხაიძემ სადავო თანხა რომც გადაიხადოს, მაინც დავიჭერთ," - ეს განცხადება რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ გააკეთა და ამით, ფაქტობრივად, რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის ბედიც საბოლოოდ განისაზღვრა. თუმცა, აღნიშნულ მითითებას კანონიერ ჩარჩოში მოქცევა სჭირდებოდა, რაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ პირნათლად შეასრულა.*

თამარ კაციტაძე

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ციხეში, უფრო სწორად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საავადმყოფოში გამოკეტილ ცნობილ გვარებს აკაკი ჩხაიძეც მიემატა, რომელსაც ბრალი ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების არაერთგზის დამალვაში.

მართალია, საქართველოს სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოებში რკინიგზის დეპარტამენტთან დაკავშირებით უკვე სისხლის სამართლის ხუთი საქმეა აღძრული, რომლებიც, როგორც სამართალდამცველები ვარაუდობენ, შესაძლებელია ჩხაიძემდეც მივიდეს, მაგრამ ამ ეტაპზე რკინიგზის ყოფილი შეფის დაპატიმრების მიზეზი "ჩითახევ-ბორჯომსა" და "ბჟილჰესს" შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად გადაცემული ქონებისათვის განკუთვნილი ერთჯერადი გადასახადის – 134 141 ლარის, სხვადასხვა მშენებლობებისთვის დღგ-ს და სანქცია-საურავების გადაუხდელობა გახდა. სულ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილი ჩხაიძეს 700 ათას ლარს ედავება. რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, რომლის მტკიცებითაც, მას ბიუჯეტისთვის წინსწრებით 18 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი, გადასახადების დამალვას უარყოფს და დანაშაულს არ აღიარებს.

გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოში, სადაც ჩხაიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი წყდებოდა, რკინიგზის ყოფილი შეფის დანაშაულ-უდანაშაულობაზე მსჯელობა გამოძიებასა და დაცვის მხარეს შორის რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ დავას ესწრებოდა ბათუმის საავადმყოფოდან "მოტაცებული", იქაური ექიმების მტკიცებით, იშემიით, სტენოკარდიით და დიაბეტით დაავადებული ჩხაიძე,



აკაკი ჩხაიძეს სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

რომელმაც პროცესზე, სამ ადვოკატთან ერთად, საკუთარი თავის დაცვის სურვილი თავადვე გამოთქვა.

გამოძიების მტკიცებით, ჩხაიძის მიერ დადებული ხელშეკრულებით, ორი ჰესის - "ჩითახევ-ბორჯომისა" და "ბჟილჰესის" ქონება რკინიგზის დეპარტამენტს სამი წლით იჯარით გადაეცა, რისთვისაც, კანონმდებლობის თანახმად, რკინიგზის იმდროინდელ თავმჯდომარეს ერთჯერადი გადასახადის სახით, ქონების ორი პროცენტი უნდა გადაეხადა, რაც არ შეასრულა და სისხლის სამართლის დამნაშავეც გახდა. სამართალდამცველთა ამ მოსაზრებას კატეგორიულად უარყოფს დაცვის მხარე.

**"იმის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ არსებობს, რომ ჰესები რკინიგზას დროებით სარგებლობაში გადაეცა. აქედან გამომდინარე, ბრალდება აბსურდულია. როგორც ჩხაიძემ სასამართლოზე განმარტა, გაფორმებული ხელშეკრულებით, რკინიგზა მიწოდებულ ელექტროენერგიის თვითღირებულებას იხდიდა და არა სემეკის მიერ დაწესებულ თანხას, რითაც რკინიგზას 3 მილიონ 269 ათასის მოგება მოუტანა",** – აღნიშნა ადვოკატმა ზაზა ღარიბაშვილმა.

გუშინდელ პროცესზე ბრალდების და დაცვის მხარე აღმკვეთი ღონისძიების ფორმაზეც კამათობდა. იმ მიზეზით, რომ ჩხაიძე დაკითხვებზე არ გამოცხადდებოდა, რითიც ხელს შეუშლიდა საგამოძიებო მოქმედებებს და, ამასთან, ზეწოლას მოახდენდა მოწმეებზე, პროკურორი მისთვის სამთვიან პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა. ადვოკატები კი, პირიქით, აბათილებდნენ ბრალდების მხარის მოსაზრებას და შედარებით მსუბუქ ფორმას ითხოვდნენ. ჩხაიძეს სამთვიანი პატიმრობა რომ აეცილებინა, თანახმა იყო, სადავო თანხა გირაოს სახით დაეფარა, რაც შუამდგომლობაშიც დააფიქსირეს. მაგრამ...

დახურულ კარს მიღმა საქმის სამსაათიანი მოსმენის შემდეგ მოსამართლე ზაურ მებონიამ ამდენივე საათი ფიქრს მოანდომა და საღამოს რვა საათზე გადაწყვეტილებაც გამოაქვეყნა, რასაც თავად აკაკი ჩხაიძე აღარ დასწრებია. ადვოკატთა განცხადებით, იგი შეუძლოდ გახდა.

**"ვბრძანებ, დაკმაყოფილდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის კახა სირაძის შუამდგომლობა და აკაკი ჩხაიძეს სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეეფარდოს,"** – ასეთია მართლმსაჯულების გადაწყვეტილება.

იმავე გადაწყვეტილებით, მოსამართლე მებონიამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 დაწესებულების ხელმძღვანელობას დაავალა, ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ემსჯელა და მიეღო გადაწყვეტილება ციხის საავადმყოფოში მის გადაყვანასთან დაკავშირებით. თუმცა, საპყრობილის ხელმძღვანელობას დავალების შესრულება აღარ მოუწევს, რადგან სასამართლოდან გამოყვანისას ჩხაიძეს, სავარაუდოდ, სტენოკარდიული შეტევა დაემართა და იგი პირდაპირ "რეზბალნიცაზე" მიიყვანეს. ჩვენი ინფორმაციით, რკინიგზის ყოფილი შეფი ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის პალატასაკანში მოათავსეს, სადაც მას საჭირო მკურნალობა ჩაუტარდება.

# დავით მირცხულავას პატიმრობაში დატოვებაზე საოლქო სასამართლო იმსჯელებს

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის, ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის, ამჟამად კი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული დავით მირცხულავას ადვოკატი ეკა ბესელია დღეს საოლქო სასამართლოს მიმართავს და მისგან მოითხოვს, გააუქმოს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მირცხულავასთვის სამთვიანი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ. როგორც ცნობილია, ეს გადაწყვეტილება მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა სონღულაშვილმა შაბათს ღამით, გულისა და სისხლძარღვთა კლინიკაში გამოიტანა, რის შემდეგაც დავით მირცხულავა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

**"შაბათს ბრძანების ასლი ვერ მივიღეთ. შესაბამისად, საოლქო სასამართლოში სარჩელის შეტანა კვირას ვერ მოხერხდა, გასაჩივრების ვადა კი ორშაბათს საღამოს იწურება"**, - განაცხადა ბესელიამ. თუმცა, მისი თქმით, სრულიად დასაშვებია, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლოს მსგავსად, ზეწოლა საოლქო სასამართლომაც განიცადოს. როგორც ცნობილია, გამოძიება დავით მირცხულავას, აშოცკი-ნინოწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის უკანონო მშენებლობის ნებართვის გაცემის გარდა, სომხეთის ენერგოკომპანიებთან "არმენენერგოსა" და "მაშკორპორაციასთან" ანგარიშსწორებისას რამდენიმე მილიონი დოლარის მითვისებას ედავება. ბესელიას თქმით კი:

**"მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ, გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა "მაშკორპორაციის" მიერ გამოგზავნილი ახალი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია, რომ "არმენენერგო" და "მაშკორპორაცია" ურთიერთობას ერთმანეთში თავად არკვევენ და საქართველოს მხარეს არაფერს ედავებიან".**

გარდა ამისა, ეკა ბესელია ამბობს, რომ **"პროკურატურა მირცხულავას ჯალათივით მოექცა, როდესაც ის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკიდან ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა, არადა, ექსპერტთა კომისიის დასკვნაში, რომელიც 16 დეკემბერს დაიწერა, აღნიშნულია, რომ მირცხულავას სპეციალიზებულ კლინიკაში სტაციონარული მკურნალობა, სულ ცოტა, ორი კვირის მანძილზე ესაჭიროებოდა".**

მის ამ ინფორმაციას უარყოფენ პროკურატურის წარმომადგენლები, რომელთა თქმითაც, მირცხულავას ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა ესაჭიროება, რითიც არის კიდეც უზრუნველყოფილი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

უკვე გუშინ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ბესარიონ სურგულაძემ უარყო დავით მირცხულავას ადვოკატის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ბრალდებულის მდგომარეობის გაუარესების შესახებ.

ადვოკატის საპირისპიროდ (რომელიც ამტკიცებს, რომ ციხის საავადმყოფოში გადაყვანისთანავე დავით მირცხულავას მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რადგანაც იქ მისი მკურნალობისთვის საჭირო პირობები არ არსებობს და ექიმებს პატიმრისთვის ძლიერმოქმედი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების გაკეთება მოუხდათ), სურგულაძე ირწმუნება, რომ მირცხულავას მდგომარეობა სტაბილურია. მთავარი ექიმისვე განცხადებით, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დავით მირცხულავა მკურნალობისთვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილია. იგი ინტენსიური თერაპიის პალატაშია მოთავსებული. გულისა და სისხლძარღვთა კლინიკიდან კი მისი ავადმყოფობის ისტორია უკვე გამოთხოვილია, რომლის მიღების შემდეგ გადაწყდება, რა მკურნალობის კურსი უნდა ჩაუტარდეს მას.

*24 საათი*

# აფეთქების მიზეზებს მხოლოდ ექსპერტიზა დაადგენს

გუშინ შუადღისას, იზოტოპების ინსტიტუტში მძლავრი აფეთქება მოხდა. აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, ორი კი მძიმედ დაიჭრა.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, აფეთქება ინსტიტუტის მე-14 სართულზე მოხდა, სადაც განლაგებულია ქართულ-ჰოლანდიური ერთობლივი ფარმაცევტული საწარმო CPI GEORGIA. აფეთქების შედეგად დაღუპულები ალექსანდრე ტულუში და ამირან გაგოშიძე, ისევე როგორც დაჭრილები - გვარამია და სიდამონიძე, CPI GEORGIA-ს ლაბორატორიის თანამშრომლები არიან. დაჭრილები თბილისის ცენტრალურ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ ოპერაციები ჩაუტარდათ.

რესპუბლიკური საავადმყოფოს საოპერაციო განყოფილების გამგის, ნოდარ ხმალაძის თქმით, ერთ-ერთი პაციენტის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. კერძოდ, მას აღენიშნება პოლიორგანული, მარჯვენა ფილტვის დაზიანება. მეორე, შემავალი ჭრილობა კი დაზარალებულს გულ-მკერდის მიდამოში აქვს. მას ასევე დაზიანებული აქვს ღვიძლი და ტრაქეა. ხმალაძის ინფორმაციით, პაციენტს სასწრაფოდ ჩაუტარდა მუცლის ღრუს ოპერაცია, გაუკერეს ღვიძლი, გულ-მკერდის ღრუში კი ჩაუდგეს დრენაჟი, რაც, ხმალაძის თქმით, **"ნიშნავს, რომ გარკვეული დაკვირვების შემდეგ, შესაძლოა ავადმყოფის გულ-მკერდის არე ხელახლა გასახსნელი გახდეს".**

რაც შეეხება მეორე პაციენტს, მისი მდგომარეობა შედარებით სტაბილურია, რადგან მას მხოლოდ ზედაპირული ჭრილობები აღენიშნება.

აფეთქებიდან რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე მივიდა პოლიცია და უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები. მათ მასალა აიღეს ექსპერტიზის ჩასატარებლად, რაც აუცილებელია აფეთქების მიზეზის დასადგენად. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საჭიროებასაც სწორედ მოკვლევის პროცესის შედეგები განსაზღვრავს.

წინასწარი ინფორმაციით, საწარმო CPI GEORGIA-ში მზადდება თავის ტომოგრაფიისთვის საჭირო ნივთიერება, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე გადის. ჯერჯერობით, დაზუსტებით ვერავინ ამბობს, კონკრეტულად რამ გამოიწვია აფეთქება, თუმცა, ვარაუდობენ, რომ აზოტის ბალონიდან ნივთიერების სხვა ჭურჭელში გადატანისას ადგილი ჰქონდა ტექნოლოგიური პროცესის დარღვევას.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის პერიოდში იზოტოპების ინსტიტუტი საიდუმლო, ამასთან, სამხედრო თემატიკაზე მუშაობდა. შესაბამისად, იქ წარმოებული ცდებისას ხდებოდა რადიაქტიული ნივთიერებების გამოყენება. მართალია, რიგი საიდუმლო კვლევები იქ ახლაც მიმდინარეობს, თუმცა, ინსტიტუტის თანამშრომლები და, როგორც ჩანს, მათზე დაყრდნობით, თბილისის ახლადდანიშნული პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი ირწმუნებიან, რომ აფეთქების შედეგად არათუ საერთოდ თბილისს, არამედ, ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიასაც რადიაციული დაბინძურების საფრთხე არ ემუქრება. გრიგალაშვილის თქმით, იზოტოპების ინსტიტუტში არა რადიაციული, არამედ სტაბილური იზოტოპები მზადდება, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ არის.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, იზოტოპების ინსტიტუტში მომხდარი ეს უკვე მეორე აფეთქებაა. აფეთქება აქ 2000 წელსაც მოხდა, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა.

*24 საათი*

# მკვლელობის დამკვეთი დადგენილია, კილერი აღიარებით ჩვენებას იძლევა

*ათი დღის წინ ზუგდიდის ცენტრში დაკავებული, რუსეთის მოქალაქე დმიტრი ანდრეევი, რომელსაც ნარკოდანაშაულის ბრალდებით შეუფარდეს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა და რომელიც დაკავების წუთიდან სამართალდამცველების დიდი ინტერესის საფუძველი გახდა, კილერობას აღიარებს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

დაკავებული ანდრეევის ჯიბეში ნაპოვნმა მისამართებისა და სახელ-გვარების ვრცელმა სიამ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამართალდამცველთა სერიოზული დაეჭვება რომ გამოიწვია, ამის შესახებ "24 საათი" ზუსტად ერთი კვირის წინ წერდა. სამართალდამცველები ვარაუდობდნენ, რომ ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულ, საქართველოს ტერიტორიაზე უვიზოდ შემოსულ ანდრეევს სხვა მძიმე ბრალდებებიც დაემატებოდა. **"წინასწარი ინფორმაციით, ანდრეევი საქართველოში შეკვეთილი მკვლელობების სისრულეში მოსაყვანად არის შემოსული",** – ასეთი გახლდათ სამართალდამცველთა ვერსია. მაშინ სამართალდამცველები მკვლელობების სავარაუდო დამკვეთსაც ასახელებდნენ. მათი მოლოდინი გამართლდა.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, დიმიტრი ანდრეევმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა. **"დავალება უნდა შემესრულებინა. 30 ათასი დოლარისა და სოხუმში ბინის სანაცვლოდ გალის გამგებლის ყოფილი მოადგილე დავით შენგელია უნდა მომეკლა",** - ასეთია რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილი, მოსკოვის ოლქის ქალაქ ლუბერეცში მცხოვრები, ლუბერეცის დანაშაულებრივი დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის, ამჟამად ზუგდიდელი სამართალდამცველების ხელში მყოფი დიმიტრი ანდრეევის აღიარება.

ანდრეევი, თავდაპირველად, ზუგდიდში ჩასვლის მიზეზს არ ასახელებდა და გამოძიებას ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს აძლევდა. ორი დღის წინ კი მან დეტალურად ახსნა, როგორ მოხვდა ჯერ გალის ტერიტორიაზე, როგორ დახვდნენ მას იქ აფხაზი და ქართველი კრიმინალები, რომლებმაც მას მკვლელობის ობიექტის – დავით შენგელიას ფოტოსურათი გადასცეს; შემდეგ როგორ გადავიდა ზუგდიდში თანმხლებ პირთან ერთად, რომელსაც გალის გამგებლის ყოფილი მოადგილე უნდა ეჩვენებინა.

ერთი სიტყვით, სცენარი მეორდება. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ დავით შენგელიას მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, უზენაესმა სასამართლომ რუსეთის მოქალაქე იური ფურმანოვი გაასამართლა. მართალია, მას კილერობა არ უღიარებია, თუმცა შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა დაუდასტურდა. ისევე, როგორც მაშინ, მკვლელობის დამკვეთად ახლაც აფხაზი ბოევიკი, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი ვალმერ ბუთბა სახელდება. თუკი ფურმანოვს ბუთბამ შენგელიას მკვლელობა 5 ათას დოლარად დაუკვეთა, ცოტა ხნის წინ დაკავებული ანდრეევის ჩვენების მიხედვით, აფხაზი კრიმინალი, პარტიზანული მოძრაობა "ტყის ძმების" თავკაცისა და გალის გამგებლის ყოფილი მოადგილის ლიკვიდაციისთვის კილერს გაცილებით დიდ თანხას - 30 ათას დოლარს და სოხუმში ფეშენებელურ ბინას ჰპირდებოდა.

ამ ორ დაკვეთილ მკვლელობას შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მაშინ, ფურმანოვმა ბუთბას დავალების განხორციელება სცადა, თუმცა - უშედეგოდ, ანდრეევს კი დავალების სისრულეში მოყვანა არ დასცალდა.

ფურმანოვიც და ანდრეევიც თანმხლებ ქართველებთან ერთად დააკავეს. ბაჩუკი ყოლბაია ის პიროვნება გახლავთ, რომელმაც ფურმანოვს შენგელია აჩვენა და რომელიც კილერთან ერთად გაასამართლეს. ანდრეევთან ერთად კი გალელი ზურაბ აგუმავა დააკავეს. ჩვენი ინფორმაციით, სწორედ ზურაბ აგუმავა უნდა დახმარებოდა ანდრეევს მკვლელობის ობიექტის მარშრუტის შესწავლაში. კიდევ ვინ არის იმ პირთა სიაში, ვინც ანდრეევის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, გამოძიება არ ასახელებს. თუმცა, ანდრეევისთვის ნაპოვნი სია რომ საკმაოდ ვრცელი იყო, ამას სამართალდამცველები თავიდანვე აცხადებდნენ. ვინ იქნება შემდეგი, ვისაც ბრალდებული თავად დაასახელებს, ჯერჯერობით, უცნობია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით და იმ სიიდან გამომდინარე, სადაც გარკვეული მისამართებია მითითებული, ანდრეევს დავალების ბოლომდე შესასრულებლად, ზუგდიდის გარდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უნდა ემოგზაურა.

*პრესინგი*

# გურჯაანის პოლიციის უფროსს ელექტროშოკის გამოყენებაში ადანაშაულებენ

*გურჯაანის პოლიციის შეფი თამაზ მაჭავარიანი, უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, 2003 წელს რაიონში მომხდარი 161 დანაშაულის გახსნას, როგორც ჩანს, ნაცადი მეთოდებით ცდილობს. მაჭავარიანი და მისი უწყების თანამშრომლები, დამნაშავეების ნაცვლად, უდანაშაულო ადამიანებს აკავებენ. მათ დაკითხვას კი ელექტროშოკის გამოყენებით ცდილობენ და ცრუ ჩვენებებს აწერინებენ. ამის დასტურია, შარშან, გურჯაანში მცხოვრები გიორგი ოდლომაშვილის წამება. რაიონის პოლიციამ მას ბრალი ოთარ ბაკაშვილის მკვლელობაში დასდო. ოთხთვიანი პატიმრობის შემდეგ იგი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ჩარევით, რამდენიმე დღის წინ პატიმრობიდან გაათავისუფლეს.*

ზვიად რუაძე
*გურჯაანიდან*

გასული წლის 30 აგვისტოს გურჯაანელი ოთარ ბაკაშვილი საკუთარ ნაკვეთში სადისტურად მოკლეს. მკვლელობის მოწმე, ბაკაშვილის ორ მომიჯნავესთან ერთად, გიორგი ოდლომაშვილიც იყო. **"გარდაცვლილს ჩემს ნაკვეთთან ახლოს ჰქონდა ბოსტანი. იმ დროს, როდესაც ვმუშაობდი, ბაკაშვილის ბოსტნიდან ჯერ უცნაური ხმები, შემდეგ კი ჩოჩქოლი მომესმა. დავინტერესდი და იმ ადგილისკენ წავედი, საიდანაც ხმები მოდიოდა. იქ მისული, შემზარავი ფაქტის მომსწრე გავხდი - ბაკაშვილი "ვილკით" აჩეხილი დამხვდა. მის გვერდით კი 20-25 წლის ახალგაზრდა იდგა, რომელიც დამემუქრა, თუ იტყვი, რაც ნახე, იგივე ბედი გეწევაო. ამის შემდეგ დავტოვე შემთხვევის ადგილი",** - აცხადებს ოდლომაშვილი. თავდაპირველად პოლიციამ ორი მოწმე - ავთანდილ ნიბლაძე და ომარ მათეშვილი დაკითხა, რომლებმაც ცოცხალ-მკვდარი ოთარ ბაკაშვილი საავადმყოფოში მიიყვანეს. დაკითხვის დროს პოლიციამ მათზე ზეწოლა მოახდინა. ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, შემდეგ უკვე მოტყუებით ოდლომაშვილიც დააკავეს. **"პოლიციამ მკვლელობიდან მეორე დღეს დამკითხა. მე რაც ვნახე, ის ვუთხარი და გამიშვეს, მაგრამ მაინც არ შემეშვნენ. როცა ავთოსა და ომარის ამბები გავიგე, პოლიციის უფროსთან შევედი და მოვუყევი, რაც ჩემი თვალით ვნახე, ვუთხარი, რომ ისინი დამნაშავეები არ იყვნენ. ამასობაში პროკურატურაშიც დამიბარეს, თუმცა, მანამდე კრიმინალური პოლიციის უფროსი დამემუქრა, ამიტომაც თავდაცვის მიზნით ადვოკატი ავიყვანე, რომელიც პროკურატურაში დაკითხვის დროს თან მახლდა,"** – ყვება ოდლომაშვილი. პროკურატურიდან გამოსულ ოდლომაშვილს ეზოში პოლიციელები ხვდებიან და აცნობებენ, რომ კრიმინალური პოლიციის უფროსმა მისი ხელახალი დაკითხვა მოითხოვა, მაგრამ დასაკითხად ადვოკატთან ერთად მისული, დანაშაულში ეჭვმიტანილი კრიმინალური პოლიციის უფროსმა სხვა დროისთვის დაიბარა. კაბინეტიდან გამოსულ ოდლომაშვილს პოლიციელებმა მანქანაში ჩაჯდომა და დალაპარაკება სთხოვეს, რის შემდეგაც გაიტაცეს და დააკავეს. **"სამი პოლიციელი დამხვდა. მათ კაცურად დალაპარაკება და მანქანაში ჩაჯდომა მთხოვეს. მოსალაპარაკებლად "ახტალის წყალზე" წამიყვანეს. ამასობაში, პოლიციის "კოლხოზნიკი" მოვიდა, რომელშიც ჩამაგდეს",** - ამბობს დაზარალებული. ამის შემდეგ ოდლომაშვილზე პოლიციამ სერიოზული ზეწოლა მოახდინა. მას ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ - საკანში შეყვანისას დენით აწამეს და ცრუ ჩვენებაც დააწერინეს. **"საკანში შეყვანისას ხელბორკილი დამადეს, ლომი გამიყარეს ფეხებს შუა და ჩამომკიდეს, ყურებზე დენის აპარატი გამიკეთეს და მაწამებდნენ. ბოლოს იძულებული გამხადეს, რომ დანაშაული მეღიარებინა",** - ამბობს ოდლომაშვილი.

გიორგი ოდლომაშვილის წამება ექვს საათს გრძელდებოდა. დალი დალარიძემ ქმრის დაკავების შესახებ პოლიციის უფროსისგან შეიტყო.

ოდლომაშვილების ოჯახის წევრებმა დახმარებისთვის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიმართეს. თბილისში გადაყვანის დროს პოლიცია ოდლომაშვილს დღეში სამჯერ აძლევდა გაფრთხილებას, რომ წამების შესახებ არაფერი ეთქვა. **"გზაში სამჯერ დამირეკეს. მათი თქმით, ბოლომდე უნდა მეღიარებინა დანაშაული და წამების შესახებ სიტყვა არ უნდა დამეძრა. წამების კვალის შესახებ, რომელიც მაჯებზე მეტყობოდა, უნდა მეთქვა, რომ ბაკაშვილი მკვლელობის დროს შემეწინააღმდეგა. თუ სიმართლეს ვიტყოდი, ლიკვიდაციით მემუქრებოდნენ",** - ამბობს დაზარალებული.

როგორც უკვე გამოძიების შემდეგ გაირკვა, პოლიციამ გიორგი ოდლომაშვილის პირველი ჩვენება გაანადგურა და რაიონის პროკურატურაც შეცდომაში შეიყვანა. ერთადერთი, რითაც პოლიცია დანაშაულს ამტკიცებდა, იყო თვითმხილველი ქალბატონი, რომელსაც გარდაცვლილთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და რომელმაც ბაკაშვილის მკვლელობა მომხდარიდან მესამე დღეს შეიტყო.

დაზარალებული ოდლომაშვილი ოთხთვიანი პატიმრობიდან ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წყალობით გათავისუფლდა. ახალგაზრდა იურისტი დავით ხაჟალია პოლიციის უფროსის და კრიმინალური განყოფილების უფროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას აპირებს. **"გურჯაანის პოლიციის ქმედება იმით აიხსნება, რომ მათ სურდათ დანაშაული გაეხსნათ, თუმცა, ვისზე გადატეხდნენ ჯოხს, ეს სულ არ აინტერესებდათ. ამჯერად ჩვენ გავატარებთ ქმედით ღონისძიებებს. საჩივრით შევალთ რაიონის პროკურატურაში და შინაგან საქმეთა სამინისტროში. მოვითხოვთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. გარდა ამისა, თამაზ მაჭავარიანისგან და ავთანდილ ბიწკინაშვილისგან მოვითხოვთ ფიზიკური და მორალური ზარალის ანაზღაურებას",** - აცხადებს იურისტი დავით ხაჟალია.

სხვათა შორის, ავთანდილ ბიწკინაშვილის წინააღმდეგ კახეთის საოლქო პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დენით წამების ფაქტს უკავშირდება. მან, ოდლომაშვილის მსგავსად, ელექტრონული შოკი სოფელ ვეჯინში მცხოვრებ ვალერი სონღულაშვილის მიმართაც გამოიყენა.

# ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

ნინო ჯიშკარიანი
*ლონდონი*




*ფაბი O'neill's ლონდონში.*



უახლეს ისტორიაში საქართველო თანდათანობით ცნობილი ხდება. ამის მიზეზი კი, "წარმატებული ქართული პოლიტიკისა" და "აყვავებული" სახელმწიფოს იმიჯზე მეტად, ათასობით ქართველი ემიგრანტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია გახლავთ. სამწუხაროდ, ჩვენი ამერიკული თუ ევროპული ოდისეა, საკუთარ სამშობლოში არსებული ვითარების გამო, ემიგრანტთა ნაწილისთვის დროებითი, ნაწილისათვის - ხანგრძლივი, ზოგისათვის კი, ალბათ, სამუდამო გამოდგა.

ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი იძულებულია, ქართული დიპლომები მცირე ხნით გვერდზე გადადოს და უცხოეთში მისთვის არაჩვეულებრივ ამპლუაში წარმოადგინოს თავი. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წითელი დიპლომი, ინგლისში ფაბის (ჩვენებურად - "დუქნის") სერტიფიკატმა შეცვალა და მეც, დიდი მონდომების შედეგად, ოსტატურად დავეუფლე მსოფლიოში ცნობილი ლუდის - "Guiness"-ის პროფესიონალურად ჩამოსხმის ტექნოლოგიას.

ინგლისელებს უყვართ ისტორიული ნიუანსების თანამედროვეობაში გამეორება. ეს მათ ტრადიციებში, წეს-ჩვეულებებში, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩაცმის კულტურასა და შენობების ექსტერიერ-ინტერიერის გაფორმებაშიც ადვილად შეიმჩნევა.

ბრიტანელებისათვის "ფაბი" თავშეყრის, ბოდიშის მოხდით კი, "სალოთაო ადგილად" შეიძლება ჩაითვალოს. ამ დაწესებულებების სიგარის სუნით გაჟღენთილ კედლებში არავინ უწყის, დღის განმავლობაში რამდენი ლუდი ისმევა.

"O'neill's" - ასე ეწოდება ფაბს, რომელიც ლონდონის ლივერპულის ქუჩაზე მდებარეობს და სადაც თქვენი მონა-მორჩილი ყოველდღე რუდუნებით ასხამს ქაფქაფა ირლანდიურ და ინგლისურ, მუქი თუ ყვითელი ფერის, ბრიტანელებისათვის ე.წ. "საარსებო ელექსირს". ეს უბანი, ქვეყნის საფინანსო-საბანკო საქმიანობის ეპიცენტრს წარმოადგენს. ასე რომ, ჩვენი ფაბის სტუმართა კონტინგენტიც შესაბამისია. სოლიდურად გამოწყობილი ინგლისელები უსაზღვრო რაოდენობით სვამენ "Guiness"-ს, "Carling"-ს, "Stela"-სა და "Caffery's"-, ამაყად აბოლებენ სიგარას და მუდამ ცდილობენ, კონტაქტში შევიდნენ მათთვის უცხო პიროვნებებთან.

მომწონს ინგლისური "პოლიტიკა", ადვილად განმუხტონ უხერხული სიტუაცია და იუმორით გააქარწყლონ ამ თუ იმ მიზეზით წარმოშობილი არასასურველი მდგომარეობა. ამ ქვეყანაში სახელმწიფო ენა, როგორც ასეთი, ერთადერთია - ინგლისური, თუმცა წარმოთქმაში სხვადასხვა კუთხის მიქსი ყოველთვის იგრძნობა. პირველ პერიოდში, ნერვიულობის გამო, საუბრისას ყველა სიტყვას ვერ ვიგებდი და ღიმილით ვპასუხობდი: "Sorry, it's my poor English" (ბოდიში, ჩემი სუსტი ინგლისურის გამო), რაზეც პასუხი მუდამ ერთი ჰქონდათ - "Your English is better, than my Georgian" (თქვენი ინგლისური ჩემს ქართულზე უკეთესია).

"O'neill's" დილის 11 საათზე იწყებს მუშაობას. ბარმენად მუშაობის პირველ დღეს, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ფაბის გაღებიდან რამდენიმე წუთში, ხუთკაციანი "მწყურვალთა ბრიგადა" შემოვიდა. მათში ყველაზე მაღალმა, როგორც შემდეგ გავიგე, მეტსახელად "Big Fish"-მა ("დიდი თევზი") ბრძანება გასცა - "Five cold Guiness!" ("ხუთი ცივი გინესი"), რომელიც დღის პირველ საათამდე კიდევ ხუთჯერ გაიცა. სკოლაში სწავლისას მათემატიკური ნიჭით არასდროს გამოვირჩეოდი, თუმცა საკუთარი არითმეტიკული გამოთვლები აქ ჩვეულებად მექცა. დღეს თავისუფლად შემიძლია გითხრათ, საშუალოდ რამდენ კათხა ლუდს სვამს დღეში ინგლისელი - მინიმუმ, ექვს-შვიდს, ლუდი დილით, ლუდი შუადღით და ლუდი... დაღამებამდე. საოცარია, ბანკირებისა და ფინანსისტების ასეთი "თავგადაკლული" მუშაობის შედეგად, ინგლისის ფუნტი სტერლინგი საერთაშორისო ბირჟაზე კვლავ სიმყარეს რომ ინარჩუნებს (ხუმრობა იქით იყოს და წარმომიდგენია, რა მოხდებოდა ინგლისში ღამის 11 საათის შემდეგ ალკოჰოლური სასმელის გაყიდვა აკრძალული რომ არ იყოს. ინგლისის მთავრობა ზრუნავს თავის მოქალაქეებზე).

ინგლისში ათასი რჯულის ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის უმეტესობა ინდუსებია, მათი გარკვეული ნაწილი, მიღებული განათლების წყალობით, ისე გრძნობს თავს ინგლისელი კოლეგების გარემოცვაში, როგორც თევზი წყალში, თუმცა გენი მაინც გენია. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ქართველი ბარმენი სხვისთვის შეუმჩნევლად სტატისტიკურ გამოკვლევას აწარმოებს, სწორედ ამიტომ, უცხო თვალისათვის შეუმჩნეველი ფაქტი, შესაძლოა ჩემთვის ღიმილის მომგვრელი აღმოჩნდეს; ინდუსის ჯიში და გენი ვახსენე, ჰოდა მოგახსენებთ: ჩვენი "ახალი ქართველების" მსგავსად, აქაც არიან ახლადგამომცხვარი ეკონომისტები, ბანკირები თუ ფინანსისტები. ერთ-ერთი ჩვენი ფაბის ყოველდღიური სტუმარი გახლავთ; უნდა ნახოთ, რა მონდომებით ცდილობს, იყოს ინგლისელი, არ დააკლდეს კოლეგების თითოეულ შეკრებას; რა სიმწრით სვამს "Guiness"-ს, რომელიც აშკარად არ სიამოვნებს და რა ნერვიულობის ფასად ეწევა "ჰამლეტ-სიგარას", რომლის სამი-ოთხი ნაფაზის შემდეგ, მისი სახის ბუნებრივი, ეთნიკური შავი ფერი მუქ ნაცრისფერში გადადის. ინგლისელი კოლეგები განაგრძობენ ბაასს, საწყალი "ახალი ინდუსი" კი მაინც ქართველი ბარმენის ყურადღების ცენტრში რჩება.

ლონდონში ნამდვილად თვალშისაცემია ხალხის, ერების სიჭრელე. ამდენად, გარეგნული იერითა და ნიშნებით, კანის ფერით, აქცენტითა და ჩაცმის სტილით შესაძლებელია განისაზღვროს ადამიანის ეროვნება. ჩემი სამხრეთული გარეგნობის გამო, ფაბის კლიენტთა უმეტესობას ესპანელი ვგონივარ, უარყოფითი პასუხის შემდეგ დასმული კითხვა კი - "სადაური ხარ?" - ყოველთვის ბუნებრივად ჟღერს. "ჯორჯია" - აქედან იწყება ჩემი ინგლისელების ტვინისჭყლეტა, გამომცდელი მზერა და უსიტყვო, მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება. ჩემი ქვეყანა მათთვის სხვადასხვა ისტორიებთან და ფაქტებთან ასოცირდება.

ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ გააჩნია ინფორმაცია საქართველოზე. ერთ-ერთ მათგანზე მოგახსენებთ: მისი ვარაუდი ჩემი ესპანელობის შესახებ მცდარი რომ აღმოჩნდა, დაინტერესდა, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენელი ემსახურებოდა, რომელიც ყოველ ხუთ წუთში უცვლიდა მას ფერფლით სავსე საფერფლეს (უნდა ვაღიარო, "ახალი ინდუსის" მსგავსად, მეც ხშირად მიმდის გული სიგარის სუნზე. ამდენად, ხშირად მიწევს საფერფლეების დაცლა). "საქართველოდან," - ვუპასუხე და სახის გამომეტყველებიდან გამომდინარე, მივხვდი, ეს სიტყვა არაფერს ეუბნებოდა, არც არასოდეს გაეგო ჯორჯიის შესახებ. ავუხსენი, ბარის დახლზე პატარა რუკაც დავუხატე. ორი წუთის შემდეგ მკითხა: "თქვენი ენა ესპანურია?"...

ბრიტანელები საქართველოს შესახებ ნაკლებად არიან ინფორმირებულნი პოლიტიკურ ასპექტში. ჯორჯია მათთვის, უმეტესად, რუსეთთან არის გაიგივებული. თუმცა, სმენიათ ედუარდ შევარდნაძე და ისიც, რომ სამჯერ ყოფილა მცდელობა მისი მოკვლისა. გამიკვირდა, როცა ერთხელაც ერთმა ინგლისელმა სტალინის ქართველობა ახსენა და მთხოვა, "ნამდვილი გვარი შემახსენეო" და ისიც მითხარი, რატომ იბრალებდა, რომ რუსი იყოო?!...

სტალინის რა მოგახსენოთ, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, რას დავაბრალო ფაბის ერთ-ერთი, არცთუ ისე ხშირი სტუმრის თვალთმაქცობა, რომლის წარმომავლობა უდავოდ ქართულია, თუმცა თავს რუსად ასაღებს. ჩემდა საამაყოდ უნდა ვაღიარო, რომ ინტუიცია თითქმის არასდროს მღალატობს. ჰოდა, სწორედ ინტუიციით, "ჩემი რუსის" ქართული გარეგნობით (ცხვირი, თვალები, მზერა, თავის ფორმა), ჩაცმის სტილით, ფერთა შეხამებით და, რაც მთავარია, შემდეგ საუბარში ადვილად შესამჩნევი ქართულ-ინგლისური აქცენტით, მივხვდი, რომ ლონდონის ერთ ჩვეულებრივ წვიმიან ამინდში ჩემს ფაბში ქართველი შემოვიდა. მისმა მეგობრებმა, რომელთაც ადრე გავეცანი, მას სიხარულით აცნობეს "She is from Russian Georgia" (ის რუსეთის საქართველოდან არის). რაზეც მან მხრები აიჩეჩა. თავს ძალა დავატანე და არაფერი შევიმჩნიე. მას შემდეგ "გინესის რუსი მოყვარული" ყოველთვის ერიდება ჩემთან კონტაქტში შემოსვლას და ისე ხშირად აღარ სწყალობს "O'neill's"-ს. მიუხედავად ამისა, მე მუდამ მიხარია მისი დანახვა, მაგრამ საოცრება ისაა, სადღაც გულის კუნჭულში სირცხვილს განვიცდი, თითქოს მისი თვალთმაქცობის მიზეზი მე ვიყო. მართალი აღმოჩნდა - "ვარ ქართველი, ნიშნავს - ვარ ევროპელი"...

თავისუფლად შემიძლია დავეთანხმო მსოფლიოში აღიარებულ აზრს, რომ ინგლისი ფეხბურთის ქვეყანაა; ინგლისელები საუკეთესო ფეხბურთელებს კერპებად აღიარებენ და მსგავსად "Guiness"-ისა, აშკარად ეთაყვანებიან, მაგრამ...

ერთ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს ფაბში შუა ხნის მამაკაცი შემოვიდა და ლუდის შეკვეთის შემდეგ მკითხა, საიდან ვიყავი. არასდროს დამავიწყდება მისი რეაქცია და ხმამაღალი წამოძახილი: "Tbilisi, Dynamo"! როგორც საუბარში გაირკვა, იგი თავად ესწრებოდა თბილისის "დინამოსა" და "Westham"-ის შეხვედრას ლონდონში, 1981 წელს. ჩვენმა "დინამომ" ინგლისელთა გუნდი 4:1 გაანადგურა. ინტერესით მკითხა: აღარ არსებობსო ქართული ფეხბურთი?! ჩემი დაბნეული პასუხი იმ ინფორმაციით შემოისაზღვრა, რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილი იყო საქართველოსა და ირლანდიის ნაკრებების შეხვედრა.

იმ დღეს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ აღნიშნული მატჩი რამდენიმე კვირის შემდეგ სირცხვილს მაჭმევდა. როგორც თავში ვახსენე, "O'neill's" ირლანდიური ფაბია, ასე რომ, სტუმართა გარკვეულ ნაწილს ირლანდიელები წარმოადგენენ. დენისი ახალგაზრდა ირლანდიელი კაცია, რომელიც უზომოდაა შეყვარებული ფეხბურთზე. როგორც ცნობილია, აპრილის თვეში ჩატარებული საქართველო-ირლანდიის შეხვედრისას, ერთ დასანან ინციდენტს ჰქონდა ადგილი. ინგლისურ გაზეთებში დაფიქსირებული იყო დანა, რომელიც ქართველმა "გულშემატკივარმა", თავისი ქვეყნის ეროვნული ფეხბურთის სიყვარულით გულანთებულმა ისროლა მოედანზე... შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ ირლანდიელმა დენისმა, კულტურულად, ვითომცდა ხუმრობით, შემომაპარა საუბარში ეს ფაქტი და გამომცდელად დამაკვირდა. შერცხვენილმა ბოდიში მოვუხადე, თუმცა ისიც დავამატე, რომ მატჩის ბოლოს ქართველმა გულშემატკივრებმა ფეხზე წამოდგომით და ტაშის გრიალით გააცილეს ირლანდიელი ფეხბურთელები მოედნიდან. ჩემი უხერხულობით შეწუხებულმა დენისმა დამაწყნარა და სიტუაციის გასანეიტრალებლად მსოფლიოს ცნობილ სტადიონებზე მომხდარი ინციდენტები შემახსენა.

ამ არასასიამოვნო ფაქტის შემდეგ, სულ მალე "ჩემს ქუჩაზეც მოვიდა გაზაფხული", როცა ერთ მშვენიერ დღეს "O'neill's"-ს კარგად შეზარხოშებული ახალგაზრდა ინგლისელი ეწვია. გარდაუვალი კითხვის შემდგომ "Where are you from?" (სადაური ხარ), მისი რეაქცია მართლაც მოულოდნელი და მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა; "I'm from Georgia" (მე საქართველოდან ვარ) - პასუხი დამთავრებული არ მქონდა, გაშალა ხელები ინგლისელმა - "Kinkladze, he is the hero, he is the hero" (ქინქლაძე, ის გმირია, ის გმირია), - იყვირა აღფრთოვანებულმა. დაახლოებით, ორი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა "ბუკის ცემა"; მცირედი დაწყნარების შემდეგ მითხრა, მე ვთამაშობდი მის გვერდით და თუ არ გჯერა, ერთად გადაღებულ სურათსაც გაჩვენებო. სიხარულით დაბნეულს დამავიწყდა, გვარი მეკითხა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ამ ახალგაზრდა კაცთან შეხვედრით გამოწვეული სიამაყე დიდხანს გამყვა ("ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ").

ამჯერად, დადებითი ინფორმაციით მოვიხუროთ "O'neill's"-ის კარი, დავტოვოთ ბრიტანელები თავიანთ გინესსა და სიგარებთან ერთად და მთავარ საფიქრალს მივუბრუნდეთ.

დიახ, ჩვენ ვცოცხლობთ, და ვცოცხლობთ იმედით, რომ კონკრეტული პიროვნებების წარმატებებს საკმარისად არ მივიჩნევთ და ვეცდებით, თავად შევმატოთ სარგებელი ჩვენს ქვეყანას; ბუნებრივია, დაგებადებათ კითხვა: განა მე, ჩემი ბარმენობითა და ინგლისელებზე ჩატარებული დაკვირვებებით სიკეთეს მოვუტან საქართველოს? იქნებ, ისიც იფიქროთ, ლუდის ჩამოსხმას, უკეთესი იქნებოდა, თბილისში თავისი საქმე ეკეთებინაო... მაგრამ არა, დამერწმუნეთ, ეს ეტაპი ჩემთვის ცხოვრების მიერ გადაშლილი წიგნი, პარაქტიკა და მცდელობაა იმისა, თუ როგორ გავიზარდო, მეტი შევისწავლო და უცხოეთში დაგროვილი ეს ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება ჩვენს ქვეყანას მოვახმარო.

უცხოეთში ჩემსავით პროფესიაშეცვლილი ახალგაზრდა მრავლადაა; ვიცი, მოვა დრო, ჩვენ დავბრუნდებით საქართველოში, ქართულ მიწაზე ამაყად თავაწეულები დავადგამთ ფეხს და ვიტყვით: მე დავბრუნდი, რათა ჩემმა შვილებმა გაბრწყინებულ, ამაღლებულ და ერთიან ქვეყანაში იცხოვრონ, ისეთში, რომელზეც ძილში ჩურჩულებდა ჩვენი წინაპარი;

მე მჯერა ხვალინდელი დღის, რის იმედსაც, საკუთარ თავთან ერთად, შენ მაძლევ, მკითხველო.

24 საათი

# წიგნები



10-23 იანვრის ნომერში წაიკითხავთ

ზურაბ კიკნაძის წერილს "მწერალთა კავშირი. როგორი დაარსდა, როგორი გახდა, როგორი უნდა იყოს?"

შერვუდ ანდერსონის მოთხრობას
დათო მაღრაძისა და მაია სარიშვილის ლექსებს

რეცენზიებს გოდერძი ჩოხელის, ერლომ ახვლედიანის, აკაკი ხინთიბიძის, ასტრიდ ლინდგრენის, ენტონი ბერჯესის, მილან კუნდერას წიგნებზე

ინტერვიუს ლევან ბერძენიშვილთან

ნოდარ ლადარია

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ერთ კვირაზე ნაკლები რჩება და საქართველოს პარლამენტის რიგით თანამშრომლებს უკვე პირწყალი მოსდით გრანდიოზული "ალაფურშეტის" მოლოდინში. ვერ ვუსაყვედურებთ, არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არ არის. მით უმეტეს, დღეს ცოცხალი ქართველების დიდი ნაწილი ხომ "ქეთო და კოტეზე" ალიზარდა, სადაც ქეთოს კი არა, ვახშამს ელოდებიან...

თავი ვანებოთ, ვახშმის მომლოდინეთ და ისევ ჩვენს ქეთოს მივხედოთ. ფრანციცულად მოჭარტალე ამ ჩვენს საპატარძლოს სხვადასხვა დამთხვევები რომ განსაკუთრებულად უყვარს, ეს ადრევე შევამჩნიეთ. საქმე იქამდე მივიდა, რომ სწორედ ამ განსაკუთრებული სიყვარულის გამო დავიმახსოვრეთ, რომ ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღე 25 იანვარია, თორემ მანამდე ვინ იცოდა ეს! მაგრამ ერთი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი თარიღიც ემთხვევა 25 იანვარს: **ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის დღე**.

ჰოდა, იქნებ მართლაც მოგვხედოს განგებამ და მსოფლიო საქრისტიანოს დაუბრუნოს საქართველოს გზააბნეული ცხოვარი?

მაინც რას ვგულისხმობ? აი, ორი პუბლიკაცია, რომელიც "24 საათმა" გასულ კვირას შემოგვთავაზა: *უცნაური მახსოვრობა და მხედველობა* (**გიორგი ასანიშვილი**, 13 იანვარი) და *საქართველოს რუსული მართლმადიდებლობის იმპერიული ნაციონალიზმი ემუქრება* (**მაკა ჯაიანი**, 16 იანვარი). პირველი პუბლიკაცია **გურამ შარაძის** "თეზისებს" ეხება, მეორე კი, ფაქტობრივად, წარმოადგენს ინტერვიუს დეკანოზ **ბასილ კობახიძესთან**, რომელშიც რუსეთის დუმაში შესული ერთ-ერთი გავლენიანი ბლოკის, "როდინას" იდეოლოგიური საფუძვლებია გაანალიზებული. რა შეიძლება აკავშირებდეს ამ ორ პუბლიკაციას?

გურამ შარაძე "სააკაშვილის საქართველოდან" არ მიდის. ეს გასაგებია: აბა, სხვა ვინ აპარპაშებს ან თუნდაც მხოლოდ აიტანს ამ სუბიექტს? სხვა რომელ ენაზე შეძლებს იგი თავისი დემაგოგიური ფიანდაზების გაშლას? წასასვლელი მართლაც არსადაა გურამ შარაძისთვის, ამიტომ ცდილობს სააკაშვილის "მორგებას". გასაგებია, რომ ეს ჩავარდნილი ნომერია, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსი უკვე კარგა ხანია ისეთ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, როცა სიცოცხლე და ფხაკური ერთმანეთს გაუიგივდა.

მაინც რას ითხოვს შარაძე სააკაშვილისაგან? ყველაფრის განხილვა შორს წაგვიყვანდა და არც ღირს. მხოლოდ ზოგიერთ თეზისს გადავავლოთ თვალი:

**"მოქალაქეთა საბუთებში ეროვნებისა და მამის სახელის აღდგენა"** — საბუთში დაფიქსირებული ეთნიკური წარმოშობა პიროვნების მარკირების ეფექტიან ხერხად მხოლოდ იმ საზოგადოებაში შეიძლება იქნეს მიჩნეული, რომელშიც ეთნიკური განსხვავება სოციალური სტატუსის განსხვავებას გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სრულიად ზედმეტი მონაცემია. რაც შეეხება მამის სახელს, ეს ტრადიცია რუსულია და გასაგებია, თუ რომელ კულტურულ თუ პოლიტიკურ არეალში ინტეგრირებისკენაა მიმართული შარაძის ეს მოთხოვნა.

**"რელიგიის შესახებ კანონის მიღება და მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება"** — ერთი წამით ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ამგვარ მოთხოვნას ის პიროვნება აყენებს, ვინც რამდენიმე თვის წინ ტელევიზიით ამტკიცებდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ეპისკოპოსი არ არის. რელიგიური გაუნათლებლობა ჩვენი საერთო უბედურებაა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება ისაა, რომ ეს გაუნათლებლობა საქართველოს გარედან იკვებება და ნარჩუნდება. სწორედ გარე ფაქტორებზე დაყრდნობით შეიძლება ამდენ ხანს გაძლოს იმ აბსურდულმა აზრმა, რომ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, შესაძლებელიც რომ იყოს, სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ერისა და თვით მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

**"საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატების მხრიდან ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევის აღკვეთა"** — ერთობ კეთილშობილურად ჟღერს, მაგრამ მე მაინც მირჩევნია, სწორედ რომ უხეშად ერეოდნენ ჩვენს საშინაო საქმეებში. უხეშად ჩარევას ორი მნიშვნელოვანი ღირსება აქვს: ჯერ ერთი, ხედავ, ვინ ერევა; მეორეც, ამგვარი ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლაც უფრო ადვილია. გაცილებით უფრო ძნელია, როცა შენს საქმეებში ისე ერევიან, როგორც 1937 წელს ეროდა საბჭოთა კავშირი ესპანეთის სამოქალაქო ომში, ან მისი სამართალმემკვიდრე რუსეთი — აფხაზეთის კონფლიქტში. ალბათ ბატონ შარაძეს სწორედ ასეთი "ნაზი" ჩარევა უფრო მოსწონს, მაგრამ ეს ოდნავ მოგვიანებით გამჟღავნდება, მანამდე კი უფრო კონკრეტულად ვნახოთ, რას ეწინააღმდეგება გურამ შარაძე. მაგალითად, იმას, რომ აშშ-ს ელჩის, **რიჩარდ მაილსის** ჩარევით მოხდა აჭარაში "სამართლიანი არჩევნების" უსამართლოდ დაპატიმრებული დამკვირვებლის გათავისუფლება, ხოლო შარაძისთვის საძულველი "სოროსის ფონდის" წყალობით განაგრძობს არსებობას ასეულობით ქართველი მეცნიერი.

ახლა კი უფრო ღრმად ჩავიხედოთ და ისიც ვნახოთ, ვის ინტერესებს ეთანხმება შარაძის მიერ წამოყენებული "თეზისები". როგორც უკვე ვთქვით, დეკანოზი ბასილ კობახიძე მაკა ჯაიანთან საუბარში რუსეთის ერთ-ერთი წარმატებული პოლიტიკური დაჯგუფების, "როდინას" იდეოლოგიას აანალიზებს. კერძოდ, ის ამბობს, რომ ეს იდეოლოგია **"არის მკვეთრი დაპირისპირება და უარყოფა გაერო-ს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, როგორც "ანგლოსაქსური რასის დომინირების იარაღთან". ამ კონტექსტში მკვეთრად უარყოფითად არის შეფასებული საქართველოს როლი, მისი საგარეო პოლიტიკა"**. და კიდევ: **"ლიბერალური იდეოლოგია რუსეთში არ ჭრის, კომუნისტური იდეოლოგია გაკოტრდა, ახლა რუსეთის მთავარი მამოძრავებელი ძალა "ჯანმრთელი მართლმადიდებლური იმპერიული ნაციონალიზმი" — "დერჟავნიკობა" ხდება"**.

ახლა კი ერთი ისტორიული პარალელი, რომელიც არაფერს ამტკიცებს, მაგრამ აზრის გამოთქმაში დამეხმარება. 1438-39 წლებში იტალიაში — ფლორენციასა და ფერარაში — გაიმართა მნიშვნელოვანი საეკლესიო კრება. ბიზანტიის მართლმადიდებელმა იმპერიამ ოსმალთა საფრთხის წინაშე დასავლეთს მიმართა დახმარებისთვის. აღმოსავლურ და დასავლურ ეკლესიათა შორის შეთანხმებაზე ხელმოწერას ყველაზე მტკიცედ აღუდგა წინ ბერძენი ეპისკოპოსი, **მარკოზ ეფესელი**. 1453 წელს, როცა დასავლეთის ფლოტმა ბოსფორი დატოვა და ოსმალებს უკვე აღარაფერი უშლიდათ ხელს კონსტანტინოპოლის აღებაში, ქალაქში შესულმა სულთანმა აღმოაჩინა, რომ თავიანთი სახელმწიფოებრივი უბედობით სასოწარკვეთილ მართლმადიდებლებს ორი წელია პატრიარქი არ ჰყავდათ. სულთანმა მარკოზი მოიკითხა, მაგრამ იგი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამიტომაც გამოისყიდა ტყვეობიდან ეპისკოპოსი **გენადი**, მარკოზის მოწაფე და დაპყრობილ, მილეთად ქცეულ მართლმადიდებლებს პატრიარქად დაუყენა. ასე გადაუხადეს ღვაწლი ოსმალებმა მათი პოლიტიკური ინტერესების დამცველ ეპისკოპოსს სიკვდილის შემდეგ...

ჩვენი "კათოლიკური დროშის" წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტიც ფიქრობს ალბათ, რომ მოვა დრო და ვიღაცა რაღაცას დაუფასებს... განა ამიტომ არ ჰქონდა ყოველთვის ასეთი ახლო ურთიერთობა **ასლან აბაშიძესთან**, რომელიც ახლა იმავე "დერჟავნიკების" კალთის ქვეშ ემალება მშობლიურ მართლმსაჯულებას?

ეჰ, ღმერთმა იკვლიოს ამათი თავი და ტანი. ჩვენ კი ისა ვთქვათ, რომ ეპითეტები "ჭეშმარიტი" და "მართალი" მხოლოდ ადამიანის გამონათქვამებს შეიძლება მივუყენოთ. არ არსებობს რაღაც თავისთავადი, დამოუკიდებელი ჭეშმარიტება, რომელსაც ადამიანი იცავს (თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარ ჭეშმარიტებას, ადამიანისგან დაცვა არ სჭირდება), ადამიანს შეუძლია მხოლოდ ჭეშმარიტების გამოთქმა, გამოთქმული ჭეშმარიტება კი, ჩვენი მოკვდავობისა და უძლურების გამო, ბევრ რამეზეა დამოკიდებული — მაგალითად, კონტექსტზე. კონტექსტი კი რას გვეუბნება? — იმას, რომ არსებობს ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის მტრული რეალობა, ეს რეალობა გვართმევს ტერიტორიებს, ხელს იშვერს ჩვენი ენერგეტიკული ბერკეტებისკენ, არ სურს ჩვენი საზღვრებიდან გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები და ყოველივე ამასთან ერთად იმავე სიტყვებით მეტყველებს და იგივე რამ უნდა, რაც ჩვენთვის ასე მომაბეზრებლად ცნობილ დეპუტატს, გურამ შარაძეს. მე არაფერს ვამტკიცებ, მე მხოლოდ მკითხველის კრიტიკული უნარების ამოძრავებას ვესწრაფვი...

ეს უნარები კი ნამდვილად არ უნდა დარჩენილიყო მძინარე მდგომარეობაში 15 იანვრის ნომრის კითხვისას. აქ პირველივე გვერდზე ვაწყდებით **შოთა უტიაშვილის** მიერ მომზადებულ მასალას *ქართველების ულევი ოპტიმიზმი*. პუბლიკაციის ავტორი არც აციებს, არც აცხელებს და პირდაპირ ციტატით იწყებს: **"2004 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში მთავარი ცხელი წერტილი საქართველო იქნება, სადაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად კიდევ ერთი რეგიონი — აჭარა შეეცდება დამოუკიდებლობის მოპოვებას. ახალმა ცენტრალურმა მთავრობამ შეიძლება თავისი ძალაუფლების აღსადგენად ძალის გამოყენება სცადოს, რაც ქვეყანას სამოქალაქო ომამდე მიიყვანს. ამ ომში მოსკოვი და ვაშინგტონი სხვადასხვა მხარეებს დაუჭერენ მხარს, რა თქმა უნდა, ფარულად. ერთი რამ უკვე შეიძლება ითქვას: საქართველოს დეზინტეგრაცია გაგრძელდება. ეს კი ხელს შეუშლის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას, რომელიც 2005 წელს უნდა დასრულებულიყო"**. ეს შავბნელი პერსპექტივა ანალიტიკურმა ცენტრმა, "სტრატფორმა" დაგვიხატა. შესაძლოა, გამჭრიახმა თვალმა აქ რამდენიმე უზუსტობა შეამჩნიოს: მაგალითად, აჭარის "სეპარატისტული" მიდრეკილებები იწყება და მთავრდება ერთი ადამიანის ახირებებში — მის ახლოს მდგომთა შორის ერთი შესაბამისი ყალიბის ვაჟკაციც არა ჩანს. მაგრამ ზოგადი სურათი მეტად სწორადაა შეფასებული და არაფერი გვაძლევს იმის მშვიდად მოთმენის საბაბს, როცა ვიღაც საკუთარი და სხვისი ინტერესების სასარგებლოდ წარამარა გვახსენებს სანუკვარ ცნებებს: "სამშობლო", "მართლმადიდებლობა"...

აქ ბავშვური თამაშობები ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს, რადგან პრეზიდენტის რეზიდენციის სიახლოვეს აღმოჩენილი სამალავები ყოველთვის თერთმეტი წლის ბიჭუნების აგებული არ იქნება და შინაგან საქმეთა მინისტრმაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ცხოვრება ყოველთვის არა ჰგავს ვესტერნს.

დიახ, სერიოზული თამაში იწყება, რომელშიც ჩვენ სრულიად დამოუკიდებლად შევდივართ ისეთი ვითარებაში, რომელსაც ასე ხატოვნად აღწერს რუსული ხალხური "პაგავორკა": "до Бога высоко, до царя далеко" — შეიძლება ვერც ვერავინ დაგვეხმაროს საჭირო მომენტში. ასე რომ, ხელის დამოუკიდებლად განძრევას უნდა მივეჩვიოთ. ჩვენ კი რას ვშვრებით?

თსუ სოხუმის ფილიალის რექტორი, პროფესორი **ოთარ ჟორდანია** ასე პასუხობს ამ კითხვას: *ჩვენ არ ვებრძვით აფხაზ ხალხს!* (14 იანვარი, რუბრიკა "თქვენი აფხაზეთი"). მაგრამ ყველა ხომ ისედაც ხედავს, რომ ესენი აფხაზ ხალხს კი არა, არავის და არაფერს არ ებრძვიან. ასე რომ, ეს ძახილის ნიშანი სრულიად ზედმეტია. ოდესღაც მე უკვე მქონდა საუბარი ამ ავტორზე იმავე კონტექსტში, მაგრამ ის მაინც არ იშლის აფხაზი ხალხის მიმართ თავისი კეთილგანწყობის გამჟღავნებას შემდეგი არგუმენტებით: **"სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა პატივი მიაგეს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი შარვაშიძის ხსოვნას... გაიმართა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფ. ზურაბ ანჩაბაძის დაბადებიდან მიძღვნილი საღამო... ჩვენმა კოლექტივმა დიდი პატივი მიაგო თბილისში გარდაცვლილ აფხაზ სწავლულს, პროფ. ბელა აშუბას. აფხაზური კულტურისა და მეცნიერების არაერთ მოღვაწეს, მათ შორის, მიხეილ ბლაჟბას, პროფ. სოკრატ არშბას და სხვათა ხსოვნის საღამო გაიმართა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიაში..."**. თავისთავად ამ რიტორიკის გაანალიზება ძალიან მოსაწყენი ამოცანაა და ჩემს გამოცდილ მკითხველს არც სჭირდება ამ საბჭოურ ნაგავში ფათური. მაგრამ არის კიდევ ერთი დამატებითი გარემოება, რომელიც გვაიძულებს, უფრო დიდხანს შევჩერდეთ ამ ტექსტზე. ოთარ ჟორდანია ასე ამთავრებს ჩვენს მიერ ნაწილობრივ მოყვანილ პასაუხს: **"ზემოთქმულიდან კარგად ჩანს ჩვენი ერის კეთილი დამოკიდებულება აფხაზი ხალხისა და მისი კულტურისადმი"**. ოჰ, მთელი ჩვენი ერის ეს კეთილი დამოკიდებულება რომ არა, საწყალი ბელა აშუბას პანაშვიდზე ხომ ჩვენი ფეხი არ იქნებოდა! ვისთან ან რასთან ახდენს ეს კაცი "ჩვენი ერის" იდენტიფიკაციას? ნუთუ ოდნავ მაინც სერიოზულ ადამიანს შეუძლია ამის მშვიდად მოსმენა? მე კი, სულო ცოდვილო, ჩვენს შინაგან საქმეთა მინისტრზე ვბრაზობდი გულის სიღრმეში: რა ბავშვივით იქცევა, როგორ უხარია ავტომატის სროლა-მეთქი. აქ კი უნივერსიტეტის რექტორი მასულელებს, თანაც ამ დონეზე.

აქ ხომ არ შევჩერდე, ხომ არ შევწყვიტო კრიტიკა? აბა, ამას თუ მართლა სჯერა თავისი ნაწერი, ჯობს მე თავი ვანებო და **ქეთი ინგატოვას** გადავაბარო. მაგრამ მაინც არის ერთი რამ, რაც მაიძულებს, განვაგრძო. კიდევ ცოტა ხანს მოვუსმინოთ ოთარ ჟორდანიას: **"ეს გარემოება** (ქართველი ერის კეთილგანწყობა — *ნ. ლ.*) **თვით აფხაზეთშიც არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ამით არის განპირობებული, რომ ჩვენს სასწავლებელში უმაღლეს განათლებას ეუფლებიან აფხაზეთის მკვიდრი აფხაზი ეროვნების სტუდენტები"**. აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! — თურმე ამისთვის მართავენ იუბილეებს. არა მარტო იუბილეებს მართავენ — **"დაწყებულია ზოგიერთი გამოჩენილი აფხაზი სწავლულის, მათ შორის, ცნობილი მკვლევრისა და საზოგადო მოღვაწის, პროფ. გიორგი ძიძარიას მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა"**. ძიძარიას წიგნი "აფხაზეთის ისტორია" (ა. კუპრავასთან თანაავტორობით) ასე იწყება: "აფხაზეთის ისტორია ორ პერიოდად იყოფა: მარქსიზმამდელი და მარქსისტული". შემდეგ მოდის მარქსიზმამდელი პერიოდის განხილვა აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი პალეოლითური ეპოქის ნარჩენთა საფუძველზე. სხვათა შორის, მეც ეთნიკური წარმოშობით აფხაზი ვარ, მაგრამ მხოლოდ ეს წინადადება მაძლევს საბაბს, ვურჩიო მშობლიურ ხალხს, სამუდამოდ დაივიწყოს ამგვარი "მეცნიერება". მკითხველმა უნდა იგულისხმოს, რომ ნახსენები წიგნი მე თავიდან ბოლომდე მაქვს წაკითხული. არავის უნდა უხაროდეს, რომ ქართველები ვინმეს ისევე ექცევიან, როგორც რუსები — ჩუქჩებს, რომლებსაც საბჭოთა დროს თითქმის მუქთად ურიგებდნენ სამეცნიერო ხარისხებსა. არც აფხაზი სტუდენტების ჩამოსვლას აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ ეს გამართლებული არაა მათი შემდგომი შრომითი მოღვაწეობით, მათი ობიექტური საჭიროებით მშობლიური ქვეყნისათვის.

ჩვენს თვალსაზრისს კიდევ უფრო ამტკიცებს თვით ოთარ ჟორდანია ოდნავ ქვემოთ: **"აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლება ცდილობს გადაიბიროს ქართული ეროვნების ახალგაზრდობა, შეუქმნას მათ ხელსაყრელი პირობები რუსულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად, რათა ისინი საბოლოოდ მოსწყვიტოს ქართულ სამყაროს. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ამ პოლიტიკას წინ აღუდგა, ნაწილმა კი მიიღო შემოთავაზებული პირობები, რადგან სათანადო მხარდაჭერა ვერ იპოვა თბილისში... საჭიროა გაფართოვდეს დღეს მოქმედი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ამ რეგიონის აბიტურიენტების თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში უფასოდ მომზადებას"**. თურმე მთელი საქმე ის ყოფილა, ვინ უფრო მოხერხებულად გამოიყენებს თავის სასარგებლოდ ქართველების სნობურ მისწრაფებას დიპლომისკენ!

ჩემს კოლეგებს შორის სულ უფრო ხშირად იმართება საუბრები უმაღლესი განათლების რეფორმისა და კანონის შესახებ. საინტერესოა, რას დაემსგავსება ეს თუნდაც ყველაზე მოწინავე კანონი ამგვარ სიტუაციაში და ასეთი ხალხის ხელში?

სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ ინაუგურაციის წინ (თან თუ "ალაფურშეტსაც" გავიხსენებთ) აღარ გავუფუჭებ პირის გემოს ჩვენს არჩეულ პრეზიდენტს. ოღონდ ერთი რამ კი უნდა ვთქვა: ჩვენს ხელისუფლებას მრავალი მეტად არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა მოუხდება; ამ ნაბიჯების გადადგმისას უკან არ უნდა დაიხიოს და არავისმა უმანკო და შესაბამისად არაფრის მაქნისმა თვალებმა არ უნდა გადაუღობოს გზა იმ მატარებელს, რომელზედაც "ნაციონალთა" ყრილობაზე ამდენს ლაპარაკობდა მიხეილ სააკაშვილი.


ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge





# აფიშა

## კინო

**რუსთაველი**
"ნემოს ძიებაში" (ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 16:00; 18:00 სთ.

**ამირანი**
"ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

"რეალური სიყვარული"
დას: 15:00; 17:00 სთ.
ფასი: 5-8 ლარი

## გამოფენა

**"შარდენი"**
სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა

**"ქარვასლა"**
გეგა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
III სართული

თანამედროვე ხელოვნების გალერეა
საახალწლო საშობაო გამოფენა "50 ახალგაზრდა მხატვრის საახალწლო სიუპრიზი"

**"ჰობი"**
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ფიროსმანის მოტივები" II დარბაზი

"საშობაო გამოფენა" I დარბაზი

# წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლის "ახალი განზომილების" სტუმარი აკა მორჩილაძე იქნება.

**პარასკევს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლით "ახალი განზომილება" შედგება ნოდარ ანდღულაძის წიგნის Homo Cantor-ს პრეზენტაცია.

*მისამართი: გამსახურდიას 31*

# ინაუგურაციის სამზადისში

დღეს ავთო ვარსიმაშვილი ქუთაისში გაემგზავრა. რეჟისორი ქუთაისის მერს ნუგზარ ფალიანსა და მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს დემურ მარდალეიშვილს შეხვდება.

ავთო ვარსიმაშვილი, რომელიც პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალის რეჟისორია, ქუთაისში დაგეგმილი ღონისძიებების გენერალურ რეპეტიციას დაესწრება და ინაუგურაციასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს.

ქუთაისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის დემურ მარდალეიშვილის თქმით, ცერემონიალში იმერეთის სხვადასხვა რაიონების შემოქმედებითი კოლექტივებიც მიიღებენ მონაწილეობას.

მომავალ პრეზიდენტს ზესტაფონის ბავშვთა მგალობელთა გუნდი მიესალმება, კონცერტებს გამართავენ იმერეთის ფოლკლორული ჯგუფები. გარდა ამისა, ყველა მონაწილეს დაურიგდება ამ დღისთვის სპეციალურად დამზადებული მედალიონები, წარწერით: "საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია — მიხეილ სააკაშვილი". საქართველოს პრეზიდენტს ქუთაისელები ცნობილი მხატვრის, ჯავა ჭეიშვილის ფერწერულ ტილოსაც უსახსოვრებენ.

პრეზიდენტის ინაუგურაცია გელათში 25 იანვარს გაიმართება. *მედია-ნიუსი*

# არაჩვეულებრივი კინოპროექტი

კინოცენტრი "ფიფქია" თბილისელ მაყურებელს მალე წარუდგენს კინოპროექტს, რომელიც ქართული მხატვრული ფილმის "არაჩვეულებრივი გამოფენის" გადაღებიდან 35-ე წლისთავს მიეძღვნება.

კინოპროექტის სახელწოდებაა "არაჩვეულებრივი გამოფენის" არაჩვეულებრივი ჩვენება". მისი პრემიერა ქუთაისში 2003 წლის ოქტომბერში გაიმართა, ხოლო თბილისელი მაყურებელი მას პირველად კინოთეატრ "ამირანში", თებერვალში იხილავს.

როგორც "ფიფქიას" დამფუძნებელმა ლალი გორგასლიძემ განაცხადა, კინოპროექტში "არაჩვეულებრივი გამოფენის" ჩვენების პარალელურად, ჩაწერილია ინტერვიუები ფილმის გადაღებიდან 35 წლის შემდეგ. "არაჩვეულებრივ ჩვენებაში" მონაწილეობს მთავარი გმირის - აგული ერისთავის პროტოტიპი, ქუთაისელი მხატვარი გიგილო ნიკოლაძე.

ინტერვიუებში რესპონდენტები არიან ფილმის შემქმნელები და სხვადასხვა როლის შემსრულებლები: ჯულიეტა ვაშაყმაძე, რეზო გაბრიაძე, გია ყანჩელი, გიორგი გერსამია (ოპერატორი), გურამ ლორთქიფანიძე, ხოლო "არაჩვეულებრივ გამოფენაში" მონაწილე აწ გარდაცვლილი მსახიობების ნაცვლად ჩაწერილია ინტერვიუები მათი ოჯახის წევრებთან, მათ შორის დოდო აბაშიძის ვაჟიშვილთან ზაზა აბაშიძესთან.

კინოპროექტზე "არაჩვეულებრივი გამოფენისა" და "ფიფქიას" შემოქმედებითი ჯგუფები მუშაობდნენ. "ამ პროექტის შექმნით კიდევ ერთხელ გავიხსენებთ და მაყურებლებს წარვუდგენთ უნიკალური ქართული ფილმების გმირებსა და ტრადიციებს, რომლებმაც ქართული ფილმის ისტორია შექმნეს", - ამბობს ლალი გორგასლიძე. *მედია-ნიუსი*

# ქართული კინოს გადასარჩენად

ქართველი კინემატოგრაფისტები და კინოკრიტიკოსები 22 იანვარს კინოს სახლში შეიკრიბებიან და ქართული კინოს პრობლემებსა და მისი გადარჩენის საკითხებზე იმსჯელებენ.

საუბარი, ძირითადად, იმ ფილმებს შეეხება, რომელებიც წარმოებაში ათი წლის წინათ ჩაუშვეს და მათი გადაღება სულ რაღაც ერთი წლის წინათ დასრულდა.

კინემატოგრაფისტების შეხვედრამდე კინოს სახლში ბოლო დროს გადაღებული ქართული ფილმების ჩვენებაც გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ამ ფილმების დამთავრება ეროვნული კინოცენტრის ძალისხმევის შედეგია. ამჯერად ეროვნული კინოცენტრი დაფინანსების გაზრდას - დაახლოებით 2 500 ათას ლარს ითხოვს და იმედოვნებს, რომ ასეთი დაფინანსების შემთხვევაში ქართულ კინოს მეტ-ნაკლებად ეშველება. *მედია-ნიუსი*

# "არგამოსვლა" და "გამოსვლა"

## პროექტის დასრულების შემდეგ



*ჭადრონული თვითმფრინავი*



*თამუნა - თვითმფრინავის ავტორი*

ანა კორძაია-სამადაშვილი

ამ პროექტის დახურვა ნამუშევრის დასრულებას არ ნიშნავს. ნამუშევარი, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში მუდმივ მოძრაობაში იმყოფებოდა, ყოველ წუთს ცვლილებებს განიცდიდა, საბოლოოდ (თუ რაღაც ეტაპზე?) თვითმფრინავის სახით მოგვევლინა. სულ მალე მას ღია ბარათების სახით ვიხილავთ, ხოლო მერე რა იქნება – ჯერჯერობით არავინ იცის.

ცვლილებები განიცადა საწყისმა მოდელმა, ანუ თამუნა ჭაბაშვილის მიერ ხელით დაბეჭდილმა შპალერმა, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში ქარვასლას ერთ-ერთი დარბაზის კედლებს ფარავდა და ყველა მსურველისთვის ხელმისწვდომი იყო: ზედ ხატვაც შეიძლებოდა, წერაც, მოკლედ, ყველაფრის ჩადენა საბრალო, კანის დაავადებით დასახიჩრებული პატარა არსებებისთვის ახალი სიცოცხლის ჩასაბერად.

"ჯერ ძნელია იმის განსჯა, დადებითია ეს ცვლილებები თუ უარყოფითი," გაგვიზიარა თავისი აზრი თამუნამ, "ისიც ძნელი სათქმელია, თუ რამდენად გაიაზრა ყველა მონაწილემ, თუ რა იყო ამ აქციის აზრი".

თამუნა, რომელიც მრავალი წელია, საქართველოში მხოლოდ არდადეგებზე ან გარკვეულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად ჩამოდის (ამსტერდამში ცხოვრობს, რიტფელდის აკადემიის სტუდენტი გახლავთ), პროექტის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანდა. "თუ რატომ ვერ შედგა ამ ფონზე აზრთა გამოხატვა და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების სერიოზულად ჩამოყალიბება – ამის მიზეზებს საკუთარ თავში ვეძებ," თქვა მან.

თამუნა თავის ჩანაფიქრს ახალგაზრდა ხელოვანთათვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმით უდგება, თორემ მე რომ მკითხოთ, ყველაფერი საუკეთესოდ განვითარდა. სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, ამგვარ აქციებს მიუჩვეველ საზოგადოებას უფრო მეტი ენთუზიაზმი გამოეჩინა. "კითხვა არავის გასჩენია, საუბრისთვის მზადყოფნაში გავატარე რამდენიმე დღე," ჩივის თამუნა. სულ ტყუილად – როდის იყო, საქართველოს მკვიდრნი კითხვებს სვამდნენ! ჩვენ ხომ ისედაც ყოველთვის ყველაფერი ვიცით, არ დაკვირვებიხართ?

ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე ამ "გაუგებრობას" იმასაც აბრალებს, რომ პროექტი საქართველოდან შორს მყოფმა ჩაიფიქრა, სულ სხვა ენთუზიაზმით, და მისი ხედვა მეტისმეტად სუბიექტური იყო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ობიექტური ხელოვნება აბსოლუტურად წარმოუდგენელ ცნებად მესახება, და საერთოდ, ქარვასლაში მომხდარის ყველაზე დიდი ღირებულება სწორედ უამრავი ადამიანის სუბიექტურობა გახლდათ. პროექტის მომდევნო ეტაპზე თამუნა სწორედ ამ "მრავალი სუბიექტურობაზე" რეაგირებას აპირებს, და ასე შეიქმნა თვითმფრინავი, რომელსაც ამ დღეებში ქარვასლაში მიბრძანებულნი აუცილებლად შენიშნავდით: მრავალი თბილისელის მიერ გადასხვაფერებული სამყარო ამჟამად ჰოლანდიისკენ მიემართება.

"ერთი მნიშვნელოვანი რამ არ უნდა გამომრჩეს," მითხრა თამუნამ. "მინდა ყველამ იცოდეს, რომ ერთი წუთითაც არ ვნანობ ამ გადადგმულ ნაბიჯს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა წინააღმდეგობა, სირთულე თუ გაუგებრობა, რაც ამ დღეებში ჩემს გარშემო და ჩემში ტრიალებდა, მხოლოდ გამაძლიერებს... სწორედ "ვერ გამოვაში" დევს "გამოსვლა" და "გაკეთება".

ისე, მე რომ მკითხოთ, თამუნა ჭაბაშვილს ყველაფერი გამოუვიდა, და კიდევ ბევრი რამ გამოუვა: ძალიან შემართებული გოგონა გახლავთ.

# უცნობი ნორა ჯონსი

ვერა ნეფარიძე

*ახლახანს ცნობილი გახდა შარშანდელი "გრემის" ტრიუმფატორის, რავი შანკარის ამერიკელი შვილის, ნორა ჯონსის სრულიად უცნობი ალბომის არსებობა. ეს მეკობრული ჩანაწერი, იმის გარდა, რომ დიდი მოულოდნელობაა ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერლის ფანებისთვის, სხვა ღირსებებითაც არის შემკული. მაგალითად, აქვე შეიძლება აღმოაჩინოთ ნორა ჯონსის ახალი ალბომი. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ ალბომი ჯონსის ოფიციალურ დისკოგრაფიაში მითითებული არ არის.*



*ნორა ჯონსი*

როდესაც ნორა ჯონსმა შარშან პოპ-მუსიკის განხრით "გრემის" ყველა მთავარი ნომინაცია "მოხსნა", ბევრი კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ ახალგაზრდა მომღერალი ბილი ჰოლიდეის სტილში მღეროდა. მართალია ამ შეფასებაში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ ამასთან ერთად, არ შეიძლება უარყო, რომ ახალგაზრდა მომღერალს შესრულების საკუთარი მანერა გააჩნია. ეს კი არა მხოლოდ ხმისჩამწერი ხელოვნების აკადემიკოსებმა აღიარეს, რომელთაც ნორა ჯონსს რვა "გრემი" მიანიჭეს, არამედ მადლიერმა პუბლიკამაც. ნორა ჯონსის პირველი ალბომი Come Away with Me სამმილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. ეს იყო ახალი ათასწლეულის წარმატებების ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკალური ისტორია.

ამ ფაქტის შემდეგ ნორა ჯონსმა აქტიური საკონცერტო მოღვაწეობა დაიწყო და უმალ ჩაწერა რიგით მეორე ალბომი Feels Like Home. იმისათვის, რომ მეორე ალბომი წინაზე უარესი არ გამოვიდეს, სიჩქარე არ ღირს. ამიტომაც, ჩანაწერის პრეზენტაცია თებერვალში გაიმართება.

ამასობაში კი მუსიკალურ ბაზარზე ნორა ჯონსის ახალი, უფრო სწორად, როგორც ბლუზის გიტარისტის პიტერ მალიკის ვებ-საიტზეა მითითებული, "სხვა" ალბომი გამოვიდა. ეს არც სრულყოფილი დისკია, არც სინგლი, არამედ რაღაც საშუალო მათ შორის. ალბომის ყდაზე აწერია: ნორა ჯონსი (დიდი ასოებით) პიტერ მალიკის (შედარებით პატარა ასოებით) ჯგუფთან ერთად, ხოლო დისკის სახელწოდება - New York City, გაცილებით პატარა ასოებით.

ალბომი არც ისე "ახალგაზრდაა". კონკრეტულად, კი მას ასეთი წარმომავლობა აქვს. 90-იანი წლების დასასრულს, ახალგაზრდა პიანისტი, დალასში მდებარე ბუკერ ვაშინგტონის სახელობის საშემსრულებლო და გამოყენებითი ხელოვნების სკოლის მოსწავლე ნორა ჯონსი, არდადეგებზე ნიუ იორკში წავიდა. დარჩა იქ და მიატოვა სკოლა, დედა და მშობლიური ტეხასი. დიდ ქალაქში დარჩენილი უკრავდა კაფეებსა და პატარა კლუბებში, ეცნობოდა ჯაზისა და ბლუზის შემსრულებლებს, ასევე ელექტრონული მუსიკის ოსტატებს. მსოფლიოს წამყვან ჯაზურ ხმისჩამწერ ფირმასთან Bluenote-თან კონტრაქტის გაფორმებამდე წელიწადნახევარი რჩებოდა.

ერთხელ ნორა ჯონსმა გაიცნო ბლუზის გიტარისტი, პოეტი და კომპოზიტორი პიტერ მალიკი, ნიუ იორკში საკმაოდ კარგი საკლუბო მუსიკოსი, ერთ-ერთი იმ ათასთაგანი, ვინც არასდროს ესწრაფვის დიდებას; რომელიც ალბომებს პატარა სტუდიებში უშვებს და მათ საკუთარ კონცერტებზე ყიდის. ეს ადამიანი ბლუზს უკრავდა სიყმაწვილიდან; ერთხელ მადი უოტერსთან ერთადაც კი მოუხდა სცენაზე გამოსვლა. მალიკმა ერთხელ ნორა ჯონსთან ერთად ახალ ინგლისში ერთობლივი გასტროლიც მოაწყო. ხოლო, კონცერტების დასრულების შემდეგ, სტუდიაშიც ითანამშრომლა ახალგაზრდა, ნიჭიერ ვოკალისტთან. სტუდიაში რეკორდულად მცირე დროში მათ ჩაწერეს ექვსი სიმღერა. მასალა სამი წელიწადი ინახებოდა და მხოლოდ 2003 წელს, იურისტებთან გარკვეული ბრძოლის შემდეგ, დამოუკიდებელმა ხმისჩამწერმა ფირმამ - Goch გამოსცა.

ფირფიტით ყველა კმაყოფილი დარჩა - ნორა ჯონსს ხომ ბლუზის შესანიშნავი გრძნობა აქვს. არადა, მალიკთან შეხვედრისას, ბლუზის შესრულებაში გამოუცდელ მომღერალს გიტარისტისთვის უთქვამს, ამ მუსიკას კარგად არ ვიცნობ და არც მისი შესრულება ვიციო.

ალბომის ცენტრალური სიმღერაა New York City – ერთგვარი ჰიმნი მშობლიური ქალაქისადმი (სწორედ ამ ქალაქიდან წაიყვანა ნორა ჯონსი დედამ ტეხასში); ასევე შესულია ბობ დილანის სიმღერა Heart of Mine, რომელიც სასიყვარულო ბალადადაა ქცეული. თავად პიტერ მალიკი არ მღერის და ამიტომაც, ჩანაწერში იგი ლუ რიდის ფონზე რეჩიტატივით გამოდის. დისკში დამატებითი კომპოზიციების სახით შესულია ექვსი კომპოზიცია, რომლებიც ბლუზის სხვადასხვა ნიუ იორკელ შემსრულებლებთან ერთადაა ჩაწერილი.

ალბათ არც ღირს იმის დამატება, რომ ეს დისკი აუცილებლად უნდა იშოვონ ნორა ჯონსის თაყვანისმცემლებმა. მაგრამ მასში არის კიდევ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე დიდებული მომღერლის ერთი რიგითი დისკია. ეს ფირფიტა – იმ მშვენიერი სამყაროს ანარეკლია, რომელშიც ვუდი ალენი კაფეში კლარნეტზე უკრავს და ნახევრად ინდურსისხლიანები გენიალურად და წყნარად ასრულებენ ქანთრისა და ბოსანოვას ათობით მსმენელისთვის.

# პიკასოს ნახატები ნიუ იორკის აუქციონზე

ნიუ იორკში გამოცხადებულ აუქციონზე ფილანტროპების, ჯონა და ბეტსი უიტნის საქველმოქმედო ფონდის, Green Tree Foundation კოლექციიდან XIX-XX საუკუნის მხატვართა 44 ნამუშევარს წარმოადგენენ.

ერთ დღეს, 5 მაისს, ნიუ იორკში, სოთბის აუქციონზე, ედუარდ მანეს, ედგარ დეგას, კლოდ მონეს, პაბლო პიკასოს და სხვა დიდი მხატვრების ყველაზე ცნობილი ნამუშევრები გამოიფინება.

სურათების საერთო ღირებულება 140 მილიონ დოლარს შეადგენს. კოლექციის "მარგალიტად" მიიჩნიეს პიკასოს "ბიჭი ჩიბუხით", რომელიც 24 წლის მხატვარმა მას შემდეგ შექმნა, რაც პარიზში, მონმარტზე დასახლდა. სოთბის ექსპერტების აზრით, ეს ტილო პიკასოს ე.წ. "ვარდისფერი" პერიოდის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს და საერთაშორისო აუქციონებზე გატანილ პიკასოს ნამუშევართა შორისაც გამორჩეულია. სავარაუდოა, რომ ტილო 70 მილიონ დოლარად გაიყიდება.

# უნიკალურ სვანურ კოშკს ჩამონგრევა ემუქრება

მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერის მაცხოვრებლები ერთ-ერთი სვანური კოშკის სასწრაფოდ შეკეთებას ითხოვენ. ლენჯერის კოშკი საცხოვრებელ სახლებს შორის დგას და მისი მდგომარეობა სავალალოა.

მესტიის რაიონის კულტურის განყოფილების გამგის ვახტანგ ფილფანის თქმით, ეს კოშკი დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნისაა. კოშკი სინესტისა და ყინვისაგან დაიბზარა, ჩამოენგრა შიდა სართულები.

"თუ კოშკს რესტავრაცია სასწრაფოდ არ ჩაუტარდება, შესაძლოა, ამას სავალალო შედეგები მოჰყვეს. კოშკის გარშემო მცხოვრები მოსახლეობა მისი ჩამონგრევის შემთხვევაში ნანგრევების ქვეშ მოჰყვება", - განაცხადა ვახტანგ ფილფანმა. მისივე თქმით, ამ ოჯახებს საცხოვრებლის შეცვლის საშუალება არ აქვთ, რაიონის ხელმძღვანელობას კი კოშკის შესაკეთებლად სახსრები არ გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ სვანეთში მრავალ უძველეს კოშკს სჭირდება შეკეთება. *მედია-ნიუსი*

# ახალი აღმოჩენა საქართველოში

Discovery ქართულად "რუსთავი 2-ზე"







თამარ ბაბუაძე

"აღმოაჩინე დისქავერი რუსთავი-2-ზე" – უკვე რამდენიმე დღეა, მოგვიწოდებენ ტელეეთერიდან და დღევანდელი საღამოსთვის გვამზადებენ. დღეს, საღამოს შვიდ საათზე გადაცემა პირველად გავა ეთერში. ასე რომ, კვირა მსუყე ინტელექტუალურ-შემეცნებითი საკვებით დაიწყება და ასე გაგრძელდება მომავალშიც. თუმცა, ალბათ, არასდროს იქნება გვიან, თვითონ "დისქავერის" შესახებაც გავიღრმაოთ ცოდნა და აღმოვაჩინოთ ტელე-არხი, რომელიც უკვე წლებია, თავისი გადაცემებით ამდენ საინტერესო რამეს აღმოგვაჩენინებს.

## რა არის "დისქავერი"

"დისქავერი" სამაუწყებლო ბეჰემოტია" – ვკითხულობთ ერთ წერილში, სადაც არხის ბეჰემოტობა ასეა დამტკიცებული: მას ჰყავს 950 მილიონი ხელმომწერი მთელ მსოფლიოში, ანუ 425 მილიონ ოჯახიანი აუდიტორია – 155 ქვეყანაში, გადაცემები 33 ენაზე; ასევე ფლობს: 14 დამოუკიდებელ არხს, მათ შორის, საგანმანათლებლო არხს, ცხოველების პლანეტას, სამოგზაურო, სამეცნიერო, ჯანმრთელობის, საბავშვო, საოჯახო არხებსა და "დისქავერი-თაიმსს", რომელიც "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტებთან ერთად კეთდება; ასევე: "დისქავერის" მაღაზიათა ქსელსა და მის ინტერნეტ-ფილიალს. აქ შეგიძლიათ, შეიძინოთ "დისქავერის" გადაცემათა ვიდეო, კომპაქტ და ციფრული ვიდეო-კასეტები, საგანგებო კომპიუტერული უზრუნველყოფა, წიგნები, სათამაშოები, ტანსაცმელი, ანუ ყველაფერი, რაც "დისქავერის" სამყაროში შესაღწევად დაგეხმარებათ. გარდა ამისა, უკვე მე-13 წელია, "დისქავერი" პირველია პროგრამების ხარისხის მხრივაც. ის ერთადერთი სატელევიზიო ქსელია, რომელიც ფლობს "მსოფლიო კლასის ბრენდის" ტიტულს...

საკაბელო არხის შექმნის იდეა ჯონ ჰენდრიკსს 1982 წელს გაუჩნდა. ოცდაათიოდე წლის ადმინისტრატორმა, სხვადასხვა უნივერსიტეტში მუშაობის შემდეგ, მოიფიქრა, გაეკეთებინა არხი, რომელიც მაყურებელს რეალური, დოკუმენტური ფაქტებით გაართობდა. თანაც, მაშინვე გადაწყვიტა, რომ ბიზნესის ასაწყობად გამოიყენებდა არა უკვე არსებულ საკაბელო სისტემებს, არამედ შექმნიდა საკუთარს.

სანამ დაფინანსებას მოიპოვებდა, 211-მა კომპანიამ გამოისტუმრა უარით. საბოლოო ჯამში, 1985 წელს, "დისქავერიმ" მოღვაწეობა 156 ათას ოჯახში დაიწყო. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ბიზნესი ნელ-ნელა და მშვიდად ვითარდებოდა, რადგან მალევე "დისქავერის" აღმოჩენა 5 მილიონმა ამერიკულმა ოჯახმა გადაწყვიტა. ასე გაჩნდა ე.წ. საზოგადოებრივი ტელევიზიის ტრადიციის საუკეთესო გამგრძელებელი არხი ამერიკაში, რომელსაც მალე მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ.

ჰენდრიქსმა კონკურენტებს ბრძოლა მეტი სიახლეების დანერგვით გამოუცხადა. ორიგინალური იდეების საქმედ ქცევაში კი მას ჯონ მელოუნისა და "ლიბერტი მედიას" მილიონები დაეხმარა. 1985 წელს მელოუნის კომპანიამ ჰენდრიკსის საქმეში 75 მილიონი დოლარი ჩადო და მალევე კომპანიის წილების 50 პროცენტის მფლობელი გახდა. დანარჩენ 29.9 პროცენტს დღეს ატლანტაში დაფუძნებული "კოქს ქომიუნიქეიშენზი" ფლობს, ჰენდრიკსს კი თავისი პირმშო-კომპანიიდან მხოლოდ 3 პროცენტი ერგება. თუმცა, ეს მისთვის სრულიად საკმარისია, რადგან ჰენდრიკსი შემოქმედი ადამიანის ტიპია და ურჩევნია, ახალ-ახალი იდეები გამოაცხოს, ვიდრე მუდამ დოლარების მიმოქცევით იყოს დაკავებული. ის აცხადებს: "ჩვენ ყველანაირ დროსთან ვახდენთ ადაპტაციას და ეს ჩვენი უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა. მომავალშიც ვიქნებით ყველგან და გამოვიყენებთ ყველა რესურსს, რასაც დრო შემოგვთავაზებს".

## "დისქავერი" - მსოფლიოს შეხვედრების ადგილი

თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ჰენდრიკსს "დისქავერის" იმპერიის აშენებაში ძალიან დაეხმარა ბრიტანულ "ბი-ბი-სი"-სთან მჭიდრო კავშირი. წერენ იმასაც, რომ "ბი-ბი-სი"-მ დისქავერის ლიცენზია მისცა თავისი დოკუმენტური არქივის მნიშვნელოვან ნაწილზე.

ბრიტანულ სამაუწყებლო კორპორაციასა და ამერიკულ "დისქავერის" დღემდე ახლო ურთიერთობა აკავშირებთ. ისინი ერთად აკეთებენ არხებს: ცხოველთა პლანეტა, ადამიანებს+ხელოვნება, "ბი-ბი-სი-ამერიკა". ამ საქმიანი ურთიერთობის შედეგად შეიქმნა ძალზე პოპულარული დოკუმენტური სერია "ლურჯი პლანეტა" – ოკეანეების ცხოვრების შესახებ. მეტიც, "დისქავერიში", თურმე, ამბობენ კიდეც, რომ მათი იმპერია ორ პერიოდად იყოფა: "ლურჯ პლანეტამდე" და მის შემდგომ ხანებად. სერიები ხომ იმდენად კარგი გამოვიდა, რომ ყველა სხვა გადაცემა მასთან შედარებით მოსაწყენი ჩანდა.

ეს ცხადია, ძალიან ახარებს "ბი-ბი-სი"-ს, რადგან მაყურებლის აღფრთოვანება მისთვის "დისქავერისთან" კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტს და დიდ შემოსავალს ნიშნავს. 1998 წელს, ახალი პროგრამების შესაქმნელად გადახდილი 175 მილიონი დოლარის შემდეგ ხომ ჰენდრიკსის კომპანიამ "ბი-ბი-სი"-ს კიდევ დამატებითი 360 მილიონი დოლარიც გადაურიცხა და ახალი არხების შექმნა დაავალა. ასე რომ, ორივე მხარე კმაყოფილი და მოგებული ჩანს.

მეტიც, ბრიტანეთის ბაზარზე შესვლა (ეს იყო 1989 წელს) "დისქავერისთვის" მეტად სიმბოლური აღმოჩნდა. სწორედ აქედან დაიწყო მისი მსოფლიო ექსპანსია. 1993 წლისთვის მას უკვე დაპყრობილი ჰქონდა აზია, სამხრეთ ამერიკა, მთელი ევროპა... 2001 წელს კი მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გადაცემული სატელევიზიო ნიშანი გახდა.

"დისქავერის" სამოქმედო ტაქტიკა სრულყოფილია – ყოველ ახალ ბაზარზე შესვლის შემდეგ ის, მოსახლეობას სთავაზობს პროგრამებს, როგორც უცხოურ, ასევე ადგილობრივ თემატიკაზე. მაგალითად, აზიური აუდიტორიისთვის შეიქმნა აზიური შედევრების სერია. ამ საინტერესო კვლევისთვის "დისქავერიმ" საუკეთესო აზიელი რეჟისორები დაიქირავა, რომელთაც შემდეგ საკუთარ კულტურაზე, ღირსშესანიშნაობებსა და ხალხზე სრულყოფილი მიმოხილვა გააკეთეს. იგივე მოხდა სამხრეთ ამერიკის "დაპყრობის" დროსაც – "დისქავერი" იქ როგორც გლობალური, ისე ლოკალური განათლებითა და ინტერესებით შევიდა. ახლა კი "დისქავერის" არხს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მისია აკისრია – მალე ის პატარ-პატარა სერიებს იმ ენებს მიუძღვნის, რომლებიც გაქრობის საფრთხის წინაშე დგას. ამ პროგრამას ჰენდრიკსი იუნესკოსთან თანამშრომლობით ახორციელებს.

ეს ინტელექტუალურ-შემეცნებითი იმპერია ყოველთვის აკმაყოფილებს გლობალური პოლიტიკით დაინტერესებულ პუბლიკასაც. მაგალითად, 2002 წელს "დისქავერიმ" რამდენიმე საინტერესო ციკლი მოამზადა, მათ შორის იყო "ოსკარით" დაჯილდოებული დოკუმენტალისტის ჯონ ბლერის "ტერორის ეპოქაც".

რაც ყველაზე მთავარია, "დისქავერი" შეჩერებას არ აპირებს. მისი სამყარო უკიდეგანოა. ჰენდრიკსისა და მისი ამფსონების ტვინში ყოველდღიურად ახალ-ახალი იდეები იბადება. ამჯერად ისინი მრავალფეროვანი მენიუს მქონე ტელევიზიის იდეის დახვეწაზე მუშაობენ. ჰენდრიკსი დარწმუნებულია, რომ მალე მოვა დრო, როდესაც ჩვენი ტელევიზორების დისტანციური მართვის პულტებს ექნებათ ფართო მენიუ და მასზე ისე აირჩევთ სასურველ გადაცემებს, როგორც დიდ, ჟანრობრივად მრავალფეროვან ბიბლიოთეკაში. თუმცა, სანამ ეს დრო მოვა, "დისქავერი" მაინც ოსტატურად ახერხებს ლიდერის პოზიციების შენარჩუნებას "თაიმ უორნერით", "ნეშნლ ჯიოგრაფიკით" და "დისნეით" გადატვირთულ კონკურენტულ ბაზარზე.

## მაინც რას გვთავაზობს "დისქავერი"

"გაართე შენი ტვინი" – ასეთია მოწოდება, რომელსაც "დისქავერის" ინტერნეტ-საიტზე ვკითხულობთ. ამ გართობას ჩვენს ტვინებს მეცნიერებითა და ბუნებით, ანტიკური ცივილიზაციებითა და თანამედროვე ისტორიით, მოგზაურობითა და ცხელი გლობალური თემატიკით ჰპირდებიან.

"დისქავერია" ადგილი, სადაც მზის სისტემაშიც იმოგზაურებ და შემდეგ ნახავ, თუ როგორ დაემხო მილოშევიჩის რეჟიმი იუგოსლავიაში; გამოიკვლევ "დნმ"-სა და კლონირების საკითხებს და ობობების ცხოვრებასაც გაეცნობი; მოივლი ოკეანეების სიღრმეებსა და შემდეგ იმასაც გაიგებ, თუ სინამდვილეში, რა ხდებოდა კუბის კრიზისის დროს; მიჰყვები 80 ათასი წლის წინ დაწყებულ ადამიანთა პირველ მიგრაციას აფრიკიდან და თან ჩაძირული "კურსკის" სრულყოფილ ამბავსაც შეიტყობ... მეტიც, ეს ის სასწაული ადგილია, სადაც შეიძლება "აუფეთქებელ" ედუარდ შევარდნაძესაც გადააწყდე თავისი ტერაქტებით და ავსტრალიელ, უშიშარ სტივ ირვინსაც, რომელიც ნიანგებზე ისე ნადირობს, ძარღვებში სისხლი გეყინება.

ერთი სიტყვით, ჰენდრიკსის იმპერია მართლაც მთელ მსოფლიოს მოიცავს, თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

დღეიდან მთელი წლის განმავლობაში სწორედ ეს სამყარო ახმიანდება ჩვენთვის ქართულ ენაზე. მართალია, აქამდე მისი მოსმენა რუსულადაც შეგვეძლო, მაგრამ მშობლიურ ენაზე ჩვენს ტვინებს ხომ მაინც სულ სხვა სიამოვნება ელით (თანაც "დისქავერი", სავარაუდოდ, ქართველი ბავშვებისთვისაც მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ფუნქციას შეიძენს). "რუსთავი-2" – "დისქავერის" გადაცემებზე ექსკლუზიური უფლების მფლობელი კომპანია – კვირის დღეებში, ერთი საათით, ახალ გადაცემებს შემოგვთავაზებს, შაბათ-კვირას კი ყველაზე საინტერესოს გაიმეორებს. ერთ წელიწადზე გათვლილი 261 საათიანი პროგრამა მეტად მრავალფეროვან თემატიკას შესთავაზებს ქართულენოვან მაყურებელს – მეცნიერება და ტექნოლოგია, კოსმოსში მოგზაურობა, ასტრონომია, უცხოპლანეტელები, ცხოველთა სამყარო, ამერიკის ცენტრალური საგამომძიებლო სააგენტო, მანქანები, ისტორია – ძველი ეგვიპტითა და ნაპოლეონით, ადამიანის ტვინი... თანაც, ეს გადაცემები ისე იქნება გადანაწილებული, რომ კვირის განმავლობაში მაქსიმალური მრავალფეროვნება შეიქმნას.

ასე რომ, "რუსთავი-2"-ის ეთერისთვის "დისქავერის" აღმოჩენები დროთა განმავლობაში ისეთივე განუყოფელი ნაწილი გახდება, როგორც იგივე ჩემპიონთა ლიგის ტრანსლაციები, "ღამის შოუ", "კურიერი", "ფსიქო" და სხვა შინაური გადაცემები.











ფეხბურთი

# რონალდო "ჰერტას" მხსნელად მოევლინა



რონალდო რიოს წლევანდელ კარნავალზე არ გაემგზავრება

ნინო პირველი

ცოტა ხანში კათოლიკურ ქვეყნებში კარნავალი დაიწყება და ბრაზილიელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ კლუბებსაც საზრუნავი მოემატებათ. ალბათ, ზედმეტიც კია იმის აღნიშვნა, თუ როგორ ელოდებიან ბრაზილიელები რიოს გრანდიოზულ კარნავალს. ეს ოთხი დღე მათთვის ყველაზე ძვირფასია მთელი წლის განმავლობაში. იმის მიუხედავად, რომ ამ დროს ევროპაში გახურებული სეზონია და თავის მოასაფხანად არავის სცალია, სამხრეთამერიკელი ფეხბურთელები როგორღაც ახერხებენ ხოლმე საცეკვაოდ გაძრომას. შარშან ბერლინის "ჰერტას", დორტმუნდის "ბორუსიასა" და ბრემენის "ვერდერს" ძალიან გაუჭირდათ კარნავალის დღეებში. მარსელინიო, ალექს ალვეში, ლუიზაო, აილტონი, მარსიო ამორუზო... ყოველი მათგანი მხოლოდ გართობასა და სამბაზე ფიქრობდა. აღარავის აინტერესებდა ბუნდესლიგის მატჩები. უეფას თასზე პორტუგალიურ "პორტოსთან" წაგების შემდეგ, როცა "ჰერტას" მაშინდელი თავკაცი ჰუუბ სტივენსი და მენეჯერი დიტერ ჰიონესი თავს იმტვრევდნენ, როგორმე გუნდი კრიზისიდან გამოეყვანათ, ორი უდარდელი ბრაზილიელი – მარსელინიო და ალექს ალვეში წაგებას საერთოდ არ განიცდიდნენ და ბერლინის ერთ-ერთ დისკოთეკაზე გათენებამდე ცეკვავდნენ სამბას. კარნავალზე ორიენტირებული აილტონის ფორმიდან ამოვარდნამ კი ისე დაასუსტა ბრემენის "ვერდერი", რომ კარგა ხნის განმავლობაში ველარ ახერხებდა საშინაო მატჩების მოგებასაც კი.

მიმდინარე სეზონში, რომელიც გერმანიაში იანვრის ბოლოს განახლდება, ბრაზილიელების საკარნავალო ნოსტალგიას ასე შემწყნარებლურად აღარ მიუდგებიან. მეტიც: ის ფეხბურთელები, რომლებიც თამაშზე კონცენტრირების ნაცვლად საცეკვაოდ წასვლას დააპირებენ, მკაცრად დაისჯებიან. დისციპლინის მაგალითი თანამემამულეებს თვით რონალდომ მისცა. მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდი იმდენად მოწესრიგებული აღმოჩნდა, რომ უარი თქვა კარნავალზე წასვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უკვე დაჯავშნილი იყო საუკეთესო ადგილი. რონალდო არც შარშან ყოფილა რიოში, მაგრამ მაშინ ამ ფაქტისთვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. ესპანეთში სავსებით ბუნებრივად ჩათვალეს, რომ შუა სეზონში "ფენომენი" მადრიდში დარჩა. წლეულს რონალდოსთვის, უბრალოდ, აუცილებელი იყო საკუთარი თავგამოდების აფიშირება: ნახეთ, რა ერთგული ბიჭი ვარ, კარნავალზე წასვლა გადავიფიქრეო. ამით რონალდოს იმ უარყოფითი განწყობის განეიტრალება უნდა, რაც ლონდონში მისმა წასვლამ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მატჩის წინ უნებართვოდ მადრიდის დატოვების უფლება არ ჰქონდა, რონალდომ მაინც არ თქვა უარი ინგლისის დედაქალაქში წასვლაზე და, როგორც ესპანელი ჟურნალისტები ეჭვობენ, იქ რომან აბრამოვიჩს ესაუბრა "ჩელსიში" გადასვლის თაობაზე. უკან დაბრუნებულ "ფენომენს" ბევრი უსიამოვნება შეხვდა. "რეალმა" ის 2700 ევროთი დააჯარიმა, ფანებმა კი სან-სებასტიანში "რეალ სოსიედადთან" წაგება სულ მას დააბრალეს - 90 წუთის განმავლობაში კარისკენ მხოლოდ ერთხელ დაარტყა და, აბა, როგორ უნდა მოგვეგოო. მოკლედ, რონალდომ შესცოდა და ახლა კარნავალზე უარის თქმით უნებლიე ცოდვის გამოსყიდვას ცდილობს. გერმანიაში იმედოვნებენ, რომ "ფენომენის" ასეთი საქციელი მის თანამემამულეებზეც მოახდენს გავლენას და საკარნავალო კრიზისის დაძლევის საკითხი ავტომატურად მოიხსნება დღის წესრიგიდან. შარშან მარსელინიო არაერთხელ გამოიჭირეს მატჩის წინ თუ შემდეგ დისკოთეკაზე დროსტარების დროს, ლუიზაო უფრო ფრთხილად იყო და ფაქტზე ვერ ჩაავლეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის გართობას იკლებდა. მისი სათამაშო კლასი თებერვალში ისე მკვეთრად დაეცა, რომ ეჭვი არავის ეპარებოდა, არც ის ამბობდა უარს ღამეების მხიარულად გატარებაზე. 2004 წლის თებერვალში ეს აღარ მოხდება. სხვა რომ არაფერი, რონალდოს მაგალითი მაინც მოახდენს გავლენას. "ჰერტა" ისეა დეგრადირებული, კაცმა არ იცის, მოახერხებს თუ არა სეზონის ბოლოს ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას. ბერლინელთა ახალი მთავარი მწვრთნელი ჰანს მაიერი იმედოვნებს, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელები ამ მძიმე სიტუაციაში კეთილგონიერებას გამოიჩენენ და კარნავალს საერთოდ დაივიწყებენ. ამჟამად "ჰერტა" კანარის კუნძულებზეა. ჰანს მაიერი გუნდის წევრების შეკავშირებას ცდილობს. ფეხბურთელები მთელ დღეს ერთად არიან. რესტორნის ნაცვლად, დიდ საკონფერენციო დარბაზში სადილობენ. მაიერის მოთხოვნით, სასტუმროს მომსახურე პერსონალი ბერლინელებს ერთ დიდ მაგიდას უშლის. არ არსებობს არანაირი ცალკეული დაჯგუფებები, აქ ყველა ერთად ზის სუფრასთან და ერთად ფიქრობს "ჰერტას" მომავალზე. ცოტა ხნის წინ "ჰერტამ" უცნაური განცხადება გააკეთა: იმის გამო, რომ ბერლინელები თითქმის ყველა მატჩს უსახურად ატარებენ, კლუბის ფანების უმრავლესობას აღარ უნდა სტადიონზე მისვლა. "ჰერტას" ხელმძღვანელობამ ორიგინალურ ხერხს მიაგნო: როგორც კი სეზონი განახლდება, გასვლით მატჩებზე კლუბი უფასოდ წაიყვანს ფანებს. თუ გინდა, სტადიონზე საერთოდ ნუ წახვალ და მიუნხენში ან დორტმუნდში ჩასვლის შემდეგ ბებიას ეწვიე სტუმრად. ეს "ჰერტას" არ აინტერესებს. მთავარია, გუნდთან ერთად წასვლის სურვილი გამოთქვა და ყველაფერი უპრობლემოდ მოგვარდება. ბერლინური კლუბი უფასო სამოგზაურო ბიუროდ იქცა, მაგრამ არავინ იცის, რამდენად დაეხმარება ფეხბურთელებს ეს სიახლე მატჩების მოსაგებად...

TV–სპორტი

## ორშაბათი. 19 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1982. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "BOSTON CELTICS" - "PHILADELPHIA 76 ERS". მე-7 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
01:00 "FUTBOL MUNDIAL"
01:30 01:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. "MEMPHIS GRIZZLIES" - "HOUSTON POCKETS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
11:00, 17:15 პრესცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
12:15 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW JERSEY DEVILS" - "WASHINGTON CAPITALS". შესვენებისას (14:00) – პრესცენტრი
14:45 ფარიკაობა. რუსეთის ღია ჩემპიონატი მოსკოვში
16:00 "NHL – პლუს"
16:15 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა კანადიდან
17:30 "რკინის ფაქტორი". რუსეთის გრან-პრი ბოდიბილდინგში
18:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (20:00) – პრესცენტრი
21:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
22:00 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე
00:00 "NHL – პლუს"
00:15 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. პლეი-ოფი. AFC-ის კონფერენციის ფინალი. "NEW ENGLAND PATRIOTS" - "INDIANAPOLIS COLTS". შესვენებისას ((01:00) – ახალი ამბები
02:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
16:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
17:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
21:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
22:00 ფეხბურთი. ევროგოლები
23:00 მულტისპორტი
23:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
01:15 ფეხბურთი. ევროგოლები
02:15 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
02:30 ახალი ამბები
02:45 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

# დსთ-ს ჩემპიონთა ტურნირი: გამოუყენებელ შესაძლებლობათა ქრონიკა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ თბილისის "დინამომ" მეორე მატჩი გამართა მოსკოვში მიმდინარე თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა ტურნირზე და, შეიძლება ითქვას, ქვეჯგუფიდან გასვლის შანსს ინარჩუნებს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ჩემპიონს გუშინვე შეეძლო ამ ლოკალური საკითხის გადაწყვეტა. ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ "დინამო" ტურნირის შარშანდელ ფინალისტს, რიგის "სკონტოს" დაამარცხებდა. თავიდან მატჩს ასეთი პირი უჩანდა კიდეც, მაგრამ ქართველებმა ქართული დაუდევრობით გაფანტეს პირველ ნახევარში მოპოვებული უპირატესობა და თავად გადაურჩნენ მარცხს.

მატჩი თბილისელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო. მე-6 წუთზე ანჩაბაძის გამოზომილი გადაცემის შემდეგ "დინამოს" ახალგაზრდა ფორვარდმა, სანდრო იაშვილმა ზუსტად დაარტყა და ანგარიში გახსნა. ქართველი ფეხბურთელები მიღწეულს არ დასჯერდნენ და მეტოქის კარზე შეტევები განაგრძეს. "სკონტოს" მეკარე მუდმივად "დინამოს" თავდამსხმელთა ზეწოლის ქვეშ იყო. ჯერ იგივე იაშვილმა, რომელიც მეკარესთან ისევ ანჩაბაძემ მოამარაგა, ხელიდან გაუშვა ანგარიშის გაზრდის საშუალება, შემდეგ რატი ალექსიძეს ორჯერ შეეძლო გოლის გატანა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რიგელები ასეთ შტურმს ვერ გაუძლებდნენ და ფარ-ხმალს დაყრიდნენ. თუმცა, პირიქით მოხდა: ლატვიელებმა არათუ გამოასწორეს ვითარება და ანგარიში გაათანაბრეს, არამედ ტაიმის მიწურულს დაწინაურდნენ კიდეც და თავაწეულები გავიდნენ შესვენებაზე. ეს ასე მოხდა: 38-ე წუთზე "დინამოს" საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს შაშიაშვილი კარგად ვერ შეწვდა და, თავისდაუნებურად, საკუთარ კარზე საგოლე შეტევა წამოიწყო – ბურთი მიუგორდა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ მიხოლაპს, რომელმაც ახლო მანძილიდან გვარამაძე დააშამათა. მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე ისევ "დინამოს" დაცვის მარცხენა ფლანგიდან დაწყებული შეტევა ზუსტი დიაგონალური გადაცემის შემდეგ "სკონტოს" ქართველმა ნახევარმცველმა და საქართველოს ნაკრების კანდიდატმა, ლევან კორღალიძემ გოლით დააგვირგვინა.

მატჩის მეორე ნახევარში შუშაკის გუნდმა ვერაფრით ვერ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. თამაშის სადავეები რიგელებს ეპყრათ ხელთ. მათ რიგებში გამოირჩეოდა კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე, მენთეშაშვილი, რომელიც მოედნის ცენტრში ლამის მარტო უმკლავდებოდა "დინამოს" ნახევარდაცვას. შუშაკი დროულად მიხვდა შეცვლების აუცილებლობას და ზუსტად გამოიცნო კიდეც: ანჩაბაძისა და იაშვილის ნაცვლად მოედანზე შეუშვა კარლოს და როჩა და მელქაძე, რომლებმაც პირველი გოლის შემოქმედები ღირსეულად შეცვალეს: და როჩამ ამ მატჩში "დინამოს" მეორე საგოლე კომბინაციას დაუდო საფუძველი, მელქაძემ კი ეს შეტევა საგოლე დარტყმით დააგვირგვინა. ეს მოხდა მატჩის 78-ე წუთზე. შეტევაში თავისი წვლილი შეიტანა კვირკველიამაც, რომელმაც და როჩას გადაცემის შემდეგ ბურთი ზედ კუთხურის ხაზთან გააჩერა და მელქაძე უზუსტესი პასით მოძებნა.

დარჩენილ დროში "დინამო" უფრო აქტიურობდა, მაგრამ გოლს სწორედ საქართველოს ჩემპიონის კარი გადაურჩა: შაშიაშვილის ზონიდან სახიფათო კონტრშეტევა გაიპარა, მაგრამ ლატვიელ თავდამსხმელს არ გაუმართლა: გვარამაძესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი ძელს მოარტყა.

მატჩი ფრედ დასრულდა. ქვეჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გასულთა ვინაობას ბოლო ტური გაარკვევს. თუმცა, "სკონტომ" ეს საკითხი, პრაქტიკულად, უკვე გადაწყვიტა: რიგელებმა წინა ტურში "ირტიში" დაამარცხეს და ხვალ ჯგუფის აშკარა აუტსაიდერს, ყირგიზეთის "ჟასტიკს" შეხვდებიან. ყირგიზეთის ჩემპიონი კი "დინამომაც" და "ირტიშმაც" დიდი ანგარიშით, შესაბამისად, 7:1 და 4:1 დაამარცხეს. "დინამოს" ქვეჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად "ირტიშთან" ხვალინდელ მატჩში ფრეც ხელს აძლევს, ხოლო თუ უნდა, რომ ჯგუფური ტურნირი პირველ ადგილზე დაასრულოს, ყაზახი ფეხბურთელები აუცილებლად უნდა დაამარცხოს.

ივო შუშაკი: "მატჩის შედეგითა და ჩემი ფეხბურთელების თამაშით კმაყოფილი ვარ. "სკონტო" მაღალი კლასის გუნდია, მასში ნაკრების 6-7 ფეხბურთელი თამაშობს. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლით მათ დაამტკიცეს, რომ ბევრის გაკეთება შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მეტოქე გვყავდა, ჩემმა გუნდმა არაფერი დათმო, პირიქით, რიგ შემთხვევებში აშკარად ჯაბნიდა კიდეც. უკმაყოფილო ვარ მხოლოდ ხელსაყრელი მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებლით.

ჩვენი მთავარი მიზანი მომდევნო ეტაპზე გასვლა და, რაც შეიძლება, წინ წაწევაა. არც ტურნირში გამარჯვებაზე ვიტყვით უარს."

"დინამომ" ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: გვარამაძე, ახალაია, შაშიაშვილი, კანდელაკი, კვირკველია, ანჩაბაძე (და როჩა, 60`), გოგობერიშვილი, დარასელია, ბურდული, იაშვილი (მელქაძე, 64`), ალექსიძე.

რაგბი

# კანდიდატი ორია, არჩევანი - ერთი

### რაგბის კავშირის პრეზიდენტობის კანდიდატებმა საარჩევნო კამპანია დაიწყეს

პაატა თოთაძე

როგორ განვითარდება მოვლენები 26 იანვარს? ვის აირჩევენ ქართული რაგბის მესაჭედ? ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარმართავენ თავიანთ საარჩევნო კამპანიას პრეზიდენტობის კანდიდატები. ასეთი კი ორია – რაგბის კავშირის მოქმედი პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე.

ორივე დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში. გეგიძის თქმით, ის მიზანი, რომელიც მან და მისმა გუნდმა დაისახეს, წინა არჩევნების დროს შესრულებულია. ასე რომ, მისი მუშაობა კავშირის პრეზიდენტის პოსტზე დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. ძნელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, თუმცა, საპირისპირო არგუმენტები მეორე მხარესაც აქვს: არავინ უარყოფს, რომ ეროვნული ნაკრების მსოფლიო თასზე გასვლა დიდი წარმატებაა, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ამ ხნის განმავლობაში ქართული კლუბების მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდებოდა, კლუბები, ფაქტობრივად, იძარცვებოდა, ეროვნული ჩემპიონატის დონე კი საგრძნობლად დაეცა. არ არსებობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მორაგბეებს ერთი საკუთარი სტადიონიც კი არა აქვთ. იყო მცდელობა, ვაკეში ერთი სარაგბო მოედანი აეშენებინათ. თუმცა, ამას მცდელობაც არ დაერქმევა, რადგან გაურკვეველია, რა ბედი ეწია იმ ადგილს შემდგომში და, საერთოდ, ვისი საკუთრებაა ამჟამად.



მერაბ ანთაძემ საკუთარი პროგრამა წარმოადგინა

ქართული საარჩევნო რეალობისთვის გასაკვირად, მხარეები საჯაროდ არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, მათი საარჩევნო კამპანიაც კლუბებთან და ყრილობის სხვა დელეგატებთან შეხვედრებით შემოიფარგლება. სწორედ ამ შეხვედრებზე წყდება, ვინ ვისი მხარდამჭერი იქნება მომავალ არჩევნებზე.

ერთი ასეთი შეხვედრა გუშინწინ შედგა სპორტის დეპარტამენტში. მერაბ ანთაძე ვეტერან მორაგბეებს ესტუმრა და გააცნო თავისი წინასაარჩევნო პროგრამა, ანუ ის, რის გაკეთებასაც აპირებს რაგბის კავშირის სათავეში მოსვლის შემთხვევაში. პრეზიდენტობის კანდიდატმა დეტალურ საუბარს თავი აარიდა და მხოლოდ იმის თქმას დასჯერდა, რომ რეალურად არსებობს ორი კომპანია, რომელიც თანახმაა საქართველოს რაგბის კაბვშირის გენერალურ სპონსორობაზე. ამ ორიდან გენერალურ სპონსორს რაგბის კავშირის ახალი ხელმძღვანელობა შეარჩევს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეორეს ხელს ჰკრავენ. მეორე კომპანია, რომელიც არ იქნება გენერალური სპონსორი, უბრალო სპონსორად დარჩება, აღნიშნა ანთაძემ. მისი თქმით, სპონსორის არსებობა იმის გარანტიაა, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭოდან თუ სხვა ორგანიზაციებიდან დახმარების არარსებობის შემთხვევაში კავშირს შეეძლება, თავისი საქმიანობა შემუშავებული გეგმის მიხედვით გააგრძელოს, დახმარების შემთხვევაში კი უფრო მეტი საქმე გაკეთდება.

ვეტერანებმა უკმაყოფილება გამოთქვეს კავშირის ახლანდელი ხელმძღვანელობის მიმართ, რომელიც მათ არაფრად აგდებს, არაფერს ეკითხება და, რაც მთავარია, არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცა. და, საერთოდ, დაწუნებულ იქნა კავშირის წესდება.

მერაბ ანთაძემ პირობა დადო, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ვითარებას გამოასწორებს. გარდა იმისა, რომ ვეტერანებს უფლებები გაეზრდებათ, მათ აზრს გაიზიარებენ და არჩევნებში მონაწილეობის ნებასაც დართავენ. უნდა შეიცვალოს კავშირის წესდებაც. ამას ანთაძე და მისი გუნდი სამი თვის განმავლობაში აპირებენ, შემდეგ კი ახალი წესდებისა და გეგმის მიხედვით დავიწყებთ ქართული რაგბის აღორძინებასო.

ოლიმპიზმი

# მარსო, გაიღვიძე!

### ოლიმპიური თამაშები მარსზე. ფანტასტიკა თუ პერსპექტივა

გიგა გურასაშვილი

იდუმალებით მოცული პლანეტა - მარსი საუკუნეების განმავლობაში ადამიანებს გონებას უმღვრევდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ XIX საუკუნის მწერალი ფანტასტიკოსები, რომლებიც დაუჯერებელი ამბების გადმოცემით თანამედროვეთა გონებას ატყვევებდნენ. დაუჯერებელი ამბების შემთხზველებზე მაშინ ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა მარსის ჩრდილო ნახევარსფეროზე აღმოჩენილმა არხებმა, უფრო სწორად, გაჩნდა მოსაზრება, რომ სამყაროში მარტონი არ ვართ და იმ არხებში სიცოცხლის უმთავრესი ნიშანი - წყალი მიედინებოდა. მას შემდეგ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ მაინც ძალზე ცოტა რამ ვიცით წითელი პლანეტის შესახებ.

იტყვით, სად სპორტი და სად ასტრონომიაო, მაგრამ ერთ-ერთმა გავლენიანმა გაზეთმა "ფაინენშელ ტაიმსმა" ჩვენც აგვირია გონება. საქმიანი წრეების ერთ-ერთი საგაზეთო მასალა საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს. კარგი იქნებოდა, თუ შორეულ მომავალში წითელი პლანეტა ოლიმპიური თამაშების უმთავრეს არენად გარდაიქმნებაო!

დაახლოებით ორი კვირაა, მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები სატელევიზიო ეთერსა თუ საგაზეთო გვერდებს წითელ პლანეტას უთმობს. მოვლენათა ასეთი განვითარება არც იქნებოდა მოსალოდნელი, რომ არა ამერიკელების მიერ გაშვებული რობოტის - "მარსის სული" (Spirit of Mars) წარმატებული ოდისეა უკიდეგანო სივრცეში. ნასა-ს პირმშოს მიერ მარსიდან გამოგზავნილმა პირველმა პანორამულმა ფოტოებმა დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია მეცნიერთა შორის, მაგრამ, ეტყობა, ყველაზე მეტად აღფრთოვანებული აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშია. ვიდრე "მარსის სული" წითელი პლანეტის ზედაპირზე აღმა-დაღმა დაგორავს და პლანეტის მიწის საფარის ნიმუშებს აგროვებს, დედამიწაზე დავეშვათ და კვლავ "ფაინენშელ ტაიმსის" საგაზეთო მასალას მივყვეთ.



გაიმართება მარსზე ოლიმპიადა?

საქმიანი წრეების გაზეთი სარედაქციო სტატიაში გვახსენებს, რომ პოლიტიკოსებს ძალზე ხიბლავთ გრანდიოზული პროექტები, რადგან მასზე ყურადღების გადატანა მოსახლეობას სოციალურ პრობლემებს ავიწყებს, ანუ ამგვარი პროექტებით დაინტერესება გამოცდილი ხერხია.

ჯერ კიდევ ძველ რომში უყვარდათ, აჯანყების პირას მისული ხალხი საცირკო სანახაობით დაემშვიდებინათ. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება გლადიატორთა სისხლიანი ორთაბრძოლებიც. რაკი სისხლი ვახსენეთ, აქვე იმაზეც ვთქვათ, საიდან წარმოიშვა სახელი "მარსი".

მოწმენდილ ცაზე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს წითლად მოელვარე პლანეტა. მარსი კი, მოგეხსენებათ, რომაული მოთოლოგიის მიხედვით ომის ღმერთია - რომაელ მეომართა ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება. სადაც ომია, იქ სისხლიცაა. ჰოდა, რომაელებმაც, უმთავრესი ღვთაების პატივსაცემად, წითელ ანუ სისხლისფერ პლანეტას მარსი უწოდეს. მაგრამ მარსისადმი რომაელთა პატივისცემა მარტო ამით როდი გამოიხატებოდა. ყოველწლიურად, 27 თებერვლიდან 1 მარტამდე, მარსის სახელის განსადიდებლად, დიდი ასპარეზობები იმართებოდა. ერთ-ერთი მითის თანახმად, ძველ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშების წარმოშობაც ღმერთების სახელს უკავშირდება. და კიდევ: ბრძოლის ველზე მიმავალი სარდალი მარსის ტაძარში შედიოდა, მის წმინდა შუბსა და ფარს შეარხევდა და შესძახებდა: "მარსო, გაიღვიძე!".

ახლა ისევ ჯორჯ ბუშსა და "ფაინენშელ ტაიმსზე". გაზეთი წერს, რომ გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტმა სამარსო ოდისეაც კი საკუთარ საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიაში ჩააყენაო. ანუ, ახალი კოსმოსური პროგრამის პროპაგანდის მიხედვით, ადამიანები წითელ პლანეტაზე გაფრინდებიან. გაზეთში სხვა მრავალი საინტერესოც წერია, მაგრამ მათ შორის ყველაზე საინტერესოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სავსებით შესაძლებელია, წითელი პლანეტა ოლიმპიური თამაშების საასპარეზო არენად მოგვევლინოს. მარსზე ოლიმპიური თამაშების გამართვას გაზეთი, ბუნებრივია, ეკონომიკურ ჭრილშიც განიხილავს. თამაშების მასპინძლობისთვის მებრძოლ ქალაქებს აურაცხელი ძალისა თუ ენერგიის მობილიზება უწევთ და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მილიარდობით დოლარს საჭიროებს. გაზეთი თვლის, რომ არსებობს ერთი მარტივი გამოსავალი: ნეიტრალური ტერიტორია ყველაფერს წერტილს დაუსვამს. ასეთი კი მარსია. "რა სჯობს პლაჟის ფრენბურთის ხილვას წითელსაფარიან მარსზე, პლანეტაზე, სადაც დაბალი გრავიტაცია (დედამიწასთან შედარებით მარსზე სამჯერ ნაკლები გრავიტაციაა.- რედ.) და ულრუბლო ცაა", - წერს "ფაინენშელ ტაიმსი".

# "საოჯახო ტოტო"-ს 24 იანვარი №43 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000021 | 2,0 |
| 000032 | 1,5 |
| 000067 | 1,5 |
| 000069 | 2,0 |
| 000071 | 1,0 |
| 000073 | 3,0 |
| 000093 | 1,0 |
| 000110 | 3,5 |
| 000114 | 2,5 |
| 000188 | 2,5 |
| 000204 | 2,0 |
| 000207 | 4,0 |
| 000225 | 4,5 |
| 000237 | 1,5 |
| 000251 | 2,0 |
| 000293 | 1,0 |
| 000299 | 2,0 |
| 000303 | 2,0 |
| 000357 | 4,5 |
| 000361 | 2,0 |
| 000380 | 4,0 |
| 000385 | 6,0 |
| 000411 | 2,0 |
| 000416 | 3,5 |
| 000420 | 1,5 |
| 000423 | 1,5 |
| 000431 | 2,5 |
| 000445 | 3,0 |
| 000468 | 1,5 |
| 000471 | 2,0 |
| 000498 | 2,0 |
| 000499 | 2,0 |
| 000509 | 2,0 |
| 000545 | 3,5 |
| 000550 | 1,5 |
| 000554 | 1,5 |
| 000557 | 10,0 |
| 000563 | 1,5 |
| 000564 | 1,5 |
| 000621 | 2,5 |
| 000627 | 1,5 |
| 000654 | 1,0 |
| 000687 | 1,5 |
| 000705 | 1,5 |
| 000722 | 2,0 |
| 000762 | 1,5 |
| 000765 | 1,5 |
| 000775 | 1,0 |
| 000779 | 2,5 |
| 000794 | 1,5 |
| 000795 | 10,0 |
| 000826 | 6,0 |
| 000839 | 1,5 |
| 000874 | 1,5 |
| 000876 | 7,0 |
| 000898 | 1,0 |
| 000948 | 3,0 |
| 000959 | 2,0 |
| 000968 | 1,5 |
| 001011 | 4,0 |
| 001033 | 1,5 |
| 001054 | 2,0 |
| 001057 | 1,0 |
| 001070 | 2,5 |
| 001072 | 2,5 |
| 001074 | 4,0 |
| 001102 | 2,5 |
| 001117 | 1,5 |
| 001139 | 1,0 |
| 001156 | 1,5 |
| 001199 | 1,5 |
| 001209 | 4,5 |
| 001210 | 1,0 |
| 001213 | 1,0 |
| 001268 | 1,0 |
| 001269 | 1,5 |
| 001300 | 2,0 |
| 001317 | 1,5 |
| 001332 | 2,0 |
| 001345 | 2,5 |
| 001348 | 6,0 |
| 001361 | 2,0 |
| 001373 | 2,5 |
| 001389 | 1,0 |
| 001390 | 1,5 |
| 001401 | 2,0 |
| 001425 | 1,5 |
| 001426 | 3,0 |
| 001438 | 5,0 |
| 001449 | 1,5 |
| 001456 | 2,0 |
| 001460 | 1,5 |
| 001479 | 1,5 |
| 001480 | 2,5 |
| 001513 | 2,0 |
| 001589 | 2,0 |
| 001636 | 1,5 |
| 001645 | 1,5 |
| 001650 | 1,0 |
| 001669 | 2,0 |
| 001682 | 1,0 |
| 001689 | 3,0 |
| 001709 | 6,0 |
| 001714 | 1,5 |
| 001752 | 1,5 |
| 001767 | 2,5 |
| 001773 | 1,0 |
| 001775 | 4,5 |
| 001781 | 2,0 |
| 001843 | 1,0 |
| 001847 | 1,5 |
| 001856 | 1,5 |
| 001863 | 2,5 |
| 001884 | 2,0 |
| 001895 | 1,5 |
| 001914 | 2,0 |
| 001991 | 3,5 |
| 001998 | 1,5 |
| 002017 | 5,0 |
| 002023 | 2,0 |
| 002024 | 4,5 |
| 002047 | 2,0 |
| 002054 | 2,0 |
| 002057 | 7,0 |
| 002058 | 2,0 |
| 002062 | 1,0 |
| 002070 | 1000,0 |
| 002102 | 5,0 |
| 002116 | 1,5 |
| 002130 | 1,5 |
| 002134 | 1,0 |
| 002202 | 4,0 |
| 002224 | 1,0 |
| 002248 | 2,0 |
| 002256 | 1,0 |
| 002257 | 1,0 |
| 002265 | 1,5 |
| 002266 | 20,0 |
| 002296 | 1,0 |
| 002297 | 1,5 |
| 002307 | 1,0 |
| 002343 | 1,5 |
| 002361 | 8,0 |
| 002364 | 1,0 |
| 002386 | 7,0 |
| 002387 | 1,5 |
| 002406 | 1,5 |
| 002414 | 1,5 |
| 002416 | 5,0 |
| 002418 | 1,0 |
| 002420 | 2,5 |
| 002436 | 3,5 |
| 002440 | 1,5 |
| 002485 | 1,5 |
| 002488 | 2,0 |
| 002515 | 1,0 |
| 002521 | 10,0 |
| 002522 | 2,0 |
| 002535 | 1,0 |
| 002538 | 3,0 |
| 002548 | 1,5 |
| 002604 | 1,5 |
| 002615 | 1,0 |
| 002642 | 4,5 |
| 002643 | 5,0 |
| 002654 | 1,5 |
| 002657 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 002662 | 1,5 |
| 002663 | 1,0 |
| 002678 | 2,0 |
| 002684 | 2,0 |
| 002687 | 6,0 |
| 002724 | 1,5 |
| 002730 | 2,0 |
| 002736 | 2,0 |
| 002740 | 1,0 |
| 002752 | 4,5 |
| 002756 | 2,0 |
| 002776 | 3,5 |
| 002792 | 1,5 |
| 002826 | 5,0 |
| 002828 | 7,0 |
| 002853 | 1,5 |
| 002870 | 2,0 |
| 002884 | 1,0 |
| 002894 | 1,0 |
| 002899 | 1,0 |
| 002911 | 1,0 |
| 002920 | 1,0 |
| 002934 | 8,0 |
| 002966 | 2,0 |
| 003005 | 2,5 |
| 003039 | 5,0 |
| 003043 | 4,0 |
| 003062 | 2,0 |
| 003077 | 2,5 |
| 003083 | 1,5 |
| 003087 | 1,5 |
| 003094 | 1,0 |
| 003216 | 1,5 |
| 003224 | 1,5 |
| 003232 | 1,5 |
| 003243 | 3,0 |
| 003307 | 1,0 |
| 003321 | 6,0 |
| 003336 | 1,5 |
| 003348 | 2,0 |
| 003349 | 1,5 |
| 003357 | 1,5 |
| 003359 | 2,5 |
| 003361 | 3,0 |
| 003366 | 1,5 |
| 003371 | 1,5 |
| 003373 | 1,5 |
| 003383 | 2,0 |
| 003393 | 5,0 |
| 003397 | 4,5 |
| 003423 | 2,0 |
| 003449 | 1,5 |
| 003451 | 2,0 |
| 003452 | 1,0 |
| 003454 | 1,5 |
| 003455 | 1,5 |
| 003472 | 4,5 |
| 003479 | 4,5 |
| 003483 | 1,0 |
| 003507 | 3,0 |
| 003508 | 1,5 |
| 003561 | 1,5 |
| 003562 | 3,0 |
| 003585 | 3,0 |
| 003597 | 2,5 |
| 003600 | 1,0 |
| 003611 | 1,5 |
| 003612 | 1,0 |
| 003642 | 2,5 |
| 003650 | 7,0 |
| 003693 | 1,0 |
| 003717 | 4,5 |
| 003727 | 2,5 |
| 003742 | 1,0 |
| 003763 | 2,0 |
| 003764 | 1,5 |
| 003788 | 2,0 |
| 003802 | 1,5 |
| 003825 | 4,5 |
| 003834 | 1,5 |
| 003842 | 1,5 |
| 003852 | 2,0 |
| 003881 | 1,5 |
| 003888 | 2,5 |
| 003889 | 3,5 |
| 003895 | 1,0 |
| 003963 | 3,5 |
| 003989 | 1,5 |
| 003997 | 4,0 |
| 004019 | 2,5 |
| 004030 | 2,0 |
| 004038 | 1,0 |
| 004049 | 2,0 |
| 004062 | 9,0 |
| 004064 | 2,5 |
| 004072 | 6,0 |
| 004095 | 2,0 |
| 004098 | 1,5 |
| 004102 | 3,5 |
| 004134 | 5,0 |
| 004195 | 1,0 |
| 004202 | 1,5 |
| 004207 | 1,0 |
| 004217 | 4,5 |
| 004218 | 2,0 |
| 004227 | 1,0 |
| 004232 | 2,0 |
| 004235 | 1,5 |
| 004240 | 1,5 |
| 004263 | 3,5 |
| 004276 | 2,0 |
| 004611 | 1,0 |
| 004613 | 1,5 |
| 004632 | 1,5 |
| 004642 | 3,5 |
| 004660 | 2,0 |
| 004677 | 1,5 |
| 004695 | 1,5 |
| 004751 | 2,0 |
| 004784 | 2,0 |
| 004829 | 4,5 |
| 004834 | 1,5 |
| 004844 | 1,0 |
| 004856 | 2,0 |
| 004867 | 1,5 |
| 004870 | 1,5 |
| 004872 | 5,0 |
| 004884 | 2,0 |
| 004893 | 1,5 |
| 004921 | 1,5 |
| 004937 | 2,5 |
| 004941 | 1,0 |
| 004946 | 2,5 |
| 004950 | 8,0 |
| 004980 | 1,0 |
| 004997 | 1,0 |
| 005020 | 1,5 |
| 005043 | 1,0 |
| 005066 | 1,5 |
| 005067 | 2,5 |
| 005072 | 1,5 |
| 005090 | 1,5 |
| 005104 | 1,5 |
| 005105 | 2,5 |
| 005116 | 2,0 |
| 005127 | 1,5 |
| 005192 | 2,0 |
| 005197 | 6,0 |
| 005223 | 3,0 |
| 005243 | 1,5 |
| 005267 | 9,0 |
| 005275 | 3,0 |
| 005283 | 1,5 |
| 005285 | 3,0 |
| 005313 | 4,5 |
| 005333 | 3,0 |
| 005341 | 1,5 |
| 005362 | 1,5 |
| 005382 | 4,5 |
| 005397 | 4,0 |
| 005424 | 1,5 |
| 005438 | 4,0 |
| 005448 | 1,0 |
| 005455 | 1,0 |
| 005502 | 7,0 |
| 005513 | 1,5 |
| 005552 | 1,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 005553 | 1,0 |
| 005556 | 1,5 |
| 005584 | 1,5 |
| 005615 | 1,5 |
| 005624 | 1,5 |
| 005663 | 1,5 |
| 005664 | 1,0 |
| 005695 | 3,0 |
| 005706 | 2,0 |
| 005747 | 5,0 |
| 005788 | 2,0 |
| 005797 | 1,5 |
| 005816 | 1,5 |
| 005821 | 1,0 |
| 005835 | 8,0 |
| 005851 | 2,5 |
| 005868 | 1,0 |
| 005873 | 1,5 |
| 005888 | 2,0 |
| 005907 | 1,5 |
| 005948 | 2,5 |
| 005959 | 2,0 |
